საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ლელო

№270 (12 340)
19 ნოემბერი ორშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

# ვინ ვინ იყო ყატარში



ისევ
აზიურ
ვოიაჟზე 2

## დარჩა ოთხი ვაკანსია

ავსტრია
შვეიცარია
გერმანია
საბერძნეთი
რუმინეთი
ჩეხეთი
პოლონეთი
იტალია
საფრანგეთი
ხორვატია
ესპანეთი
ჰოლანდია



## შაშიაშვილი მადაზე მოვიდა

საქართველოს ნაკრების მცველი 3
წრის სიმბოლურ ნაკრებს უმიზნებს



შაბათის
მატჩები 6-7

## დინამომ თავი შეგვახსენა

საქართველოს
ჩემპიონატი 11



აჰიამშენი-აზოტი

ნუგზარ სუარიძის ფოტო

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ნაკრები. ყატართან მატჩის შემდეგ

# ვინ ვინ იყო ყატარში

## დოჰას მონაგარი ლიტვამდე

შოტლანდიასთან შინ გამარჯვების შემდეგ ჩვენმა ნაკრებმა 16 ნოემბერს მორიგი გამარჯვება მიითვალა. ყატართან გასვლით ამხანაგურ მატჩში, მაგრამ ლიტვასთან თამაშამდე ეს მართლაც საჭირო მოგება იყო, თანაც თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რეიტინგში პოზიციები, სულ მცირე უნდა შევინარჩუნოთ, რათა მსოფლიო ჩემპიონატის წილისყრისთვის მე-4 კალათაში ვიყოთ.



ყატართან მატჩი ფეხბურთის ქართველ ქომაგებს ტელეეთერით არ უნახავთ და შესაბამისად აინტერესებთ თუ როგორ ითამაშეს ჩვენი ნაკრების ფეხბურთელებმა.

**გიორგი მაკარიძე (90 წუთი):** ეროვნულ ნაკრებში მეორე თამაში ჩაატარა და ერთი გოლი გაუშვა. თუმცა დოჰაში, ყატართან მატჩში გაშვებულ გოლში ძნელია მეკარის დადანაშაულება. Gგიორგი მაკარიძე კვლავაც საიმედო და თავდაჯერებული იყო. თუ შოტლანდიასთან სადებიუტო შეხვედრაში ერთი რთული ბურთი აილო, ამჯერად უფრო უკეთ ითამაშა - სულ მცირე იხსნა გუნდი გოლისგან. აშკარად ეტყობა, რომ გერმანიის მეორე ბუნდესლიგის "მიუნხენ 1860-ში" 12 დღიანი ვარჯიში წაადგა. რომ არა მისი საიმედო თამაში დოჰაში საქართველოს ნაკრებს მოგება ძალიან გაუჭირდებოდა.

**ზურაბ ხიზანიშვილი (61 წუთი):** დაცვაში კვლავაც საიმედო იყო და ჩვენი გუნდის უკანა ხაზს სიმტკიცეს მატებდა, ამასთან რამოდენიმეჯერ შეტევების ორგანიზატორადაც მოგვევლინა.

**ლაშა სალუქვაძე (შეცვლაზე 29 წუთი):** მცირე დროშიც კი მოასწრო გოლის გატანა, თანაც გამარჯვების მომტანი ბურთი შეაგდო. რაც შეეხება მის გოლს, მარჯვენა ფრთიდან, მახვილი კუთხიდან ძლიერად დაარტყა, რიკოშეტის შედეგად ბურთი აიჭრა და კარში ჩახვეული წავიდა. მეკარემ ბურთი ვერ შეიმაგრა და მხოლოდ ბადეში გახვეული დაიჭირა.

**მალხაზ ასათიანი (90 წუთი):** სიცხის გამო მოედანზე გადაადგილება არათუ სტუმრებს, მასპინძლებსაც კი უჭირდათ. თუმცა ასათიანი დაცვაში კვლავ საიმედო იყო და შეტევებშიც ერთვებოდა. როცა ჩვენს გუნდში შეტევების ცეცხლი ჩაქრებოდა, სწორედ ასათიანი და კალაძე ერთვებოდნენ იერიშებში. ასათიანმა როგორც სჩვევია 3-4 კარგი პასი გააკეთა და შემტევი სტილის ფეხბურთელებს რომ ემარჯვათ, მალხაზი გოლის თანაავტორადაც მოგვევლინებოდა.

**კახა კალაძე (90 წუთი):** ნაკრების კაპიტანი თავის სიმაღლეზე იდგა. კუნთი ჰქონდა დაჭიმული და მატჩამდე 4-5 საათით ადრე მისი თამაში საეჭვო იყო. მიუხედავად ამისა, კალაძემ მაინც ითამაშა და კვლავაც გამოავლინა უმაღლესი კლასი და გამოცდილება. ნაკრებში რამდენიმე დებიუტანტი და ახალი ფეხბურთელი იყო და კაპიტანი ყოველთვის იქ იყო, სადაც გუნდს სჭირდებოდა. ყათარელთაგან გამორჩეული და ძალზე ტექნიკური სორია კალაძესთან ვერას გახდა.

**ამირან სანაია (61 წუთი):** ეროვნულ ნაკრებში დებიუტი ჰქონდა. ამის კვალობაზე ძნელია აუგის თქმა, მაგრამ სანაიას აშკარად ეტყობა, რომ უფრო უკეთაც შეუძლია თამაში. სადებიუტო საათი მისთვის ამ ეტაპზე საკმარისი უნდა იყოს. იმედია მომდევნო მატჩებში ის უფრო მეტად გამოავლენს საკუთარ შესაძლებლობებს.

**გიორგი შაშიაშვილი (შეცვლაზე 29 წუთი):** ნაკრების სტაჟიან წევრს ამჯერად შეცვლაზე მოუწია თამაში. შაშიაშვილი დაცვაში თავდაჯეებული და საიმედო იყო, მეტოქის რამდენიმე შეტევა ჩაშალა.

**შოთა გრიგალაშვილი (89 წუთი):** მეორე ტაიმი უკეთ ჩაატარა, ვიდრე პირველი. თუმცა ტაიმების ბოლოს მიღებული ორი გაფრთხილება მოედნიდან ნაადრევად გასვლის საბაბი გახდა და იმედია ამას გაითვალისწინებს კიდეც. მას აქვს პოტენციალი, გამოცდილებას გაიმდიდრებს და იმედია ნაკრებში უფრო მყარად ჩაჯდება. მით უმეტეს ნახევარდაცვის მარჯვენა ფრთაზე თამაშობს და ამ პოზიციაზე ფეხბურთელთა სიმრავლით ჩვენი ეროვნული გუნდი ნამდვილად არაა განებივრებული.

**ჯაბა კანკავა (80 წუთი):** ეროვნულ ნაკრებში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. ახალგაზრდაა და გაცილებით მეტი შეუძლია. ჯაბამ დიდი სამუშაო გასწია დაKპირველი გოლიც გაიტანა. კანკავას განსაკუთრებით მოემატა საქმე, როცა მოედანზე "ბრაგას" ნახევარმცველი ჰასან იასირი გამოჩნდა. თუმცა ჩვენმა გუნდმა კოლექტიურად შეძლო ამ ნახევარმცველის განეიტრალება.

**ალექსანდრე კვახაძე (შეცვლაზე 10 წუთი):** მართალია მხოლოდ ბოლო 10 წუთი დაჰყო მოედანზე, მაგრამ ნიკა გელაშვილი დიდებული პასით მეტოქის მეკარესთან პირისპირ დატოვა. გელაშვილს რომ ემარჯვა კვახაძე გოლის თანაავტორიც იქნებოდა, მაგრამ...

**დავით კვირკველია (85 წუთი):** მარცხენა ფრთაზე საკმაოდ აქტიურობდა. დათომ საჯარიმო დარტყმებიც კარგად შეასრულა. ის ნაკრებში კვლავაც ერთ-ერთი საკვანძო ფიგურაა.

**გიორგი დეკანოსიძე (შეცვლაზე 5 წუთი):** „ამერის“ ნახევარმცველმა ნ წუთი დაჰყო მოედანზე, ძირითადი დროის 5 და დამატებითი 3 წუთი. ასეთ მცირე დროში ძნელია მისი შეფასება. ისე კი ნაკრების ვარჯიშებზეც აშკარად ჩანდა, რომ დეკანოსიძეს აქვს პოტენციალი უკეთაც წარმოჩნდეს. ის ადრე "ფიურტში" თამაშობდა და გერმანულ ფეხბურთთან რომ ჰქონდა შეხება ესეც ეტყობა.

**ლევან ცქიტიშვილი (90 წუთი):** ჩვენი გუნდის უმრავლესი შეტევის ორგანიზატორი სწორედ ცქიტიშვილი იყო. დასანანია, რომ ასეთი გამოცდილბისა და კლასის მქონე ნახევარმცველი უკლუბოდაა. თუმცა ამას წესით ზამთრის პაუზისას უნდა დაესვას წერტილი. ყატართან მატჩში ის ერთ-ერთი გამორჩეული გახლდათ. Mმე-7 წუთზე სწორედ მან დატოვა მეკარესთან პირისპირ მჭედლიძე, მაგრამ სეხნიამ ცქიტიშვილის პასი ვერ შეიშნო.

**ლევან ყენია (68 წუთი):** ეს ნამდვილად არ ყოფილა მისი საუკეთესო თამაში. შოტლანდიასთან მატჩში ყენიამ უფრო მეტი გააკეთა. თუმცა მსგავსი რამ ახალბედა ფეხბურთელთათვის იშვიათობა სულაც არაა. დოჰაში მას ცუდად არ უთამაშია, მაგრამ დიდი პოტენციალი აქვს და მისგან მეტს მოელიან.

**ნიკა გელაშვილი (შეცვლაზე 22 წუთი):** შარშან ზამთარში კვიპროსის ტურნირზე ასპარეზობას თუ არ ჩავთვლით, მას ეროვნულში დებიუტი ჰქონდა. შეცვლაზე შესული ფეხბურთელისთვის თამაშში ჩართვა იოლი ნამდვილად არაა. გელაშვილს დიდი დროც არ ჰქონდა შესაძლებლობების გამოსავლენად, მაგრამ გამოჩნდა, რომ მისი გამოყენება შეიძლება.

**ლევან მჭედლიძე (45 წუთი):** მას ორი კარგი მომენტი ჰქონდა, მაგრამ წინა, სადებიუტო მატჩისგან განსხვავებით, ამჯერად ვერ შეძლო გატანა. როგორც თავად გვითხრა მატჩის შემდეგ, გოლი ლიტვასთან მატჩისთვის „შეინახა“. თუ 21 ნოემბერს გაიტანს, დაგვეთანხმებით კიდევ ერთ საჭირო გოლს მიითვლის სანაკრებო კარიერაში.

**ლაშა ჯაკობია (შეცვლაზე 45 წუთი):** მეორე ტაიმი სრულად ჩაატარა და ჩვენი გუნდის შეტევებში სიმწვავეც შეიტანა. თუმცა კი გოლის გატანა ვერ შეძლო.

ეროვნული ნაკრები თბილისში შაბათს გამთენიისას დაბრუნდა და გუშინწინ დილითვე ჰქონდა აღდგენითი ვარჯიში. **კლაუს ტოპმიოლერის** გუნდი ლიტვასთან მატჩისთვის სამზადისს საფუძვლიანად დღეს შეუდგება. ყატარში ნამყოფ შემადგენლობას რამენსკოეს "სატურნის" ნახევარმცველი **გოგიტა გოგუაც** შეუერთდა. გოგუას შოტლანდიასთან გასვლითი მატჩის შემდეგ ეროვნულში აღარ უთამაშია და იმედია ქომაგებს თავგამოდებული თამაშით შეახსენებს თავს.

**დავით ცაბაძე**
დოჰა-თბილისი







გახსენი... ყაზბეგი

www.kazbegi.com

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ლეგიონერი

# გიორგი შაშიაშვილი მაღაზე მოვიდა

## წრის სიმბოლურ ნაკრებში მოვხვდები

**გიორგი შაშიაშვილმა** ბევრი გააოცა. მცველი უკრაინის ერთ-ერთი რიგითი გუნდის, ოდესის "ჩერნომორეცის" ძირითად შემადგენლობაშიც იშვიათად ხვდებოდა, ეროვნულ ნაკრებში კი თამაში თითქმის არ ჩაუგდია. "ჩერნომორეცში" ესეც არ ჩააგდეს აინუნშიც და გაუშვეს. თბილისის "დინამოში" ჩატარებული ნახევარი წლის შემდეგ ავსტრიულ "შტურმში" ჩაირიცხა და კითხვაც მაშინვე დაიბადა - უკრაინაში ვერაფერს გახდა და ავსტრიის ცნობილ კლუბში რა პერსპექტივა ელოდა?



თურმე ძალიანაც დიდი პერსპექტივა ელის და ეს დრომ გამოაჩინა. შაშიაშვილი "შტურმის" შეუცვლელი და ერთ-ერთი დასაყრდენი ფეხბურთელი გახდა.

გიორგიმ საინტერესო ამბავი გაგვიმხილა: *"პირველ წრეში ტურის სიმბოლურ ნაკრებში ხუთჯერ მოვხვდი. უკვე თხუთმეტი ტური ჩატარდა და პირველი ნახევრის დასრულებამდე სამი შეხვედრა დარჩა. სიმბოლურ ნაკრებში ორჯერ მარცხენა მცველის პოზიციიდან მოვხვდი, სამჯერ კი დაცვის ცენტრში თამაში დამიფასეს. როგორც მითხრეს დიდი შანსი მაქვს, რომ პირველი ნახევრის სიმბოლურ ნაკრებში დამასახელონ. ძალიან მიხარია, ასეთი დონის ჩემპიონატში რომ მალიარეს. იანკერი, ციკლერი, "ბაიერნში" ნათამაები კოვაჩი ავსტრიაში თამაშობენ. მართალია, ისინი ასაკში არიან, მაგრამ ასეთი ავტორიტეტები დაბალი დონის პირველობაზე თამაშს არ დათანხმდებიან".*

ავსტრიაში გიორგი შაშიაშვილის წარმატებული თამაში ამძაფრებს ვარაუდს, რომ ოდესის "ჩერნომორეციდან" მისი გამოშვება უკრაინის ნაკრების მთავარი მწვრთნელის, **ოლეგ ბლოხინის** მითითებით მოხდა, რაზეც გიორგი საუბრობდა. ბლოხინი საშინლად ღიზიანდებოდა, როდესაც უკრაინული გუნდები კონკურენტი ნაკრებების ფეხბურთელებს ათამაშებდნენ.

**მერაბ მამულაშვილი**



# ნიკა გელაშვილის პერსპექტივა: ბრიუგე, ბეერსხოტი, მეხელენი

საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი ნიკა გელაშვილი ზაფხულში ბელგიაში იმყოფებოდა. თავიდან ის "ბრიუგეში" გასინჯეს და არაევროკავშირელთა სიმრავლის გამო, "ბეერსხოტში" განათხოვრება შესთავაზეს.

მან ეს არ ისურვა, რადგან ზამთარში "ბრიუგედან" ორი მსგავსი სტატუსის ფეხბურთელი წასვლას აპირებდა. გელაშვილმა მოცდა ამჯობინა და დროებით თავის კლუბს, "ვიტ ჯორჯიას" დაუბრუნდა.

გუშინ ნიკამ სიახლე გაგვიმხილა: *"მენეჯერი დამიკავშირდა და მითხრა, რომ ბელგიაში მელოდებიან. თუკი "ბრიუგეში" არ ჩავირიცხები, მაშინ კონტრაქტს "მეხელენთან" ან "ბეერსხოტთან" გავაფორმებ. საქართველოში არც ერთი მიწვევა არ მიმიღია. სიმართლე გითხრათ, ამაზე არც ვფიქრობ, გული ბელგიისკენ მიმიწევს. აქაური და იქაური ჩემპიონატის და პირობების შედარება არც შეიძლება".*

**მერაბ მამულაშვილი**

# სიურპრიზი ტოპმიოლერისგან

## როგორ გამოაცილეს ფრანგებმა სანაია

ამირან სანაია კლაუს ტოპმიოლერის კიდევ ერთი სიურპრიზია. მწვრთნელმა საქართველოს ეროვნულ ნაკრებში 19-წლამდელთა გუნდის მარცხენა მცველი მიიწვია. ჯვაროსნების მარცხენა ფლანგზე გერმანელმა სპეციალისტმა ზაალ ელიავა შეიგულა, მაგრამ "სკონტოს" ქართველი ლეგიონერი ტრავმებმა გაანვალა და მის ადგილზე უნივერსალმა გიორგი შაშიაშვილმა ითამაშა. თუმცა ტოპმიოლერი ახალ-ახალი სახეების ძებნით გუნდში კონკურენციის გაძლიერებას ცდილობს.

**ამირან სანაია ფრანგულ კლუბ "ლე მანში" ზაფხულში ჩაირიცხა, საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებში თავი გამოიჩინა და ეტყობა, ტოპმიოლერს ძალიან მოეწონა. ტრაფარეტული ფრაზაა - "ძალიან გამახარა ნაკრებში მიწვევამ", მაგრამ ამირან სანაიას მიერ ნათქვამ ამ სიტყვებში მართლა უზომო სიხარული იგრძნობა.**

- არაფერ განსაკუთრებულს არ ვიტყვი. ჯერ ერთი, მიწვევას არ ველოდი, ამაზე ფიქრსაც ვერ ვბედავდი.

**- არავინ ელოდა...**

- მესმის, ჩემთვის იყო სიურპრიზი და ხალხისთვის რაღა იქნებოდა. ერთ-ერთი ვარჯიშის შემდეგ თამაზ ბოკერია დამიკავშირდა და მითხრა, კლაუსმა გამოგიძახაო. ნაკრები ყველა ფეხბურთელის ოცნებააო და არ ვიცი, როგორ გადმოგცეთ, მაშინ რა დამემართა. გამიხარდა ის სიტყვა არაა.

**- მიწვევა კარგია, მაგრამ ნაკრებში თამაში - მეორე. დებიუტანტებისთვის თავის გამოჩენა ყოველთვის რთულია.**

- ყველაფერს გავაკეთებ, ვინმემ რომ არ თქვას, ეს ბიჭი რისთვის გამოიძახეთო. მხოლოდ მიწვევა არაფერია. მთავარია, იქ როგორ გამოვიჩენ თავს. იმედია, ახალი ფეხბურთელისთვის მიცემული შანსი არავის ეწყინება.

**- 19-წლამდელთა შესარჩევი თამაშის დროს მიღებული ტრავმა საბოლოოდ მოირჩინე?**

- დიახ, საკმაოდ სწრაფად მიმკურნალეს. თავიდან შიში მქონდა, მაგრამ კუნთი მქონდა დაჭიმული, მეტი არაფერი.

**- ვარჯიში როდისღა დაიწყე?**

- თურმე, სანერვიულო არაფერი ყოფილა. ჩასვლიდან სამ დღეში მსუბუქად ვარჯიში დავიწყე, მერე კი გუნდს შევუერთდი.

**- ამჟამად "ლე მანის" ძირითადში ვარჯიშობ?**

- ჯერ მხოლოდ დუბლებში ვარ, მაგრამ იმედი მაქვს, სეზონის შემდეგ ძირითადში გადავალ. უკვე სამი შეხვედრა ჩავატარე თბილისში გამართული შესარჩევი ციკლის შემდეგ. პირველად მხოლოდ მეორე ტაიმში, შეცვლაზე, ფეხი კიდევ მტკიოდა, მაგრამ მწვრთნელს და პრეზიდენტს ჩემი თამაში მოეწონათ და შემდეგ ორივე შეხვედრა შეუცვლელად ჩავატარე. ნდობას ვგრძნობ და ეს მახარებს.

**- "ლე მანში" ჩარიცხვის შემდეგ ფიზიკურად მოღონიერდი?**

- მნიშვნელოვნად. ახლა ესაა ჩემი საფიქრალი, ფიზიკური მომზადებით ფრანგებს მაქსიმალურად გავუსწორდე. დიდ დროს ვატარებ ტრენაჟორებზე. ასევეა ვახო ფანცხავა, რომელთან ერთადაც "ლე მანში" ჩავირიცხე.

**- ფანცხავა ისევ ტრავმირებულია?**

- წელი ტკიოდა, მაგრამ ახლა უკვე ვარჯიშობს. მას ფიზიკურად ამზადებენ, წონის პატარა პრობლემაც ჰქონდა. თუმცა ახლა წონაშიც დაიკლო და ფორმაშიც შევიდა. მწვრთნელმა უთხრა, რომ მალე ათამაშებს.

**- საქართველოდან წასულს საფრანგეთში უპირველესად რა მოგხვდა თვალში?**

- ბევრი რამ, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც პირობები იყო, ძალიან გამორჩეულია საფეხბურთო გარემოც. ეს ძალიან ბევრს ნიშნავს. მე ასეთი პირობები საქართველოში არსად მინახავს. ერთადერთი ნაკრებში გვიქმნიდნენ სასიამოვნო გარემოს. ეს იყო და ეს. ნაკრებებს ახლა დიდ ყურადღებას აქცევენ.

**- შენზე თითქმის არაფერი ვიცით. იქნებ, გვიამბო საკუთარ თავზე?**

- მე სოხუმელი ვარ, ომის შემდეგ სახლი დავტოვეთ. ვთამაშობდი "თბილისში", იქიდან 17-წლამდელებში მიმიწვიეს და მერე "ზესტაფონში" ამიყვანეს.

**- ფრანგებმა როგორ მიგიღეს?**

- ძალიან კარგად. სხვათა შორის, ნაკრებში რომ მიმიწვიეს, გულით მომილოცეს და წარმატება მისურვეს.

**- დებიუტი წარმატებული გამოდგა, ყატართან ნაკრებმა მოიგო და ნაკრების ფორმა პირველად მოირგე. მოსალოცი საქმეა...**

- დიდი მადლობა, ძალიან კმაყოფილი ვარ, ტოპმიოლერმა შანსი რომ მომცა.

**- შენი აზრით, ამ შანსით ისარგებლე?**

- ვერ გეტყვი, ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია.

**- რომელ პოზიციაზე ითამაშე?**

- ჩემს ადგილზე, მარცხენა მცველად. დიდი ბედნიერებაა კალაძის, ხიზანიშვილის, ცქიტიშვილის გვერდით თამაში და ამასთან დიდი სიამოვნებაა. დებიუტი კი იყო, მაგრამ ამხელა ფეხბურთელების გვერდით ძალა, თავდაჯერება ვიგრძენი. პირადად მე ყატარიდან ბედნიერი ჩამოვედი, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, თამაში მოვიგეთ.

**- შეხვედრის შესახებ მწირი ინფორმაციები გვაქვს და იქნებ, მის მსვლელობაზე გვიამბო.**

- მთელი თამაში ჩვენი უპირატესობით მიმდინარეობდა და გაცილებით დიდი ანგარიშით უნდა მოგვეგო.

**- ყატარულ სიცხეს როგორ გაუძელით?**

- ამას თუ გაძლება ჰქვია. საშინელი სიცხე იყო და თავიდან ძალიან გაგვიჭირდა. ამანაც შეგვიშალა ხელი, თორემ, ხომ გითხარით, გაცილებით დიდი სხვაობით უნდა მოგვეგო.

**- ყატარს სუსტი ნაკრები ჰყავს?**

- საკმაოდ სუსტი, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მოგება ნაღდად არ გაგვჭირვებია. როცა ანგარიში გაგვითანაბრეს, მოგებაში მაშინაც დარწმუნებული ვიყავით.

**მერაბ მამულაშვილი**

## გულშემატკივართა საყურადღებოდ!

### საქართველო-ლიტვა, 21 ნოემბერი

საქართველოსა და ლიტვის ეროვნულ ნაკრებთა შეხვედრაზე დასასწრები ბილეთების გაყიდვა ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის სალაროებში დაიწყება ორშაბათს, 19 ნოემბერს, დილის 11 საათიდან.

ორშაბათს და სამშაბათს სალაროები იმუშავებს 18 საათამდე, ხოლო ოთხშაბათს, მატჩის დღეს, დილის 11 საათიდან 19.30 საათამდე.

ბილეთის ფასია 5, 10 და 20 ლარი.

თამაშის დღეს სტადიონზე შესასვლელი კარებები 17 საათიდან გაიღება.

ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე შეხვედრა 19 საათსა და 30 წუთზე დაიწყება.

### საქართველო-რუსეთი (ახალგაზრდულები), 20 ნოემბერი

საქართველოს და რუსეთის 21 წლამდე ნაკრებების მატჩზე დასასწრები ბილეთები გაიყიდება მ. მესხის სახელობის სტადიონის სალაროებში 20 ნოემბერს, დილის 11 საათიდან 19 საათამდე.

ბილეთის ფასია 2-5 ლარი

მ. მესხის სტადიონზე შეხვედრა 19 საათზე იწყება.

გულშემატკივრებს მოვუწოდებთ ყურადღებით გაეცნონ ორივე მატჩის ბილეთების უკანა მხარეზე დაბეჭდილ წესებს და მკაცრად დაიცვან ისინი!

www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტოქეები

# პრინციპული მხოლოდ თბილისია



შოტლანდია-იტალია 1:2. გამარჯვების გოლი პანუჩიმ (2) გაიტანა

ჩვენს შესარჩევ ჯგუფს ინტრიგა ამ შაბათამდე შემორჩა, ყველაფერი კი ისე დასრულდა, როგორც ამას სპეციალისტთა უმრავლესობა ვარაუდობდა. იტალიამ მძიმე ბრძოლაში, მაგრამ დამაჯერებლად ჩაატარა გლაზგოური მატჩი და ევროპის ჩემპიონატი მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონთა გარეშე არ ჩაივლის. შოტლანდია-იტალიამ ოთხშაბათს გასამართ უკრაინა-საფრანგეთს ყოველგვარი აზრი დაუკარგა, ასე რომ, ბოლო ტური პრინციპული მხოლოდ ჩვენთვის და ლიტველთათვის იქნება. ბალტიელებს მეოთხე ადგილის შანსიც კი აქვთ, საამისოდ მათ თბილისში გამარჯვება სჭირდებათ.

**შოტლანდია-იტალია 1:2**

17 ნოემბერი. გლაზგო. ჰემპდენ პარკი. 60 000 მაყურებელი

0:1 ტონი (2), 1:1 ფერგიუსონი (65), 1:2 პანუჩი (90)

შოტლანდია: გორდონი, ჰატონი, ვეირი, მაკმანუსი, ნეისმიტი, ბრაუნი (74. მილერი), ფლეტჩერი, ჰარტლი, ფერგიუსონი, მაკკალოჰი (90. ბოიდი), მაკფადენი

იტალია: ბუფონი, პანუჩი, კანავარო, ბარძალი, ძამბროტა, კამორანეზი (83. კიელინი), გატუზო (87. დე როსი), პირლო, ამბროზინი, დი ნატალე (68. იაკინტა), ტონი

გაფრთხილება: ნეისმიტი (34), მაკკალოჰი (44), ტონი (45)

მატჩის დასაწყისმა მთელი შოტლანდია შოკში ჩააგდო. **ანტონიო დი ნატალემ ლუკა ტონის** უპასა და იტალიელთა მთავარმა მეგოლემ თავისი გუნდი მიზანს მიაახლოვა. **ალექს მაკლიშის** შეგირდებს ისედაც გამარჯვება სჭირდებოდათ და მაშინვე მთელი ძალებით ეკვეთნენ სკუადრა აძურას საჯარიმოს.

სათამაშო და ტერიტორიული უპირატესობა შოტლანდიელთა მხარეს გადავიდა, მაგრამ დრო გადიოდა და ყველაფერი სტუმართათვის სასარგებლო შინაარსით მიმდინარეობდა. მასპინძლები კი უშანსოდ ნამდვილად არ ყოფილან. ყველაზე რეალური საგოლე მომენტი **ბარი ფერგიუსონს** ჰქონდა, რომელმაც ახლო მანძილიდან ბურთს ფეხი უხეიროდ ნაჰკრა.

სკოტთა თავგამოდებამ შედეგი მაინც გამოილო, იმავე ფერგიუსონმა 65-ე წუთზე იტალიელ მცველებს დაასწრო და **ბუფონს** შანსი არ დაუტოვა. ამის შემდეგ ფერგიუსონმა კიდევ ერთი ხელსაყრელი შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან და უფრო კლასიანმა აპენინელებმა წერტილი თავად დასვეს. **პანუჩის** გოლმა ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა.

**რობერტო დონადონი:** *"ძალიან მძიმე მატჩი იყო, დიდი მადლობა ჩემს ფეხბურთელებს, რომლებმაც ხასიათის სიმტკიცე კიდევ ერთხელ გამოავლინეს. ბრწყინვალე საფეხბურთო სპექტაკლში გაიმარჯვეთ, ევროპის ჩემპიონატზე გასვლა ნამდვილად დავიმსახურეთ".*

**ლიტვა-უკრაინა 2:0**

17 ნოემბერი. კაუნასი. დარიუსი და გირენასი. 17 000 მაყურებელი

1:0 სავენასი (41), 2:0 დანილიავიჩუსი (67)

ლიტვა: კარჩემარსკასი, სკერლა, ჟვირგჟდაუსკასი, პაულაუსკასი, კლიმავიჩუსი, დედურა, სტანკიავიჩუსი, სავენასი, პოპესკუსი (17. მორინასი), იანკაუსკასი (89. კალონასი), დანილიავიჩუსი (82. ველიჩკა)

უკრაინა: შოვკოვსკი (42. პიატოვი), ვაშჩუკი, ჩიგრინსკი, ეზერსკი, ტიმოშჩუკი, შელაევი (72. ნაზარენკო), როტანი, გაი, გუსევი, შევჩენკო, ვორონინი (67. მილევსკი)

გაფრთხილება: კლიმავიჩუსი (65), დანილიავიჩუსი (75), შევჩენკო (81)

კაუნასში წვიმდა, რამაც მატჩის სანახაობრივ მხარეზე უარყოფითი გავლენა მოახდინა. თანაც, ლიტველები და უკრაინელები სანახაობრივ ფეხბურთს ისედაც არ თამაშობენ და სანახაობა საკმაოდ უსახური იყო.

დებიუტი უკრაინელთა უპირატესობით აღინიშნა, ორი შესანიშნავი შანსი ჰქონდა **რუსლან როტანს**, რომელმაც ბურთი ძელს მოარტყა. ლიტველები მალე მოეგნენ გონს და ნელ ნელა გააქტიურდნენ. მათი პირველივე რეალური საგოლე მცდელობა წარმატებით დასრულდა. **ჩიგრინსკიმ** უხეში შეცდომა დაუშვა, რითაც **სავენასმა** ისარგებლა, სტუმართა მეკარესთან პირისპირ გავიდა და ანგარიშიც გახსნა. ამ ეპიზოდში უკრაინელთა ვეტერანმა კიპერმა **შოვკოვსკიმ** ტრავმა მიიღო და შესაცვლელი შეიქნა.

მეორე ტაიმში **ბლოხინის** გუნდმა თავი ვერაფრით გამოიჩინა, ლიტველებმაც ტემპი დააგდეს, თუმცა მინიმალური სხვაობა არ იკმარეს და **დანილიავიჩიუსის** ეფექტური გოლით მეტოქე უშანსოდ დატოვეს.

**ალგიმანტას ლიუბინსკასი:** *"გარკვეული საკადრო და სათამაშო პრობლემების მიუხედავად, მაქსიმალური მობილიზებით თამაში შევძელით. თბილისშიც არანაკლებ მძიმე შეხვედრა გველის და იქაც გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ".*

**ოლეგ ბლოხინი:** *"ვერ ვიტყვი, რომ ჩემი ფეხბურთელები ბოლომდე არ დაიხარჯნენ, მატჩის არნაგება თავისუფლად შეგვეძლო. ახლა საფრანგეთზე უნდა გადავერთოთ, ამ შეხვედრას ამხანაგურის რანგში ნამდვილად არ განვიხილავთ".*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იტალია | 11 | 8 | 2 | 1 | 19-8 | 26 |
| 2. საფრანგეთი | 11 | 8 | 1 | 2 | 23-3 | 25 |
| 3. შოტლანდია | 12 | 8 | 0 | 4 | 21-12 | 24 |
| 4. უკრაინა | 11 | 5 | 1 | 5 | 16-14 | 16 |
| 5. ლიტვა | 11 | 4 | 1 | 6 | 9-13 | 13 |
| 6. საქართველო | 11 | 3 | 1 | 7 | 16-17 | 10 |
| 7. ფარერები | 11 | 0 | 0 | 11 | 3-40 | 0 |

**ბოლო ტური**

**21 ნოემბერი**

საქართველო-ლიტვა

უკრაინა-საფრანგეთი

იტალია-ფარერები

**ლევან ჯანეზაშვილი**

ახალგაზრდული ნაკრები

# რუსები ანთალიიდან ჩამოფრინდნენ

რუსეთის ახალგაზრდული ნაკრები თბილისში გუშინ ჩამოვიდა. მეზობლები ანთალიიდან გვეწვივნენ, სადაც ისინი საგანგებოდ ამ მატჩისთვის, რამდენიმედღიან შეკრებაზე იმყოფებოდნენ. ჩრდილოელთა დელეგაცია სასტუმრო "შერატონში" დაბინავდა. პირველი თბილისური ვარჯიში რუსებმა "მერანის" სტადიონზე ჩაატარეს. მათი მთავარი მწვრთნელი **ბორის სტუკალოვი** შეგირდთა მზადყოფნით კმაყოფილია და ხვალინდელი შეხვედრის წინ, იმედიანადაა განწყობილი.

სტუკალოვი ქართულ მასმედიასთან დღეს ვრცლად ისაუბრებს, "კინოს სახლში", 4-ის ნახევარზე მისი პრესკონფერენცია გაიმართება. რუსეთის ახალგაზრდული ნაკრები მეორე ვარჯიშს დღესვე, საღამოს 7 საათზე, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ჩაატარებს.

შეგახსენებთ, საქართველო-რუსეთი ხვალ გაიმართება. მატჩი "მიხეილ მესხზე" 7 საათზე დაიწყება. ბილეთები იქვე გაიყიდება, 2-5 ლარად. სალაროები ხვალ დილიდან მატჩის დაწყებამდე იმუშავებს.

რუსეთის ახალგაზრდული ნაკრები

მეკარეები: **მიხაილ კერჟაკოვი** (ზენიტი), **სოსლან ჯანაევი** (კამაზი).

მცველები: **სერგეი ეფიმოვი** (ლოკომოტივი), **იური ლებედევი** (ზენიტი), **ვლადიმირ გრანატი** (დინამო მ.), **ფიოდორ კუდრიაშოვი** (სპარტაკი მ.), **ანდრეი ლუკანჩენკოვი** (მოსკვა), **ივან ტარანოვი** (ცსკა), **რომან შიშკინი** (სპარტაკი მ.), **ანდრეი ნაგუმანოვი** (ტექსტილშჩიკი), **კირილ ნაბაბკინი** (ცსკა).

ნახევარმცველები: **კირილ კომბაროვი** (დინამო მ.), **დმიტრი კომბაროვი** (დინამო მ.), **ვიქტორ ფაიზულინი** (სპარტაკი ნ.), **ოლეგ სამსონოვი** (სპარტაკი მ.), **პაველ გოლიშევი** (მოსკვა), **დმიტრი იატჩენკო** (სპარტაკი ნ.), **იური როდენკოვი** (სპარტაკი ნ.).

თავდამსხმელები: **არტიომ ძიუბა** (სპარტაკი მ.), **ალექსანდრ პრუდნიკოვი** (სპარტაკი მ.), **ოლეგ კოჟანოვი** (ურალი), **ნიკიტა ტალალიჩინი** (ცსკა).

**ლევან ჯანეზაშვილი**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადაიხადე სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის ყაზბეგის გათამაშება

# ბაციკაძის დუბლი და კუნჭულიას პირველი მოგება

## ბათუმმა ხანგრძლივი ძილის შემდეგ გამოიღვიძა

**C ჯგუფი**

გადადებული მატჩი

**ბათუმი 2:1 ბორჯომი**

ბათუმი. ადელი. 150 მაყურებელი

0:1 ყველაშვილი (18. ჯიქიას პასით); 1:1 ბაციკაძე (55); 2:1 ბაციკაძე (90. ოქრუაშვილის პასით)

ბათუმი: **თოთლაძე-კუნჭულია, გალოგრე, კ. მახარაძე, მარკარიანი — ბეჟანიძე (65. დემურაძე), დარჩიძე, ცანავა, ოქრუაშვილი-ტულუში (70. ლ. მახარაძე), კაკალაძე (32. ბაციკაძე).**

*სათადარიგოები: მამინაშვილი, ბაჯელიძე, ბ. მახარაძე.*

ბორჯომი: **შეყრილაძე-ლონლაძე, მერებაშვილი, ჭელიძე, აკობია-ნერგაძე, ხანიშვილი (61. ქარქუზაშვილი), ბაბუნაშვილი, მემარნიშვილი-ჯიქია, ყველაშვილი.**

*სათადარიგოები:* **გლუნჩაძე, თედიაშვილი.**

გაფრთხილება: მემარნიშვილი (40), ცანავა (44), ხანიშვილი (44)

არბიტრი: **ჯ. ბუიშვილი**

ნავსი გატყდა! როგორც იქნა, ბათუმის „დინამომ" წლეულს პირველი საშინაო გამარჯვება მოიპოვა. აქამდე ზღვისპირელებს მხოლოდ ერთი შეხვედრა (ისიც სათასო) ჰქონდათ მოგებული „მერანთან" და ამ შეხვედრაში გამარჯვება გუნდს ჰაერივით სჭირდებოდა. გამარჯვება სჭირდებოდა ბათუმელთა მთავარ მწვრთნელს **ავთო კუნჭულიასაც**, რომლისთვის ეს პირველი სამი ქულა გახლდათ მას შემდეგ, რაც ბათუმელების მესაჭე გახდა.

რაც შეეხება თავად მატჩს, „ბორჯომმა" უკეთესი შთაბეჭდილება დატოვა. სტუმრები გაცილებით შეთამაშებულად გამოიყურებოდნენ და ძირითადად ბურთსაც ისინი აკონტროლებდნენ. მასპინძლებს მონდომება არ აკლდათ, მაგრამ ხშირად სცოდავდნენ. მასპინძლებს ბურთის დაჭერა უჭირდათ, რითაც კარგად სარგებლობდნენ სტუმრები და ძირითად დროს მეტოქის ნახევარზე ატარებდნენ. სწორედ ამან განაპირობა კიდეც, რომ პირველი გოლი მათ გაიტანეს.

მე-18 წუთზე მარცხენა ფლანგიდან **ჯიქიამ** საჯარიმოში გამჭოლი გადაცემა გააკეთა, იქ კი ყველას **ყველაშვილმა** დაასწრო და **თოთლაძე** უშანსოდ დატოვა. გოლი მეკარეზე მეტად ცენტრალური მცველების ბრალი იყო, რომლებმაც კარგად ვერ აუღეს ალღო სიტუაციას და სტუმართა ფორვარდი დასარტყმელ პოზიციაზე მარტო დატოვეს. ახლა ორიოდ სიტყვა ტაქტიკურ მონახაზზე. ორივე გუნდი 4-4-2 სისტემით თამაშობდა. თუმცა **კაკალაძე** შორსაა ოპტიმალური ფორმისგან და კუნჭულია სწორად მოიქცა, როდესაც მის ნაცვლად მოედანზე **ბაციკაძე** შეუშვა. რაც შეეხება ბათუმელთა მეორე ფორვარდს, მეტოქის კარის დალაშქვრის სურვილი **ტულუშს** იმდენად დიდი ჰქონდა, რომ ძალზედ ხშირად თამაშგარე მდგომარეობაში რჩებოდა, რასაც ვერ ვიტყვით სტუმართა თავდამსხმელებზე, რომლებიც საკმაოდ შეთანხმებულად თამაშობდნენ და ბათუმელთა მცველებს არაერთი თავსატეხი გაუჩინეს. 42-ე წუთზე სტუმართა კარის მიმართულებით საჯარიმო დარტყმა დაინიშნა, რომელიც კარგად შეასრულა **დარჩიძემ** - კარისკენ ნასროლი ბურთი ცოცხალ კედელში მდგომ ერთ-ერთ ფეხბურთელს ხელზე მოხვდა, მასპინძლებმა პენალტი მოითხოვეს, თუმცა მსაჯმა სხვაგვარად განსაჯა. პირველი ტაიმიც ისე დასრულდა, რომ ერთი-ორი უმნიშვნელო მომენტის გარდა, საინტერესო ვერაფერი ვიხილეთ.

მეორე ტაიმი კვლავაც სტუმართა ტერიტორიული უპირატესობით წარიმართა, თუმცა აქ უკვე ფორტუნა მასპინძლების მხარეს იყო. აშკარად სწორი ცვლილება გააკეთა კუნჭულიამ, როდესაც მოედანზე კაკალაძის ნაცვლად ბაციკაძე შეუშვა. ახალგაზრდა ფორვარდმა 55-ე წუთზე სტუმართა საჯარიმოში შექმნილი არეულობით ისარგებლა და ანგარიში გაათანაბრა. მსაჯის მიერ დამატებულ ბოლო წუთზე კი მეტოქეს გამარჯვება გამოსტაცა ხელიდან. აქ უნდა აღინიშნოს სწრაფი კომბინაცია, რომელიც მასპინძლებმა გაათამაშეს და რომელიც ნებისმიერ საფეხბურთო მატჩს დაამშვენებდა. მოედნის ცენტრალური ზონიდან შეტევა **კახა მახარაძემ** წამოიწყო და ბურთი დარჩიძეს გადააწოდა, რამდენიმე მეტრის გავლის შემდეგ ბათუმელთა გამთამაშებელმა მარჯვენა ფლანგზე გაჭრილ **ოქრუაშვილს** გაუკეთა გადაცემა და საჯარიმოში შეიჭრა. ოქრუაშვილმა გამჭოლი გადაცემა გააკეთა, დარჩიძე ბურთისკენ დაიძრა და მცველებიც თან გაიტყუა, თუმცა ბურთი გაატარა, რასაც ბორჯომელები არ მოელოდნენ. ბურთი კართან ახლოს, ეულად დარჩენილ ბაციკაძეს მიუვიდა და მასაც გოლის გატანა არ გასჭირვებია - 2:1.

**ირაკლი დარცმელიძე**
ბათუმიდან

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორჯომი | 5 | 3 | 0 | 2 | 7-6 | 9 |
| 2. ოლიმპი | 5 | 2 | 1 | 2 | 5-5 | 7 |
| 3. ბათუმი | 5 | 2 | 1 | 2 | 3-4 | 7 |
| 4. მერანი | 5 | 1 | 2 | 2 | 2-2 | 5 |

**27 ნოემბერი**

ოლიმპი-ბათუმი

მერანი-ბორჯომი

**A ჯგუფი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპარტაკი | 5 | 4 | 0 | 1 | 9-2 | 12 |
| 2. ამერი | 5 | 4 | 0 | 1 | 16-4 | 12 |
| 3. მესხეთი | 5 | 2 | 0 | 3 | 6-7 | 6 |
| 4. ტორპედო | 5 | 0 | 0 | 5 | 1-19 | 0 |

**27 ნოემბერი**

ამერი-სპარტაკი

ტორპედო-მესხეთი

**B ჯგუფი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 5 | 3 | 1 | 1 | 9-6 | 10 |
| 2. მაღაროელი | 5 | 3 | 1 | 1 | 5-2 | 10 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 5 | 3 | 0 | 2 | 12-6 | 9 |
| 4. ლოკომოტივი | 5 | 0 | 0 | 5 | 1-13 | 0 |

**27 ნოემბერი**

მაღაროელი-ვიტ ჯორჯია

დინამო-ლოკომოტივი

**D ჯგუფი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დილა | 5 | 3 | 2 | 0 | 10-3 | 11 |
| 2. ზესტაფონი | 5 | 3 | 1 | 1 | 13-6 | 10 |
| 3. მგლები | 5 | 2 | 1 | 2 | 9-9 | 7 |
| 4. კახეთი | 5 | 0 | 0 | 5 | 2-16 | 0 |

**27 ნოემბერი**

ზესტაფონი-დილა

კახეთი-მგლები

*შეგახსენებთ, მეოთხედფინალში ჯგუფის ორი საუკეთესო გუნდი გადის. მუქი შრიფტით ის გუნდები არიან გამოყოფილნი, რომლებსაც ბოლო ტურის წინ მომდევნო ეტაპზე გასვლა უკვე განაღდებული აქვთ.*

ინტერვიუ ავთანდილ კუნჭულიასთან

# ნაადრევად ნუ ჩამოგვწერენ



ავთანდილ კუნჭულია

**მიმდინარე სეზონში "ბათუმის" წარუმატებელმა თამაშმა ბევრი შეკითხვა დაბადა. ზოგი ამას მწვრთნელს აბრალებდა, ზოგიც აღნიშნავდა, რომ გუნდს მოტივაცია აკლდა. მას შემდეგ, რაც კლუბი ამირან გოგიტიძემ დატოვა, გუნდმა რამდენიმე თამაში მთავარი მწვრთნელის გარეშე ჩაატარა. დღეს ბათუმელებს ავთანდილ კუნჭულია თავკაცობს, რომლის აქტივში სამ თამაშში ერთი მარცხი, ერთი ფრე და ერთიც გამარჯვებაა. მოგება ზღვისპირელებმა ბორჯომელებს შეხვედრის ბოლო წუთზე გამოსტაცეს. ინტერვიუც სწორედ „ბორჯომთან" მატჩით დავიწყეთ, თუმცა მთავარი მწვრთნელი „ლელოს" არაერთი საინტერესო საკითხზე ესაუბრა.**

**- პირველ რიგში გამარჯვებას გილოცავთ...**

- გმადლობთ. დამეთანხმეთ, ეს გამარჯვება არა მარტო ჩვენ, არამედ მთელ ქალაქს სჭირდებოდა. კარგად მოგეხსენებათ, თუ რა რთული პერიოდი უდგას კლუბს და თითოეულ ქულას ჩვენთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მიუხედავად იმისა, რომ „ბორჯომთან" მატჩში ჩვენს ბიჭებს არაერთი ხარვეზი ჰქონდათ, მაინც კმაყოფილი ვარ. პირველ რიგში მათი თავდადებული თამაშისა. მადლობა მინდა ვუთხრა გულშემატკივრებსაც, რომლებმაც გუნდი გაჭირვების ჟამს არ მიატოვეს.

**- თუმცა ფაქტია, რომ ერთი შეხვედრის მოგება დიდი ვერაფერი შელავათია......**

- გეთანხმებით. "ბათუმის" წარუმატებლობა ბევრი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზითაა განპირობებული. დავიწყოთ იმით, რომ ჩემპიონატის წინ ბიჭებს მოსამზადებელი პერიოდი არც გაუვლიათ. თანაც, ვისაც გუნდის ბირთვი უნდა შეეკრა, კლუბი დატოვა. ასე რომ, ასეთი სტარტი სავსებით ლოგიკური იყო.

**- მეორე წრიდან, ალბათ, გუნდის გაძლიერებაზე იზრუნებთ...**

- ეს აუცილებელიცაა. მეორე წრიდან გუნდი შესაძლოა სამმა წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვოს. ბეგლარ თედორაძე და ვიტალი დარჩიძე სინჯებზე უკრაინაში გაემგზავრებიან, მეკარე მამინაშვილი სავარაუდოდ რუსეთს მიაშურებს. ასე რომ, საფიქრალი და საზრუნავი ბევრი გვაქვს და გუნდის გაძლიერება აუცილებელია.

**- რომელ კლუბებში მიდიან?**

- მამინაშვილი, ალბათ „კუზბასში" წავა, რაც შეეხება დარჩიძესა და თედორაძეს, მხოლოდ ის ვიცით, რომ უკრაინის უმაღლესი ლიგის გუნდებში გაივლიან სინჯებს.

**- გუნდისთვის სამივე მათგანი საკმაოდ სერიოზულ ძალას წარმოადგენს და სანაცვლოდ, ალბათ შეიგულებდით ფეხბურთელებს...**

- ხუთ ფეხბურთელთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებას. მათი გვარების დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ, მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ოთხი მათგანი საქართველოში თამაშობს, ერთი კი რუსეთში. ერთსაც დავსძენ, ყველა რგოლის გაძლიერებას შევეცდებით. აქვე მინდა ვთქვა, რომ ძალიან კმაყოფილი ვარ ირაკლი თოთლაძის თამაშით და კარგი იქნება, თუკი მას ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობაც მიაქცევს ყურადღებას. ტოპმიოლერი მაკარიძეს ენდო და მანაც გაამართლა. ვიმედოვნებ, რომ მწვრთნელს იმედებს არც ირაკლი გაუმტყუნებს.

**- მოდით, კონკრეტულად დაგვიხასიათეთ თითოეული რგოლი თავისი ძლიერი და სუსტი მხარეებით...**

- მეკარეზე უკვე ვისაუბრეთ. რაც შეეხება სხვა რგოლებს, სანამ მათზე მოგახსენებდეთ, გეტყვით რომ გუნდი ფიზიკურად არ არის კარგად მომზადებული და ამაში დიდი როლი ტრავმებმა ითამაშა. დაცვას რაც შეეხება, აქ მარკარიანი, გალოგრე, კუნჭულია და კახა მახარაძე თამაშობენ. სამწუხაროდ, გამოუვალი მდგომარეობის გამო, ორი ნახევარმცველის - მახარაძისა და კუნჭულიას დაცვაში დაწევა მოგვიხდა. ვფიქრობ, ისინი ნორმალურად ართმევენ თავს დავალებას. მართალია, არის ხარვეზები, მაგრამ გამოვასწორებთ.

რაც შეეხება თავდასხმას, კაკალაძეს ჯერ კიდევ აწუხებს ძველი ტრავმა და „ბორჯომთან" მატჩში ამიტომაც შევცვალეთ. ტულუშიც ვერ თამაშობდა ჩვეულად. აი, ბაციკაძემ კი ნამდვილად გაამართლა. ჩვენ დავუკავშირდებით 17 წლამდელთა ნაკრების ხელმძღვანელობას და ამ ბიჭს რეკომენდაციას გავუწევთ. ძალიან მონდომებულია, სწრაფია, კარგად აზროვნებს. ეგაა, გამოცდილება აკლია, მაგრამ დროსთან ერთად ისიც მოვა.

**- გუნდის მტკივნეული ადგილი ნახევარდაცვაა, რომელიც ხშირად ვერ ასწრებს წინ ასვლას და ფორვარდთა დახმარებას, რითაც შეტევებს სიმწვავე აკლდებათ...**

- სავსებით სამართლიანი შენიშვნაა. მაგრამ აქაც გასათვალისწინებელია, რომ კახა მახარაძე გუნდს გვიან შეუერთდა, ცანავას ტრავმა ჰქონდა. ორივე ფეხბურთელი სეზონს მოუმზადებელი შეხვდა. თანაც, კარგად იცით, რომ ერთ და ორ კვირაში გუნდი სათანადოდ ვერ ათამაშდება, ყველაფრისთვის დროა საჭირო.

**- თქვენ აღნიშნეთ, რომ გუნდი ფიზიკურად სუსტად გამოიყურება...**

- დიახ, ასეა. სწორედ ამიტომ, ვაწარმოებთ მოლაპარაკებას საქართველოში ფიზმომზადების ერთ-ერთ ცნობილ სპეციალისტთან ავთანდილ ბერიძესთან. თუკი ის ბათუმში ჩამოსვლას და ჩვენთან მუშაობას დათანხმდება, მაშინ ჩვენი ბიჭები გაცილებით უკეთესად ითამაშებენ. თანაც, პირადად მე შემტევი ფეხბურთის მიმდევარი ვარ, ასეთ დროს კი კარგი ფიზიკური მომზადება აუცილებელია.

**- საკონტრაქტო სისტემაზე მინდა გკითხოთ. "ბათუმში" ფეხბურთელები ხშირ შემთხვევებში ექვსი თვით ჩამოდიოდნენ, ათამაშდებოდა გუნდი და...**

- მესმის, რისი კითხვაც გინდათ. იმედი მაქვს, ჩვენთან გაცილებით ხანგრძლივი კონტრაქტები ექნებათ. საამისოდ ფინანსებია საჭირო. აქვე, ვისარგებლებ შემთხვევით და მადლობას გადავუხდი აჭარის მთავრობას, აჭარის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს დავით თავართქილაძეს, ნავთობტერმინალის ხელმძღვანელობას, ქალაქში მოღვაწე ბიზნესმენებს, რომლებმაც რეალური ნაბიჯები გადმოდგეს ჩვენსკენ და ბიჭებიც ამ გამარჯვებისთვის პრემიალურებსაც მიიღებენ. მატჩის შემდეგ ბევრმა დაგვირეკა, გვილოცავდნენ, ძალზედ გახარებულები იყვნენ და შემდგომ თანადგომასაც დაგვპირდნენ.

**- ბევრს "ბათუმი" უმაღლესი ლიგიდან გასავარდნად განწირულად მიაჩნია, არადა, ელიტაში დარჩენის შანსი გუნდს ნამდვილად აქვს...**

- შანსი ყველას აქვს. ჩვენ აქცენტი ჩემპიონატზე გადავიტანეთ. ახლა ერთი გასვლითი, თანაც საკმაოდ რთული შეხვედრა გველის „ზესტაფონთან", შემდეგ კი „ლოკომოტივსა და „მესხეთს ვმასპინძლობთ. იმერეთში ვიმედოვნებ, ღირსეულ წინააღმდეგობას გავუწევთ მეტოქეს. რაც შეეხება დარჩენილ ორ შეხვედრას, ქულათა მაქსიმუმის მოპოვებას ვგეგმავთ და თუ ეს შევძელით, მაშინ წელშიც გავიმართებით. მეორე წრეში კი ვეცდებით, სახიფათო ზონას თავი დავაღწიოთ, რომ უმაღლესიდან გავარდნის საფრთხე აღარ შეგვექმნას. ნაადრევად ნუ ჩამოგვწერენ, ჩვენ სიტყვას აუცილებლად ვიტყვით.

**ირაკლი დარცმელიძე**
ბათუმიდან

# სპარტაკს ჯორჯიამაც აჯობა

ეროვნულ ჩემპიონატში გამოცხადებული იძულებითი პაუზით "ვიტ ჯორჯიას" სამწვრთნელო შტაბმაც ისარგებლა. ვეტერინარებმა მცხეთაში ცხინვალის "სპარტაკს" ამხანაგურად უმასპინძლეს. მასპინძლებს ეროვნულ ნაკრებში გამოძახებულები, **ალექსანდრე კვახაძე და ნიკოლოზ გელაშვილი**, ასევე ახალგაზრდულის შეკრებაზე მყოფი **ირაკლი კლიმიაშვილი** აკლდათ. შესუსტებული შემადგენლობის მიუხედავად, "ჯორჯიამ" მატჩი ალმავლობით ჩაატარა და 2:1 გაიმარჯვა.

**ნესტორ მუმლაძის** გუნდმა მეტოქის კარი ორივეჯერ სტანდარტული სიტუაციიდან დალაშქრა. მე-40 წუთზე **ვასილ ლუჭაშვილმა** გაიტანა თავური საჯარიმოს შემდეგ, 57-ეზე კი **დავით ლომაიამ** ასევე თავით გადაგზავნა კუთხურიდან მოწოდებული ბურთი მეტოქის კარში. 78-ე წუთზე სპარტაკელმა **ირაკლი ჩირიკაშვილმა** პენალტით შეძლო პრესტიჟის გოლის გატანა. შეგახსენებთ, რამდენიმე დღის წინ ტესტ-მატჩში "სპარტაკი" "დინამოსთან" 0:4 განადგურდა. "ვიტ ჯორჯიამ" ცხინვალელებს ამ შემადგენლობით სძლია:

**ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი, ადამაძე, ლომაია, ჯაფარიძე (64. იმერლიშვილი), რაზმაძე (55. როსტიაშვილი), გ. დათუნაიშვილი, ბეჭვაია, მელქაძე, სახოკია (46. ბერიაშვილი), ლუჭაშვილი.**

**ლევან ჯანეზაშვილი**

# როცა შენი ბედი შენს ხელთაა...

## ინგლისი თელ-ავივში გაცოცხლდა. დარჩა ოთხი ვაკანსია

შაბათ-კვირას გამართულმა ტურმა ავსტრია/შვეიცარიაში გასამართი ფინალური ეტაპის კიდევ მონაწილე დაასახელა. საგზურები პოლონეთმა, იტალიამ, საფრანგეთმა, ხორვატიამ, ესპანეთმა და ჰოლანდიამ მოიპოვეს. მანამდე ანალოგიური წარმატებამ მოპოვებული ჰქონდათ საბერძნეთს, გერმანიას, ჩეხეთსა და რუმინეთს. ახლა დავამატოთ ამათ ორი მასპინძელიც და გამოდის, რომ ფინალური სტადიის 16 მონაწილიდან 12 უკვე ცნობილია. რაც შეეხება დარჩენილ ოთხ საგზურს. A ჯგუფში სიტუაცია გამარტივდა მას შემდეგ, რაც პორტუგალიამ მორიგი გამარჯვება მოიპოვა. ახლა, ლუიშ ფელიპე სკოლარის გუნდს ფინეთთან (შინ) დასკვნით შეხვედრაში ფრეც აძლევს ხელს. თურქეთმა ოქროს 3 ქულა აილო ოსლოში და B ჯგუფიდან გასვლის რეალური შანსი გაუჩნდა. ბოლო ტურში, საკუთარ მოედანზე, ჩვენს მეზობელს ბოსნიის დამარცხება სჭირდება. ისრაელმა (E ჯგუფი) დიდი საქმე გაუკეთა ინგლისს, რომელსაც ახლა ხორვატიასთან ფრეც ჰყოფნის ჯგუფიდან გასასვლელად. შვედეთს კი არ უნდა გაუჭირდეს ლატვიასთან შინ ერთი ქულის აღება, რაც F ჯგუფიდან მეორე ვაკანტური საგზურის მოპოვების ტოლფასი იქნება...

UEFA
EURO2008
Austria-Switzerland



ისრაელმა რუსეთი დაასამარა

### A ჯგუფი

**ფინეთი-აზერბაიჯანი 2:1**

**ფინეთი:** იაასკელაინენი, ჰიიპია, კალიო (66. ვაირინენი), პასანენი, ტიჰინენი, რ. ერიომენკო (80. კუკი), კოლკა, სიოლუნდი, ტაინიო, ფორსელი, იოჰანსონი (59. ლიტმანენი).

**აზერბაიჯანი:** ვალიევი, აბასოვი, გულიევი (61. ლადაგა), ნდუკა (46. ალიევი), სადიგოვი, იუნის ოღლუ, მ. გურბანოვი, მაჰამაროვი, ტაგიზადე, რამაზანოვი, სუბაშიჩი.

**გოლები:** 0:1 მ. გურბანოვი (63), 1:1 ფორსელი (79), 2:1 კუკი (86)

**მაყურებელი:** 10 325

ეს შეხვედრა ყველაზე ადრე დამთავრდა და იმ დროს, როცა მატჩისშემდგომი კომენტარები კეთდებოდა, ფინეთის ნაკრებს ჯგუფიდან გასვლის რეალური შანსი ჯერ კიდევ ჰქონდა. ამიტომაც იყო გახარებული **როი ჰოჯსონი**, რომელიც ხოტბას ასხამდა თავის გუნდს, მის ბრძოლისუნარიანობას... პრინციპში, ახლა, როცა "სუომისთვის", ფაქტობრივად, ყველაფერი დასრულებულია, შეგვიძლია ასეც ვთქვათ: როგორც არ უნდა დასრულდეს პორტუგალიასთან ბოლო შეხვედრა, ჰოჯსონის გუნდმა ამ ეტაპისთვის მაქსიმუმს მიაღწია. აქამდე როდის ყოფილა, ფინეთის ეროვნულს გუნდს რომელიმე საკვალიფიკაციო ჯგუფიდან გასვლის შანსი ბოლო ტურამდე ჰქონოდა? ჰოდა, მისტერ როის სამწყსოცა და ფინური ფეხბურთის ფანებიც, რაღაც დოზით, უკვე გამარჯვებულები არიან.

**პოლონეთი-ბელგია 2:0**

**პოლონეთი:** ბორუცი, ბაკი, ბრონოვიცკი, ჟევლაკოვი, ვასილევსკი, ლევანდოვსკი, ლობოძინსკი (46. ბლაშჩიკოვსკი), სმოლარეკი (85. კოსოვსკი), სობოლევსკი, ჟურავსკი (82. მურავსკი).

**ბელგია:** სტიინენი, ჟილე, კომპანი, ვან ბუიტენი, ვერტონგენი, დეფური (61. პიერონი), ფელაინი, გოორი, ჰარუნი (84. გერერტსი), დემბელე, მირალასი (77. ჰუისეგემსი).

**გოლები:** 1:0 სმოლარეკი (45), 2:0 სმოლარეკი (50)

**მაყურებელი:** 47 000

შეიძლება, გაგიკვირდეთ და, პოლონეთის ნაკრები პირველად ითამაშებს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. დიახ, მსოფლიო პირველობების ორგზის ბრინჯაოს პრიზიორს მთავარ კონტინენტურ ფორუმში მონაწილეობის უფლება აქამდე არ ჰქონია. ამიტომ, **ლეო ბეენჰაკერის** მიმართ მადლიერება განსაკუთრებულია. გამოცდილმა ჰოლანდიელმა სპეციალისტმა გუნდს ძალიან მალე დაატყო ხელი და ჰა, სერიოზულ წარმატებასაც მიაღწია. *"მიუხედავად იმისა, რომ თამაშის ხარისხით კმაყოფილი არ ვარ, გამარჯვებამ უზომო ბედნიერება მომგვარა. მთავარიც სწორედ ისაა, რომ ფინალურ ეტაპზე გავედით"* - თქვა ბეენჰაკერმა ნამატჩევს.

*"ჩვენ ისტორია შევქმენით"* - ეს უკვე **ები სმოლარეკის** სიტყვებია. ესპანური "რასინგის" ფორვარდმა ანგარიში პირველი ტაიმის მიწურულს გახსნა, როცა ბელგიელთა მცველისა და მეკარის შეუთანხმებლობით ისარგებლა. მანვე, მეორე ნახევრის დასაწყისში კიდევ ერთხელ დატოვა უსაქმოდ სტუმართა კიპერი, რომელსაც ამჯერად ბურთი თავზე ოსტატურად გადაუგდო - 2:0.

**პორტუგალია-სომხეთი 1:0**

**პორტუგალია:** რიკარდო, ბრუნო ალვეში, კანეირა, ფერნანდო მეირა, ბოსინგვა, მანიშე, ველოზუ, უგო ალმეიდა (68. მაკუკულა), კვარეშმა (61. მანუელ ფერნანდეში), კრისტიანო რონალდო, სიმაო (77. ნანი).

**სომხეთი:** ბერეზოვსკი, არზუმანიანი, დოხოიანი, ჰოვსეპიანი, თადევოსიანი, არაქელიანი, ხაჩატრიანი (59. მხითარიანი), ვოსკანიანი, ქარამიანი (76. მკრტჩიანი), მელქონიანი (63. მანუჩარიანი), პაჩაიანი.

**გოლი:** 1:0 უგო ალმეიდა (42)

**მაყურებელი:** 22 048

ანგარიშიდანაც ჩანს, რომ პორტუგალიის ნაკრებს ძალიან გაუჭირდა. სათამაშო კუთხითაც, მასპინძელს გამორჩეული უპირატესობა ნამდვილად არ ჰქონია. მატჩის დასაწყისში **სიმაო საბროსამ** ძელს მოარტყა ბურთი. ეს იყო პორტუგალიელთა ყველაზე რეალური მომენტი. უნდა ალვნიშნოთ სომეხთა გუნდის მეტად ორგანიზებული თამაში, განსაკუთრებით დაცვაში. რაც შეეხება ერთადერთ გოლს, ის "ვერდერის" ფორვარდ **უგო ალმეიდას** ანგარიშზეა. მან **ბოსინგვას** ჩაწოდებით იხეირა. სტუმრებს ერთი რეალური შანსი ჰქონდათ, როცა იმავე ბოსინგვამ **მელქონიანის** დარტყმული კარის ხაზიდან გამოიტანა.

**სერბეთი-ყაზახეთი გადაიდო**

დიდთოვლობის გამო, ეს მატჩი შაბათს ვერ გაიმართა და კვირას, შუადღისთვის დაგეგმეს. თუმცა გაზონის მდგომარეობამ თამაშის ჩატარებას კვლავ ხელი შეუშალა და გადაწყდა, შეხვედრა 24 ნოემბრისთვის გადაეტანათ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პოლონეთი | 13 | 8 | 3 | 2 | 22-10 | 27 |
| 2. პორტუგალია | 13 | 7 | 5 | 1 | 24-10 | 26 |
| 3. ფინეთი | 13 | 6 | 5 | 2 | 13-7 | 23 |
| 4. სერბეთი | 12 | 5 | 5 | 2 | 19-9 | 20 |
| 5. ბელგია | 13 | 4 | 3 | 6 | 13-16 | 15 |
| 6. სომხეთი | 11 | 2 | 3 | 6 | 4-12 | 9 |
| 7. ყაზახეთი | 12 | 1 | 4 | 7 | 10-20 | 7 |
| 8. აზერბაიჯანი | 11 | 1 | 2 | 8 | 6-27 | 5 |

**21 ნოემბერი. ოთხშაბათი**

აზერბაიჯანი-ბელგია
სერბეთი-პოლონეთი
პორტუგალია-ფინეთი
სომხეთი-ყაზახეთი

### C ჯგუფი

**ნორვეგია-თურქეთი 1:2**

**ნორვეგია:** ოპდალი, ჰაგენი, ჰანგელანდი, ჰესტადი (68. სკილბრედი), პედერსენი, ი. რიისე, ბ. რიისე, სტორბეკი (88. რუშფელდტი), ტეტეი, კარუ, ივერსენი (84. ჰელსტადი).

**თურქეთი:** ვოლქანი, ჰამით ალთინთოფი, ემრე აშიქი, სერვეთი, იბრაჰიმი ქაში (15. გოქანი), მეჰმეთი, ჰაქან ქადირი, ემრე ბელოზოღლუ, ნიჰათი, არდა (87. თუნჯაი), სემიჰი (67. იუსუფი).

**გოლები:** 1:0 ჰაგენი (12), 1:1 ემრე ბელოზოღლუ (31), 1:2 ნიჰათი (59)

**მაყურებელი:** 23 783

ეს იყო ჯგუფის საკვანძო მატჩი, რომელსაც მეორე საგზურის ბედი უნდა გადაეწყვიტა. ფრის შემთხვევაშიც კი ნორვეგიის ნაკრებს თავი ქუდში ექნებოდა, რადგან ბოლო ტურში **აგე ჰარაიდეს** გუნდს მალტასთან გამარჯვება არ უნდა გასჭირვებოდა. ახლა, სკანდინავიელებმა უნდა ილოცონ, რომ თურქებმა შინ ბოსნიელთა დამარცხება ვერ შეძლონ...

ოსლოს მატჩში, რომელიც მსუბუქი ნისლის თანხლებით ჩატარდა, ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს და ეს ლოგიკურიც იყო. ნორვეგია თავიდანვე დაეუფლა უპირატესობას და მე-13 წუთზე **ჰაგენმა** ეფექტურად შეაგდო, როცა ნამით ღიად დარჩა და ახლო მანძილიდან "მაკრატელა" დასცხო. თურქებმა, რომ იტყვიან, სიკვდილს თვალებში ჩახედეს. **ფათიჰ თერიმს** სხვა გზა არ ჰქონდა. ორ წუთში მან თავდასხმა **გოქანით** გააძლიერა და მეთოდურად დაიწყო მეტოქის შევიწროება. პირველი ნაყოფი ამან 31-ე წუთზე გამოიღო. საჯარიმოს ხაზთან **ემრემ** მეურვე ჩამოიცილა და ზუსტად დაარტყა.

მეორე ტაიმის დასაწყისში, აქეთ **ივერსენმა** და იქით **ნიჰათმა** კარგი მომენტები გააფუჭეს. თუმცა ამ უკანასკნელმა მალევე გამოასწორა შეცდომა და გოქანის პასით გამარჯვების გოლი გაიტანა. დარჩენილ დროში მასპინძლებს ცდა არ დაუკლიათ, თუმც სტუმართა დაცვამ მათ ფორვარდებს გასაქანი არ მისცა.

თერიმი ბავშვივით გახარებული იყო: *"შეიძლება, ბოლო წარუმატებლობების ფონზე გულშემატკივარს ჩვენი აღარ სჯეროდა, მაგრამ ჩვენ კი გვწამდა იმის, რაც ვიცით. დიახ, ჩვენ ვიცით, როგორ უნდა ფეხბურთის თამაში და ეს დღეს დავამტკიცეთ კიდეც. იმედია, ბოსნიასთან უკეთ ვითამაშებთ, თან ქომაგიც გაგვამხნევებს... კარგია, როცა მნიშვნელოვან წარმატებას საკუთარი ქომაგის თვალწინ აღწევ და მერე ამას მასთან ერთად აღნიშნავ"*.

**საბერძნეთი-მალტა 5:0**

**საბერძნეთი:** ნიკოპოლიდისი, დელასი, კირიაკოსი, პაცაცოღლუ, ტოროსიდისი (48. სპიროპულოსი), ბასინასი, კარაგუნისი (70. ციოლისი), კაცურანისი, ამანატიდისი, გეკასი, იანაკოპულოსი (46. ლიბეროპულოსი).

**მალტა:** ჰაბერი, აზოპარდი, ბრიფა, ჯ. მიფსუდი, საიდი, ნვოკო, პეისი, პულიჩინო, სამუტი (61. კოენი), მ. მიფსუდი (78. სკიბერასი), შემბრი (68. სკერი).

**გოლები:** 1:0 გეკასი (33), 2:0 ბასინასი (54), 3:0 ამანატიდისი (62), 4:0 გეკასი (72), 5:0 გეკასი (74)

**მაყურებელი:** 19 000

საოცარი კაცია **ოტო რეჰაგელი**: მიუხედავად იმისა, რომ საბერძნეთის ნაკრებს ფინალური ეტაპის საგზური განაღდებული ჰქონდა, მაჩანჩალა მალტასთან მაინც საბრძოლო შემადგენლობა დააყენა. ეტყობა, უმოტივაციობის ბრალი იყო, რომ ევროპის მოქმედი ჩემპიონები თავიდან საკუთარ თავს არ ჰგავდნენ. მე-19 წუთზე, სულაც მალტელებს შეეძლოთ ანგარიშის გახსნა, როცა **შემბრიმ ნიკოპოლიდისს** ბურთი თავზე გადაუგდო, მაგრამ... ჰოდა, ეტყობა, ამ ეპიზოდმა ბერძნების თავმოყვარეობაზე ძლიერ იმოქმედა. ოტოს მანქანა ამუშავდა და **გეკასის** მიერ 33-ე წუთზე დაწყებული საქმე იმავე გეკასის ჰეთ-თრიკითა და საერთო ჯამში ხუთი უპასუხო გოლით დაასრულა.

**მოლდოვა-უნგრეთი 3:0**

**მოლდოვა:** სტ. ნამაშკო, ეპურეანუ, ლაშჩენკოვი, რებეჟა, ბორდიანი, ჩებოტარი (50. ბულგარუ), იოსანი, სერ. ნამაშკო, ზმეუ (90. ოლექსიჩი), ბუგაევი, კალინკოვი (64. ალექსეევი).

**უნგრეთი:** ფულოპი, ჩიჟმადია, შელეში, ვანჩაკი, ვაშკო, გერა, ჰაინალი, ტოშერი (38. ბუჟაკი), ვადოში (39. ბალოგი), ჯუჯაკი (71. ფეჩეშინი), პრისკინი.

**გოლები:** 1:0 ბუგაევი (13), 2:0 იოსანი (23), 3:0 ალექსეევი (86)

**მაყურებელი:** 7 000

მოლდოვის ნაკრებმა შესარჩევი ეტაპი ხმაურიანი გამარჯვებით დაასრულა. მართალია, უნგრეთის ეროვნული გუნდი კარგა ხანია ღრმა კრიზისშია, მაგრამ 3:0 მაინც თვალს ჭრის. საგულისხმოა, რომ **იგორ დობროვოლსკის** შეგირდებმა ბოლო ოთხ მატჩში 3 გამარჯვება მიიპოვეს და იმავე უნგრეთს გაუსწრეს კიდეც. ხაზგასასმელია მოლდოველთა თამაში ტაქტიკაც, რაც სასტარტო შტურმსა და ადრეულ გოლებზე იყო აგებული. როგორც ხედავთ, დობროვოლსკის გუნდმა ამოცანა ბრწყინვალედ შეასრულა. მწვრთნელმა შეცვლაც გამოიცნო. მეორე ნახევარში გამოსულმა **ალექსეევმა** ეფექტურად გამოიყენა **ეპურეანუს** პასი და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საბერძნეთი | 11 | 9 | 1 | 1 | 23-9 | 28 |
| 2. თურქეთი | 11 | 6 | 3 | 2 | 24-11 | 21 |
| 3. ნორვეგია | 11 | 6 | 2 | 3 | 23-10 | 20 |
| 4. ბოსნია | 11 | 4 | 1 | 6 | 16-21 | 13 |
| 5. მოლდოვა | 12 | 3 | 3 | 6 | 12-19 | 12 |
| 6. უნგრეთი | 11 | 4 | 0 | 7 | 10-20 | 12 |
| 7. მალტა | 11 | 1 | 2 | 8 | 9-27 | 5 |

**21 ნოემბერი. ოთხშაბათი**

მალტა-ნორვეგია
თურქეთი-ბოსნია
უნგრეთი-საბერძნეთი

### D ჯგუფი

**გერმანია-კვიპროსი 4:0**

**გერმანია:** ლემანი, ა. ფრიდრიხი, ლამი, მერტეზაკერი, მეტცელდერი, ფრიტცი (77. ჰილბერტი), ჰიტცლშპერგერი, ტროხოვსკი (66. ბოროვსკი), პოდოლსკი, გომესი (73. ჰანკე), კლოზე.

**კვიპროსი:** გეორგალიდესი, გარპოცისი, ლამბრუ, პარასკევასი, თეოდორუ (27. ნიკოლაუ), ალონეფტისი, ხარალამპიდისი (46. თეოფილუ), მაკრიდესი, ოკასი, საციასი, კონსტანტინუ (68. იასუმისი).

**გოლები:** 1:0 ფრიტცი (2), 2:0 კლოზე (20), 3:0 პოდოლსკი (53), 4:0 ჰიტცლშპერგერი (82)

**მაყურებელი:** 45 016

ჩეხეთთან სამარცხვინო, საშინაო 0:3-ის შემდეგ, გერმანიის ნაკრებმა ეტყობა სტიმული დაიბრუნა და კვიპროსი გაანადგურა. უნდა აღინიშნოს, რომ კუნძულელთა დამარცხება ბოლო ხანს ასე იოლი არაა. სწორედ კვიპროსის ნაკრები იყო პირველი, ვინც ამ შესარჩევში გერმანიას ქულები დააკარგვინა (1:1). **იოახიმ ლიოვის** გუნდს აქვს მოტივაცია, რომ საკვალიფიკაციო ციკლი მაღალ ნოტაზე დაასრულოს და პირველ ადგილზეც დაბრუნდეს.

ამ მატჩიდან კი აღსანიშნავია, რომ **იენს ლემანმა** გერმანიის ნაკრებში საიუბილეო 50-ე მატჩი ჩაატარა და სიმბოლურია, რომ კარი მშრალად შეინახა. სხვათა შორის, ლემანი უცენზურო ჟეს-

ტის გამო დაადანაშაულეს. მან შუა თითი უჩვენა ჰანოვერელ ფანებს, რომლებიც მის შეცვლას **რობერტ ენკეთი** ითხოვდნენ. ცნობისთვის, ენკე "ჰანოვერის" მეკარეა და ლიოვს ის განაცხადში ჰყავდა შეყვანილი. ლემანი ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს.

## ჩეხეთი-სლოვაკეთი 3:1

**ჩეხეთი:** ბლეჟეკი, გრიგერა (46. კადლეცი), რ. კოვაჩი, პოსპეში, როზენალი, გალაშეკი, პლაშილი, პოლაკი (86. მატეიოვსკი), როსიცკი, ბაროში (70. კულიჩი), კოლერი.

**სლოვაკეთი:** ჩონტოფალსკი, ჩეხი, კრაიჩიკი, მიხალიკი, შკრტელი, ჰამსიკი (58. ჰოლოშკო), კისელი (88. ჰალენარი), კოზაკი, საპარა, შტრბა, მინტალი (67. შეშტაკი).

**გოლები:** 1:0 გრიგერა (13), 2:0 კულიჩი (76), 2:1 კადლეცი (79-საკ. კარში), 3:1 როსიცკი (83)

**მაყურებელი:** 15 651

ჩეხეთის ნაკრები ყველა ღონეს ხმარობს, რათა პირველი ადგილი შეინარჩუნოს. ცხადია, გაუსწრო გერმანიის ნაკრებს, ფინალური ეტაპზე გასვლასთან ერთად ეს ორმაგი წარმატებაა. ამიტომაც, **კარელ ბრიუკნერმა** საბრძოლო შემადგენლობა დააყენა. ანგარიში მე-13 წუთზე, იუვენტუსელი **გრიგერას** შორეული დარტყმით გაიხსნა. ერთადერთი, რაც სტუმრებმა შეძლეს, გიგანტი **კოლერის** ნეიტრალიზება იყო. თუმცა კოლერმა მაინც მოუტანა გუნდს პატარა სარგებელი, როცა **მიხალიკის** დარტყმული კარის ხაზიდან გამოიტანა. სლოვაკებს **კადლეცის** ავტოგოლის შემდეგაც ჰქონდათ გადარჩენის შანსი, მაგრამ 83-ე წუთზე წუთზე **როსიცკის** ზუსტმა დარტყმამ თამაშს საბოლოო წერტილი დაუსვა.

## უელსი-ირლანდია 2:2

**უელსი:** ჰენესი, კოლინზი, ერდლი (81. კოტერილი), გაბიდონი, განტერი, დეივისი, კ. ფლეტჩერი, კუმასი, ლედლი, რობინსონი (37. ედუარდსი), ისტვუდი (59. ისტერი).

**ირლანდია:** გივენი, ფინენი, მაკშეინი, ო'ში, კარსლი, კილბეინი, მაკგიდი, ლ. მილერი (59. ჰანტი), რეიდი (87. პოტერი), დოილი, კინი.

**გოლები:** 1:0 კუმასი (23), 1:1 კინი (31), 1:2 დოილი (60), 2:2 კუმასი (90-პენ)

**მაყურებელი:** 24 619

სადღეისოდ, ამ გუნდების მიზანი მხოლოდ მესამე ადგილზე გასვლაა, რაც სამომავლო წლისყრისთვის უფრო პრესტიჟულ კალათში მოხვედრის საწინდარი შეიძლება გახდეს. აქედან გამომდინარე, მატჩი უშელავათო ბრძოლაში წარიმართა. ირლანდია დამსახურებულად მოიგებდა, რომ არა საეჭვო პენალტი, რომელმაც უელსს ქულა მოუტანა, **კუმასმა** კი დუბლი შეასრულა. თუმცა ამ უკანასკნელის პირველი გოლი ყველა დანარჩენს სჯობდა: **ლედლიმ** ლივერპულელი **ფინენი** ლამაზად მოატყუა ფლანგზე და საჯარიმოში ჩაჰკიდა, სადაც კუმასმა ეფექტური თავური შეაგდო.

ახლა იმგვარი სიტუაცია შეიქმნა, რომ ირლანდიამ, რომელიც მეორე ადგილისთვის იბრძოდა, შესაძლოა, მესამე პოზიციაც დაკარგოს. კვიპროსმა თუ ბოლო ტურში უმოტივაციო ჩეხეთი დაამარცხა...

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩეხეთი | 11 | 8 | 2 | 1 | 25-5 | 26 |
| 2. გერმანია | 11 | 8 | 2 | 1 | 35-7 | 26 |
| 3. ირლანდია | 12 | 4 | 5 | 3 | 17-14 | 17 |
| 4. უელსი | 11 | 4 | 2 | 5 | 18-19 | 14 |
| 5. კვიპროსი | 11 | 4 | 2 | 5 | 17-22 | 14 |
| 6. სლოვაკეთი | 11 | 4 | 1 | 6 | 28-23 | 13 |
| 7. სან მარინო | 11 | 0 | 0 | 11 | 2-52 | 0 |

**21 ნოემბერი, ოთხშაბათი**

კვიპროსი-ჩეხეთი
გერმანია-უელსი
სან მარინო-სლოვაკეთი

## E ჯგუფი

## ისრაელი-რუსეთი 2:1

**ისრაელი:** ავათი, ბენ ჰაიმი, კეინანი, შპუნგინი, ზივი, ალბერმანი, ბუზაგლო (64. ოჰაიონი), კოენი, ბარდა, საჰარი (69. გოლანი), იცხაკი (62. ბენ შუშანი).

**რუსეთი:** გაბულოვი, ანიუკოვი, ა. ბერეზუცკი, ვ. ბერეზუცკი (68. პოგრებნიაკი), იგნაშევიჩი, ბილიალეტდინოვი, სემშოვი (30. ტორბინსკი), ჟირკოვი, ზირიანოვი, არშავინი, პავლიუჩენკო (52. სიჩოვი).

**გოლები:** 1:0 ბარდა (10), 1:1 ბილიალეტდინოვი (61), 2:1 გოლანი (90)

**მაყურებელი:** 27 563

თელ-ავივის "რამათ-განზე" გამართულ მატჩს წინ დიდი აჟიოტაჟი უძღოდა. ინგლისელები ებრაულ ნაკრებს რუსების დასამარცხებლად აქეზებდნენ. **სტივ მაკლარენმა** ისრაელის ეროვნულ გუნდს იმდენი კომპლიმენტი უძღვნა, რამდენიც ამ ნაკრებს ისტორიაში არ ღირსებია. მაგრამ **დრორ კაშტანის** გუნდს მოტივაცია ისედაც უნდა ჰქონოდა – ჯერ ერთი, ჯგუფში მაქსიმალურად მაღალი ადგილის დაკავება, და მეორე კი გრანდების სატურნირო განლაგებაზე გავლენის მოხდენა, რაც პატარა საქმე არ გახლავთ...

რაკი რუსეთის ნაკრებს მხოლოდ გამარჯვება სჭირდებოდა, საფიქრებელი იყო, რომ **გუუს ჰიდინკი** ბიჭებს თავიდანვე შეტევისთვის განაწყობდა, პირიქით კი გამოვიდა. მატჩი მასპინძელთა იერიშებით დაიწყო და უკვე მე-10 წუთზე რუსები მდევრის როლში აღმოჩნდნენ. **იცხაკმა** გარღვევაზე გაიყვანა **ბარდა**, რომელსაც მეკარე **გაბულოვის** ძლევა დიდად არ გასჭირვებია.

იმის მაგივრად, რომ რუსები ახლა მაინც გადასულიყვნენ შეტევაზე, დიდხანს და უაზროდ აგორავებდნენ ბურთს, ვერ პოულობდნენ იერიშის ლოგიკურ გაგრძელებას და ასე შემდეგ. ერთი ეგ იყო, რომ **ბილიალეტდინოვმა** ორჯერ შორიდან სცადა მასპინძლების შეწუხება, მაგრამ ორივეჯერ ბურთი მიზანს ასცდა. ამ სირთულეებს დაემატა ისიც, რომ 30-ე წუთზე ტრავმა მიიღო **სემშოვმა** და ჰიდინკს დაუგეგმავი შეცვლა მოუწია. თუკი ინგლისთან მატჩში **ტორბინსკის** გამოსვლამ ნაყოფი გამოიღო, ამჯერაც მისგან ეფექტი არ ყოფილა...

პირველი ტაიმის ბოლოს რუსებმა ებრაელთა კართან ორი, ასე თუ ისე სახიფათო მომენტი შექმნეს, მაგრამ ჯერ **ანიუკოვს** უმტყუნა მიზანმა, მერე კი **პავლიუჩენკოს** ხელი **ბენ ჰაიმმა** შეუშალა. მეორე ნახევრის დასაწყისში ჰიდინკმა შეტევაში ახალი ძალა ჩართო. **პავლიუჩენკოს** ნაცვლად მოედანზე **სიჩოვი** გამოჩნდა. სწორედ ამ უკანასკნელის გამოსვლას დაემთხვა საგოლე მომენტი **ავათის** კართან, რასაც ცოტა ხანში კონკრეტული შედეგიც მოჰყვა. მაგრამ ჯერ ბილიალეტდინოვის დარტყმული იყო სიჩოვის რეიდის შემდეგ, ისრაელის ნაკრების მეკარემ სასწაულით რომ მოიგერია, მერე კი იმავე ბილიალეტდინოვმა **არშავინის, ზირიანოვისა** და **ტორბინსკის** მონაწილეობით გათამაშებული მრავალსვლიანი კომბინაცია დააგვირგვინა.

რუსეთის ნაკრებს გამარჯვებისთვის მთელი ნახევარი საათი ჰქონდა. ჰიდინკი ვა-ბანკზე წავიდა და **ვასილი ბერეზუცკის** ნაცვლად მოედანზე **პოგრებნიაკს** უხმო. მიუხედავად იმისა, რომ სტუმრებს წინა ხაზზე სიმწვავე აკლდათ, მაინც შეიქმნა მომენტი, რომელსაც მატჩის ბედის გადაწყვეტა შეეძლო, თუმც სიჩოვის დარტყმა ძელმა მოიგერია. გოლის ძიებაში რუსებმა ზურგი მოაშიშვლეს. **იგნაშევიჩის** შეცდომის წყალობით, **გოლანი** პირისპირ დარჩა გაბულოვთან და შანსი ხელიდან არ გაუშვა. ეს მოხდა 90-ე წუთზე. რუსებს დრო აღარ დარჩათ - 2:1 და თითქმის ყველაფერი დაკარგულია. ახლა, ჰიდინკის ბიჭებმა ანდორას უნდა მოუგონ, რაც ასეც იქნება, მაგრამ ინგლისი შინ ხორვატიასთან დამარცხდეს. აი, აქ კი... მოკლედ, რუსებს შანსი ჯერ კიდევ აქვთ, თუ ამას შანსი ჰქვია.

**გუუს ჰიდინკი:** *"რა თქმა უნდა, ძლიერ იმედგაცრუებულები ვართ. ძირითადად ჩვენ ვდომინირებდით და მიზანთანაც ახლოს ვიყავით, მაგრამ ყველაფერი ერთ წუთში დაინგრა. მატჩამდე ძალიან ბევრს ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ ისრაელი ადვილად უნდა დაგვემარცხებინა, მაგრამ ხომ ნახეთ, რა შეცდომები დავუშვით დაცვაში. პირველი გოლი აბსოლუტურად ბრიყვულ სიტუაციაში გავუშვით. არ მესმის, როგორ უნდა შევმცდარიყავით ამ ვითარებაში. მეორე ტაიმში შეცვლები გავაკეთეთ და ჩვენი მხრიდან აქტიურობაც მეტი იყო, მაგრამ... მოდით, ვიყოთ რეალისტები. გოლის გატანის შანსი ბევრი არ გვქონია. ჩვენ ვერ შევძელით გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება. ახალგაზრდული გუნდის წინაალმდეგ მეტად მიამიტურად ვითამაშეთ. ახლა, ველოდებით, რომ ხორვატიის ნაკრები ვაჟკაცურად იბრძოლებს "უემბლიზე" და ჩვენთვის სასურველ შედეგსაც მიაღწევს".*

კომენტარი გააკეთა ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა **სტივ მაკლარენმაც:** *"რა ფანტასტიკური საღამოა. პატივს მივაგებ ისრაელის ნაკრებს, რომელიც საქმეს პროფესიულად მიუდგა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ასეც იქნებოდა და ამისთვის დიდი მადლობა მათ! ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლის რეალური შანსი გაგვიჩნდა. საბედნიეროდ, ახლა ყველაფერი ჩვენს ხელთაა".*

## მაკედონია-ხორვატია 2:0

**მაკედონია:** მილოშევსკი, ლაზარევსკი, ი. მიტრესკი, ნოვესკი, პოპოვი, სედლოსკი (89. გრნკაროვი), გროზდანოვსკი, შუმულიკოვსკი, ტასევსკი, მაზნოვი, ნაუმოსკი (85. პოლოზანი).

**ხორვატია:** პლეტიკოშა, კორლუკა, რ. კოვაჩი, შიმიჩი, შიმუნიჩი, ნ. კოვაჩი, კრანჩარი (75. ვუკოევიჩი), მოდრიჩი, სრნა, ედუარდო (54. ოლიჩი), პეტრიჩი (42. მანძუკიჩი).

**გოლები:** 1:0 მაზნოვი (71), 2:0 ნაუმოსკი (79)

**მაყურებელი:** 18 000

რუსეთის ნაკრების მარცხი, ხორვატებისთვის ავტომატურად ნიშნავდა ფინალური ეტაპის საგზურს, თვით სკოპიეში მარცხის მიუხედავადაც კი. საინტერესოა, რომ ვიდრე თელ-ავივის მატჩი არ დამთავრდა, მაკედონიის დედაქალაქში შეუპოვარი ბრძოლა მიდიოდა, მაგრამ როგორც კი გამოცხადდა, რომ ისრაელმა გაიმარჯვა, ხორვატებმა ეგრევე ორი გოლი გაუშვეს. მიმდინარე შესარჩევში სლავენ ბილიჩის გუნდისთვის ეს პირველი მარცხია.

## ანდორა-ესტონეთი 0:2

**ანდორა:** ალვარესი, გარსია (46. ვიეირა), ა. ლიმა (81. რუისი), ი. ლიმა, რუბიო, სონეხე, აიალა, ხიმენესი, პუხოლი, სივერა, მორენო (70. ტოსკანო).

**ესტონეთი:** ლონდაკი, იააგერი, კრუგლოვი (84. ვასილიევი), პიიროია, სტეპანოვი, დმიტრიევი, კლავანი, ლინდპერე, რეიმი (68. ტენისტე), ოპერი (46. კინკი), საავი.

**გოლები:** 0:1 ოპერი (31), 0:2 ლინდპერე (60)

**მაყურებელი:** 350

ესტონეთის ნაკრებმა შესარჩევი ეტაპი ანდორაში გამარჯვებით დაასრულა. ამისთვის, ბალტიისპირულ გუნდს 60 წუთი დასჭირდა. როგორც ყოველთვის, ანდორის ნაკრები მეტად უსუსურად გამოიყურებოდა თვით სუსტი ესტონეთის ფონზეც კი. მასპინძელთა ორი, მეტ-ნაკლებად საგოლე შანსი ძმები **ლიმების** დამსახურებაა - **ილდეფონსმა** ხელსაყრელი სიტუაციიდან ააცილა ბურთი, **ანტონიოს** კი მეკარე **ლონდაკმა** აუღო.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ხორვატია | 11 | 8 | 2 | 1 | 25-6 | 26 |
| 2. ინგლისი | 11 | 7 | 2 | 2 | 22-4 | 23 |
| 3. რუსეთი | 11 | 6 | 3 | 2 | 17-7 | 21 |
| 4. ისრაელი | 11 | 6 | 2 | 3 | 19-12 | 20 |
| 5. მაკედონია | 11 | 4 | 2 | 5 | 12-11 | 14 |
| 6. ესტონეთი | 12 | 2 | 1 | 9 | 5-21 | 7 |
| 7. ანდორა | 11 | 0 | 0 | 11 | 2-41 | 0 |

**21 ნოემბერი, ოთხშაბათი**

ინგლისი-ხორვატია
ისრაელი-მაკედონია
ანდორა-რუსეთი

## F ჯგუფი

## ესპანეთი-შვედეთი 3:0

**ესპანეთი:** კასილიასი, კაპდევილია, მარჩენა, პუიოლი, სერხიო რამოსი, ალბელდა, ფაბრეგასი, ინიესტა (52. ხოაკინი), დავიდ სილვა (66. რიერა), ჩავი, ვილია (52. ტამუდო).

**შვედეთი:** ისაკსონი, ედიმანი, ჰანსონი, მელბერგი, ნილსონი, დ. ანდერსონი (46. კალსტრიომი), ლიუნგბერგი, ა. სვენსონი, ვილჰელმსონი (79. კენედი), იბრაჰიმოვიჩი, როზენბერგი (60. ოლბაკი).

**გოლები:** 1:0 კაპდევილია (14), 2:0 ინიესტა (39), 3:0 სერხიო რამოსი (65)

**მაყურებელი:** 75 000

ესპანეთის ნაკრებმა ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვა და ფინალურ ეტაპზე გასამგზავრებელი ბილეთი დაჯავშნა. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ამ შესარჩევში ეს პირენეელთა საუკეთესო თამაში იყო. **ლუის არაგონესის** გუნდს ყველაფერი გამოსდიოდა - დაცვაც, შეტევაც, ლამაზი კომბინაციებიც... არადა, მის წინააღმდეგ თამაშობდა ჯგუფის ლიდერი და საკვალიფიკაციო ციკლის ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური გუნდი, და ბოლო-ბოლო ის კრებული, რომელმაც ერთი წლის წინ, საკუთარ მოედანზე, ესპანეთი უპრობლემოდ დაამარცხა (2:0).

"სანტიაგო ბერნაბეუზე" ანგარიში მალევე გაიხსნა. მე-14 წუთზე, **ჩავის** კუთხურის შემდეგ, ბურთს **ფაბრეგასი** შეეხო, მერე **კაპდევილიას** მოუვიდა და ამანაც მიზანში ზუსტად დაარტყა (ეს [illegible] ლის პირველი გოლია 14 [illegible] მატჩში). მერე ბრწყინვალე [illegible] რომელმაც 16-17 მეტრიდან ბურთი ერთი შეხებით გაახვია ბადეში. სხვათა შორის, ამ სიტუაციაში კაპდევილიამ ასისტენტის როლიც წარმატებით შეასრულა.

"სელექსიონს" დაწოლა არ შეუწყვეტია. მალე, **ვილიამ** ძელს მოარტყა ბურთი. მეორე ტაიმიც ანალოგიური სცენარით წარიმართა. კაპდევილიამ მესამე გოლშიც დაიდო წილი, როცა მისი ჩაწოდების შემდეგ **ვილჰელმსონი** შეცდა და **სერხიო რამოსმა** ბურთი მეკარისგან მარჯვენა დაბალ კუთხეში შეაგდო - 3:0.

კრიტიკისგან დაღლილი არაგონესი ამჯერად წელგამართული იყო და კომენტარებსაც ღიმილით აკეთებდა: *"ყოველთვის მჯეროდა, რომ ფინალურ ეტაპზე გავიდოდით. ჩვენ ისეთი ფეხბურთელები გვყავს, სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო. თუმც წარმატებაში ბოლომდე არასოდეს ხარ დარწმუნებული, რადგან დღევანდელ ფეხბურთში ყველაფერია მოსალოდნელი".*

იქვე, არაგონესმა დაამატა, რომ არ შეუცვლია აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ გადადგეს მომავალ ზაფხულს, ევროპის ჩემპიონატზე წარმატებული გამოსვლის შემთხვევაშიც კი. რაც შეეხება მის ვიზავის, **ლარს ლაგერბაკს**, მან ასეთი კომენტარი გააკეთა:

*"დღეს ცუდად ვითამაშეთ, მაგრამ არა უშავს. ჯგუფიდან გასვლის ბრწყინვალე შანსს ვინარჩუნებთ. ამას ცოტა ადრეც გავაკეთებდით, ცოტა მეტად რომ გაგვემართლებოდა. მაგალითად, მარტო დანიასთან საშინაო ფრე რად ღირს... ესპანელთა კარგი თამაში კი ჩემთვის სიურპრიზი არ ყოფილა, მხოლოდ ის გამიკვირდა, რომ გოლი კუთხურის შემდეგ გავუშვით. არადა, ასეთი რამ, მგონი, ბოლო ორი წლის განმავლობაში არ მომხდარა".*

## ირლანდია-დანია 2:1

**ჩრ. ირლანდია:** ტეილორი, კრეიგანი, ევანსი, ჰიუზი, მაკოლეი, ბრენტი, კლინგენი, დევისი, გილესპი (74. სპული), ფინი (85. ბერდი), ჰილი.

**დანია:** თ. სორენსენი, კროლდრუპი, ლაურსენი, პრისკე (72. ვიურტცი), კ. სორენსენი, ანდრეასენი, კალენბერგი (46. დ. სორენსენი), კ. პოულსენი, ბენდტნერი, იორგენსენი (79. ს. პოულსენი), რომედალი.

**გოლები:** 0:1 ბენდტნერი (51), 1:1 ფინი (62), 2:1 ჰილი (80)

**მაყურებელი:** 14 500

დანიასთან გამარჯვების მიუხედავად, ჩრდილოირლანდიურ ნაკრებს ჯგუფიდან გასვლის მიზერული შანსი აქვს. საამისოდ, ბრიტანელებმა ესპანეთს სტუმრად უნდა მოუგონ, შვედეთი კი შინ ლატვიასთან დამარცხდეს. განსჯა მკითხველისთვის მიგვინდვია...

ჩვენ კი ის ვთქვათ, რომ "ფულჰემის" ფორვარდმა **დევიდ ჰილიმ**, გაიტანა რა გადამწყვეტი გოლი დანიელთა კარში, ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპების საბომბარდირო რეკორდი დაამყარა. ახლა მისი მონაგარი 13 გოლს ითვლის. ადრინდელი რეკორდი კი ეკუთვნოდა ხორვატიის ნაკრების ყოფილ ფორვარდს **დავორ შუკერს**, რომელმაც 1995/96 წლების ევროშესარჩევში 12 გოლი მიითვალა.

## ლატვია-ლიხტენშტაინი 4:1

**ლატვია:** ვანინსი, გორკსი, ივანოვსი, კლავა, ზირნისი, ასტაფიევსი, ბლეიდელისი (82. ვიშნიაკოვსი), ლაიზანსი, რუბინსი, კარლსონსი (71. პახარსი), ვერპაკოვსკისი (77. რიმკუსი).

**ლიხტენშტაინი:** იელე, დ'ელია, ჰასლერი, რიტცბერგერი, მარტ. შტოკლაზა, ბუხელი (80. ბიუხელი), ბურგმაიერი, გერსტერი, ფიშერი (71. რ. ბეკი), მ. ფრიკი, რორერი (72. დ. ფრიკი).

**გოლები:** 0:1 ზირნისი (13-საკ. კარში), 1:1 კარლსონსი (14), 2:1 ვერპაკოვსკისი (30), 3:1 ლაიზანსი (63), 4:1 ვიშნიაკოვსი (87)

**მაყურებელი:** 4 800

მარტში, ლატვიამ ვადუცში 0:1 წააგო, რაც მწვრთნელ **იურის ანდრეევსს** გადადგომად დაუჯდა. როგორც ჩანს, **ალექსანდრ სტარკოვსმა** წინამორბედის "გამოცდილება" კარგად გაითვალისწინა და შედარებით სუსტ მეტოქეს შანსი არ დაუტოვა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 11 | 8 | 1 | 2 | 22-8 | 25 |
| 2. შვედეთი | 11 | 7 | 2 | 2 | 21-8 | 23 |
| 3. ჩრ. ირლანდია | 11 | 6 | 2 | 3 | 17-13 | 20 |
| 4. დანია | 11 | 5 | 2 | 4 | 18-11 | 17 |
| 5. ლატვია | 11 | 4 | 0 | 7 | 14-15 | 12 |
| 6. ისლანდია | 11 | 2 | 2 | 7 | 10-24 | 8 |
| 7. ლიხტენშტაინი | 12 | 2 | 1 | 9 | 9-32 | 7 |

**21 ნოემბერი, ოთხშაბათი**

ესპანეთი-ჩრ. ირლანდია
დანია-ისლანდია
შვედეთი-ლატვია

გაგრძელება მე-8 გვერდზე



ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-7 გვერდიდან

### G ჯგუფი

**ბულგარეთი–რუმინეთი 1:0**

**ბულგარეთი:** ივანკოვი, მილანოვი, ტომაშიჩი, ტუნჩევი, ზანევი, გეორგიევი, ს. პეტროვი, ბერბატოვი, დიმიტროვი, მ. პეტროვი (90. ლაზაროვი), იოვოვი (83. ტელკიისკი).

**რუმინეთი:** ლობონტი, გოიანი, ოგარარუ, რაცი, ტამაში (58. კოჩიში), კივუ, კოდრეა (82. ტრიკა), ნიკოლიცა, პეტრე, მაზილუ (65. მარიკა), ნიკულაე.

**გოლი:** 1:0 დიმიტროვი (6)

**მაყურებელი:** 15 000

ბულგარეთის ნაკრების გამარჯვებას მხოლოდ პრესტიჟულს თუ ვუწოდებთ. **დიმიტარ პენევის** გუნდს 3 ქულა **დიმიტროვის** ადრეულმა გოლმა მოუტანა. **მარტინ პეტროვის** ჩაწოდება მან საფირმო თავურით დააგვირგვინა. გოლის გატანა შეეძლო **ბერბატოვსაც**, მაგრამ თამაშის დასრულებამდე ათიოდ წუთით ადრე "ტოტენჰემის" ფორვარდმა **იოვოვის** შესანიშნავი გადაცემა ვერ გამოიყენა. რუმინეთის ნაკრებმა, რომელსაც ასევე შეეძლო ორი-სამი ბურთის გატანა, ფინალური სტადიის საგზური ოქტომბერში მოიპოვა, შაბათს კი მხოლოდ პირველი მარცხი იგემა.

და კიდევ: შესვენების დროს პოლიციას ფანების დაწყნარება მოუხდა. რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, რუმინელმა ქომაგებმა ერთმანეთში ხელჩართული ჩხუბი გააჩაღეს. სტადიონის უსაფრთხოების სამსახურმა ამრევები სტადიონიდან მიაბრძანა.

**ალბანეთი–ბელარუსი 2:4**

**ალბანეთი:** ბეკაი, კური, დალკუ, დედე, რუსტემი, კანა, დურო, ლალა (85. ბუში), შკელა, ბოგდანი, კაპლანი.

**ბელარუსი:** ჟევნოვი, ფილიპენკო, კირენკინი, ომელიანჩუკი, პლასკონი (65. სკვერნიუკი), ა. გლები, კალაჩევი (75. კორიტკო), კულჩი, რომაშჩენკო, ბულიგა, კუტუზოვი.

**გოლები:** 0:1 რომაშჩენკო (28), 1:1 ბოგდანი (39), 2:1 კაპლანი (43), 2:2 კუტუზოვი (45), 2:3 კუტუზოვი (55), 2:4 რომაშჩენკო (63-პენ)

**მაყურებელი:** 5 000

ბელარუსებმა გერმანელი მწვრთნელის **ბერნდ შტანგეს** თავკაცობით პირველი მატჩი მოიგეს, ალბანეთის ნაკრებმა კი ამ შესარჩევი პირველად გაუშვა ოთხი გოლი. **რომაშჩენკო და კუტუზოვი** დუბლებით გამოირჩნენ.

**ჰოლანდია–ლუქსემბურგი 1:0**

**ჰოლანდია:** ვან დერ სარი, ბუმა, მატიისენი, მელხიოტი, ვან ბრონკჰორსტი, დე ზეუვი, ზეედორფი (77. ემანუელსონი), სნეიდერი, ვან დერ ვაარტი, კუვერმანსი (84. ბაბელი), ვან ნისტელროი (46. კუიტი).

**ლუქსემბურგი:** ჟობერი, ჰოფმანი, კინტციგერი, მუტჩი, შტრასერი, ვაგნერი, ბეტმერი (66. ლევეკი), პაიალი, პეტერსი, რემი, კიტანჟი (50. იოახიმი/85. ალვეში).

**გოლი:** 1:0 კუვერმანსი (43)

**მაყურებელი:** 49 000

ამ რანგის გუნდთან სტუმრად მინიმალური მარცხი ლუქსემბურგის ნაკრების უდავო წარმატებაა. მაგრამ უფრო დიდი წარმატებაა ჰოლანდიის ეროვნული გუნდისთვის, რომელსაც ეს ულიმღამო 1:0-იც ეყო ავსტრია/შვეიცარიაში მოსახვედრად. ერთი მხრივ, ქომაგების შეშფოთებას იწვევს დაბალი შედეგიანობა, მაგრამ მედლის მეორე მხარეა ის, რომ გაშვებული გოლების სიმცირით "ტიტები" ევროპაში მოწინავენი არიან. პრესკონფერენციის დროს ჰოლანდიელთა მწვრთნელმა **მარკო ვან ბასტენმა** ამ თემაზე საგანგებოდ ისაუბრა:

*"ჩვენ ძალიან ბევრი გვყავს ისეთი ფეხბურთელი, რომელთაც შეტევითი თვისებები გამოარჩევთ. თუმცა პრობლემა ისაა, რომ მათ ჯერ გამოცდილება აკლიათ. როცა ამ პრობლემასაც დავძლევთ, მერე მაღალი მიზნებისთვისაც ვიბრძოლებთ. ჯერჯერობით კი მხოლოდ საგოლე მომენტების სიმრავლით უნდა დავკმაყოფილდეთ. ვან დერ ვაარტს, ზეედორფსა და სნეიდერს მოედანზე მეტი თავისუფლება უნდა მივცეთ იმისთვის, რომ თავიანთი ტექნიკური მონაცემები ნაყოფიერად გამოიყენონ. ჩვენ ამ მიმართულებით ვმუშაობთ და შედეგებსაც მალე ველოდებით".*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუმინეთი | 11 | 8 | 2 | 1 | 20-6 | 26 |
| 2. ჰოლანდია | 11 | 8 | 2 | 1 | 14-3 | 26 |
| 3. ბულგარეთი | 11 | 6 | 4 | 1 | 16-7 | 22 |
| 4. ალბანეთი | 11 | 2 | 5 | 4 | 11-12 | 11 |
| 5. სლოვენია | 11 | 3 | 2 | 6 | 9-14 | 11 |
| 6. ბელარუსი | 11 | 3 | 1 | 7 | 15-22 | 10 |
| 7. ლუქსემბურგი | 12 | 1 | 0 | 11 | 2-23 | 3 |

**21 ნოემბერი. ოთხშაბათი**

რუმინეთი-ალბანეთი

სლოვენია-ბულგარეთი

ბელარუსი-ჰოლანდია

მუნდიალი 2010. შესარჩევი ტურნირი. სამხრეთი ამერიკა. III ტური

# არგენტინა სრული სვლით



პარაგვაი-ეკვადორი. სანტა კრუსის გოლის შემდეგ

**არგენტინა–ბოლივია 3:0**

**არგენტინა:** აბონდანსიერი, იბარა, დემიკელისი, მილიტო, ძანეტი; მასკერანო, კამბიასო (69. გახო), რიკელმე, მესი, ტევესი (83. ხერმან დენისი), აგუერო (76. მაქსი როდრიგესი).

**ბოლივია:** არიასი, მიგელ ოიოსი, რალდესი, ლიმბერტ მენდესი, გუტიერესი, გარსია, სუარესი, ლიმბერტ გუტიერესი (61. რონალდ გუტიერესი), ვაკა, მორენო (61. არსე), კაბრერა (79. მორენო).

**გოლები:** 1:0 აგუერო (41), 2:0 რიკელმე (57), 3:0 რიკელმე (74).

**კოლუმბია–ვენესუელა 1:0**

**კოლუმბია:** ხულიო, დარიო ბუსტოსი, მორენო, მოსკერა, ველესი,ამაია, კასტრილიონი, სანჩესი (70. გრისალესი), ლეაო რამირესი (46. ტორესი), რენტერია, ფალკაო გარსია (50. მორენო).

**ვენესუელა:** ლეანდრო მორალესი, ვალენილია, ხოსე მანუელ რეი, ვიელმა, როუგა, ვიტალი, როხასი, ფედორი (78. კიჩერო), პაესი (67. სესარ გონსალესი), არანგო, მალდონადო (56. გერა)

**გოლი:** 1:0 დარიო ბუსტოსი (82)

**პარაგვაი–ეკვადორი 5:1**

**პარაგვაი:** ვილიარი, ვერა, კასერესი, და სილვა, კლაუდიო მორელ როდრიგესი (79. დარიო ვერონი), ბარეტო, ვიქტორ კასერესი, რივეროსი, სანტა კრუსი (77. ნ აიალა), კაბანიასი, ვალდესი (61. ბონეტი).

**ეკვადორი:** ელისაგა, მონტანიო, გუაგუა, ესპინოსა, ბაგი, ურუტია (46. კამპოსი), კასტილიო, აიოვი, მენდესი, ბენიტესი (77. კაისედო), ორდონიესი (64. კავიედესი).

**გოლები:** 1:0 ვალდესი (9), 2:0 რივეროსი (27), 3:0 სანტა კრუსი (50), 3:1 კავიედესი (81), 4:1 ნ. აიალა (83), 5:1 რივეროსი (88).

არგენტინის ნაკრებმა ზედიზედ მესამე გამარჯვება იზეიმა. ხაზგასასმელია, რომ "ალბისელესტემ" ამ წარმატებას ლამაზი ფეხბურთის თამაშით მიაღწია. მორიგი სამი ქულა საკმარისი გახდა იმისთვის, რომ **ალბიო ბასილეს** გუნდს ერთპიროვნული ლიდერობა შეენარჩუნებინა. საფინალო სასტვენის შემდეგ დაფიქსირებული ანგარიშის გათვალისწინებით, არგენტინელებისთვის აბსოლუტურად ალარანაირი მნიშვნელობა ჰქონდა, თუ რა შედეგით დასრულდებოდა ბრაზილიის ნაკრების ორთაბრძოლა.

მათი ტრიუმფი **სერხიო აგუეროსა** და **ხუან რომან რიკელმეს** გოლებმა განაპირობა. ისინი რა თქმა უნდა, ძალიან გახარებულები იყვნენ, მაგრამ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ამ თამაშმა ყველაზე დიდი ბედნიერება **ხავიერ ძანეტის** მოგვარა. საქმე ის არის, რომ "ინტერის" ვეტერანმა ვარსკვლავმა ეროვნული გუნდის ღირსება 116-ე შეხვედრაში დაიცვა და **რობერტო ფაბიან აიალას** მაჩვენებელი ერთი მატჩით გააუმჯობესა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ძანეტი არგენტინის ნაკრების რეკორდსმენი გახდა. "ალბისელესტეში" მას ყველაზე მეტი თამაში აქვს ჩატარებული.

დასაწყისში მოგახსენეთ, რომ მასპინძლებმა ლამაზი ფეხბურთის დემონსტრირება მოახდინეს, თუმცა უნდა განვმარტოთ, რომ დაპირისპირების დებიუტში გულშემატკივრები ძალიან მოწყენილები იყვნენ. ბასილეს ბიჭებმა საქმეს სერიოზულად მხოლოდ 25-ე წუთიდან მოჰკიდეს ხელი. ბოლიველთა კრის დარაჯს, **არიასს** პირველი თავსატეხი **ლეო მესიმ** გაუჩინა, მაგრამ "ბარსელონის" გენიალურმა ფორვარდმა ცუდად დაარტყა და სტუმრები გოლისგან დაინდო. რამდენიმე წუთში **კარლოს ტევესსაც** მოეცარა ხელი. მანჩესტერელის მიერ დარტყმული ბურთი რამდენიმე სანტიმეტრით ასცდა კარს. ამასობაში, 41-ე წუთიც დადგა. **მარტინ დემიკელისმა** თავურით სცადა ანგარიშის გახსნა, მაგრამ მისმა მცდელობამ შედეგი არ გამოიღო. სამაგიეროდ, სერხიო აგუერომ დასწრებაზე ივარგა და არიასს შანსი არ დაუტოვა. ბუნებრივია, ტაიმის მიწურულს "ესტადიო მონუმენტალზე" გაშვებულმა ბურთმა სტუმრები ძალიან რთულ მდგომარეობაში ჩააყენა. სხვათა შორის, სამხრეთამერიკელ მიმომხილველებს მეტისმეტად გაუკვირდათ, "ალბისელესტემ" აქამდე როგორ მიიყვანა საქმე და მანამდე არ გახსნა ანგარიში.

შესვენების შემდეგ მასპინძლებმა უდიდესი უპირატესობა მოიპოვეს. მესის, ტევესისა და რიკელმეს შეჩერება სულ უფრო და უფრო რთული იყო. ლეო სწრაფი დრიბლინგებით საჯარიმოში შესვლას ახერხებდა, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში ახალგაზრდა სამხრეთამერიკელი შეცდომებს უშვებდა. დიახ, უმნიშვნელო შეცდომებს, თუმცა საგოლე მომენტების გასაფუჭებლად ეს უმნიშვნელო შეცდომებიც საკმარისი აღმოჩნდა... მაგრამ ადგილობრივ ინჩასებს ხანგრძლივი იმედგაცრუება არ ელოდათ.

ბოლივიელთა რამდენიმე მეტნაკლებად მწვავე კონტრიერიშის შემდეგ ბასილეს ბიჭებმა რიტმი ერთი-ორად გაზარდეს და სტუმართა დაცვასაც ძალიან გაუჭირდა. ერთხელ ბურთი ძელს მოხვდა, ორიოდ წუთის შემდეგ კი მეკარემ შორეული კითხიდან თავგანწირული ნახტომით მოიგერია ბურთი. აშკარა გახდა, არგენტინელთა მხრიდან სისწრაფის მომატება უშედეგოდ არ ჩაივლიდა. ასეც მოხდა, 57-ე წუთზე ხუან რომან რიკელმემ საჯარიმო დარტყმის შესრულების უფლება მოიპოვა. **მანუელ პელეგრინის** მიერ უარყოფილმა და ფეხებზე დაკიდებულმა ნახევარმცველმა მორიგი ზღაპრული დარტყმა შემოგვთავაზა. მეკარე უძლური აღმოჩნდა. დაუშვებელია, არ შეგახსენოთ, რომ რომანმა მიმდინარე შესარჩევ ციკლში, კერძოდ ჩილეს ნაკრებთან მატჩში არანაკლებ ეფექტური საჯარიმოებით შეძლო გატანა. არგენტინელებმა კარგი ფეხბურთის გემო გაიგეს და კიდევ უფრო დიდი ენთუზიაზმით შეუტიეს. მესი ლაღად ათამაშებდა ბურთს და მოწინააღმდეგეებსაც უპრობლემოდ ატყუებდა. მისთვის სამწუხაროდ, ლეოს თანაგუნდელები სათანადოდ ვერ ეხმარებოდნენ და ამის გამო საკმაოდ ბევრი იერიში დასრულდა უშედეგოდ. მიუხედავად ამისა, ლეოს შრომა დაუფასებელი მაინც არ დარჩენილა. 74-ე წუთზე ბარსელონელმა ფანტასტიკური დრიბლინგი განახორციელა, მეურვეები ახლოსაც არ გაიკარა შესანიშნავი პასით რიკელმე საგოლე პოზიციაზე გაიყვანა. რომანმა საჩუქარი შეირგო და დუბლი შეასრულა. არ ფიქრობთ, რომ სათამაშო პრაქტიკის არმქონე კაცისგან ნაკრებში ამდენი გოლის გატანა ნამდვილი სასწაულია? ყველამ იცის, "ვილიარეალის" თავკაცი მას თითქმის ორი წლისწინანდელი ისტორიის გამო ძირითად შემადგენლობას არ აკარებს, თუმცა რომელ ძირითადზეა საუბარი, როცა მანუელ პელეგრინის არგენტინელი წელს არც ერთი შეხვედრის განაცხადშიც კი არ შეუყვანია. უთამაშებლობის მიუხედავად, რიკელმე ფორმას არ ჰკარგავს. მართლაც რომ გასაოცარი ამბავია.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ბოლივიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა აღიარა, რომ "ალბისელესტემ" მისი გუნდი პირწმინდად დაჩაგრა: *"მართალია, მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში დაცვაში საკმაოდ მწყობრად ვასპარეზობდით, მასპინძლებმა მაინც დაგვამარცხეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დღეს ასეთ ძლიერ მეტოქესთან თანასწორად საბრძოლველად მზად არ ვართ. არგენტინამ ყველა კომპონენტში გვაჯობა. უფრო მიზანმიმართულები, აქტიურები და ტექნიკურები იყვნენ. სისწრაფესა და ოპტიმიზმზე აღარაფერს ვამბობ. მოკლედ, ფაქტობრივად, არანაირი შანსი არ გვქონდა. დასანანია, მაგრამ ფაქტს ვერსად გავექცევით."*

ბუნებრივია, ალფიო ბასილეს აბსოლუტურად საპირისპირო განწყობა დაეუფლა: *"ჩვენმა სტუმრებმა სადებიუტო 20 წუთის განმავლობაში ბევრი პრობლემა შეგვიქმნეს, მაგრამ შემდეგ მათი წინააღმდეგობა გავტეხეთ და სრულ უპირატესობას დავეუფლეთ. პირველი გოლის გატანის შემდეგ თამაში გაიხსნა და ჩვენმა ფეხბურთელებმა სრული თავისუფლება იგრძნეს. მიმაჩნია, რომ სამი ქულა დამსახურებულად მოვიპოვეთ. ბედნიერი ვარ, "ალბისელესტეს" მწვრთნელობით. ასეთი შემადგენლობა ალბათ, სხვა არც ერთ მწვრთნელს არ ჰყავს. არ შემიძლია, რიკელმეზე არ ვისაუბრო. არ ვიცი, რა სიტყვები უნდა გამოვიყენო ამ ბიჭის გენიალურობის შესაფასებლად, მხოლოდ გენიოსი? თუ ღმერთის მიერ უშრეტი ნიჭით დაჯილდოვებული გენიალური შემოქმედი? წარმოიდგინეთ, რომანი კლუბში საერთოდ არ ასპარეზობს, მაგრამ ნაკრებში მუდამ მონოდების სიმაღლეზეა. მერწმუნეთ, თანამედროვე ფეხბურთში მსგავსი რამ წარმოუდგენელია. ზოგადად კოლეგების მუშაობის ან თუნდაც უმნიშვნელო თუ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების შეფასება არ მჩვევია. შევეცდები ტრადიცია ამჯერადაც არ დავარღვიო, თუმცა იმას მაინც ვიტყვი, რომ სენიორ პელეგრინის ვერაფრით გავუგებ. რა ვქნა, უბრალოდ არ მესმის, როგორ შეუძლია რიკელმე გუნდში ჰყავდეს და არ ათამაშოს. ვფიქრობ, ამით "ვილიარეალი" თავად რომანზე მეტად ზარალდება."*

პარაგვაის ეროვნულმა გუნდმა ეკვადორი მიწასთან გაასწორა. მათი გამარჯვება იმდენად პომპეზური და შთამბეჭდავი იყო, რომ ეკვადორის ფეხბურთის ფედერაციამ დამცირებული ნაკრების მთავარი მწვრთნელი, **ლუის ფერნანდო სუარესი** თანამდებობიდან დაითხოვა. სხვათა შორის, ოფიციალურ ვერსიად გადაგომა სახელდება, მაგრამ ეკვადორელი ჟურნალისტები დარწმუნებულები არიან, რომ სუარესმა წასვლა სერიოზული ზენოლის შემდეგ გადაწყვიტა. ასეა თუ ისე, მთავარი მწვრთნელის წასვლის მიზეზის დადგენა არავისთვის უნდა იყოს რთული, სუარესის ბიჭებმა ამ კატასტროფული მარცხის წინ ზედიზედ ორი შეხვედრა წააგეს. ანუ მიმდინარე შესარჩევ ციკლში ეკვაოდრს ჯერ ერთი ქულაც არ მოუპოვებია. ამის გათვალისწინებით, საფეხბურთო მამების რადიკალური გადაწყვეტილება გასაკვირი სულაც არ უნდა იყოს. საბრალო სუარესმა მატჩისშემდგომი პრესკონფერენციაზე მეტისმეტად ნაღვლიანი კაცის შთაბეჭდილება დატოვა. მისი კომენტარი ალბათ, ძალიან საინტერესო იქნება: *"რამდენიმე წუთის თანამდებობიდან გადადგომა გადავწყვიტე. ცხადია, ძალაინ ცუდ ხასიათზე ვარ. ვფიქრობ, მეტყობა კიდეც. მიუხედავად იმისა, რომ სამი ტურის შემდეგ ერთი ქულაც არ მოგვიპოვებია, ნაკრების შველა მაინც შეიძლება. სიტუაცია რთული იყო, მაგრამ ჩვენ თავისუფლად შეგვეძლო მეტი შრომის ფასად კრიზისი დაგვეძლია და სატურნირო მდგომარეობა გამოგვესწორებინა. მაგრამ ამის ფედერაციის ხელმძღვანელებთან საუბრის შემდეგ დავრწმუნდი, რომ თანამდებობა უნდა დამეტოვებინა. ისინი აღარ მენდობიან. ამ პირობებში კი ვერც ერთი თავმოყვარე სპეციალისტი ვერ იმუშავებს... გული მტკივა, რომ ნაკრებს ბოლო ადგილზე ყოფნისას ვემშვიდობები, მაგრამ ჯობს წავიდე. დღეს პარაგვაიმ მიწასთან გაგვასწორა. თამაშის კომენტირებას რა აზრი აქვს. ყველამ ნახა, რომ მასპინძლებმა ყოველმხრივ დაგვჩაგრეს. იმედი მაქვს, ეკვადორის ნაკრებს ძლიერ სპეციალისტს ჩააბარებენ და გუნდი კრიზისს დაძლევს. არ მინდა, ის დიდი შრომა, რომელიც ნაკრებში მუშაობას ჩავაქსოვე გაუფასურდეს."*

ეკვადორელთა ყოფილი თავკაცი აბსოლუტურად მართალი იყო, როცა ამბობდა, რომ პარაგვაიმ მისი გუნდი ყოველმხრივ დაჩაგრა. თავად ანგარიში მეტყველებს ამ ფაქტზე, მაგრამ აქვე უნდა მოგახსენოთ, მასპინძლებს კიდევ მეტად რომ გამართლებოდათ ანგარიში საერთოდ კატასტროფულ სახეს მიიღებდა. თავად განსაჯეთ, **როკე სანტა კრუსმა, კაბანიასმა და ვალდესმა** მთლიანობაში 12 საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს. რამდენჯერმა **რივეროსმაც** შეცოდა, მაგრამ გულშემატკივრებს მათი მისამართით საყვედური არ გამოუთქვამთ. ან რა უნდა ეთქვათ, პარაგვაიმ ხომ სწორედ ამ ბიჭების გოლების წყალობით გაიმარჯვა. ამასთან დიდი ანგარიშით. ამიტომ, გამოუყენებელი მომენტები გულდაწყვეტის მიზეზი მართლაც არ უნდა გამხდარიყო.

გასული შაბათი კოლუმბიის ნაკრებისთვის ძალიან წარმატებული გამოდგა. მასპინძლებმა 2010 წლის მუნდიალის შესარჩევ ტურნირში პირველი გამარჯვება იზეიმეს. გარდა ამისა, მათ ვენესუელაზე რევანშის აღება შეძლეს. საქმე ის არის, რომ ზუსტად ოთხი წლის წინ ასევე მსოფლიო პირველობის შესარჩევი ციკლის მესამე ტურში ვენესუელემ კოლუმბია ბოგოტაში დაამარცხა და ჰაერივით საჭირო სამი ქულა დააკარგვინა. მასპინძელთა ინჩასებმა გამარჯვებით ფრიად გაიხარეს. ემოციები იმდენად დუღდა, რომ საფინალო სასტვენის შემდეგ ეგზალტირებულმა გულშემატკივრებმა სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე სამი მანქანა ამოაყირავეს. ინციდენტი პოლიციელთა დროული და ეფექტური ჩარევის შემდეგ ამოიწურა. მიმოხილვის დასასრულს გეტყვით, რომ გამარჯვების ბურთი **დარიო ბუსტოსის** ანგარიშზე ჩაიწერა. მან მცველების მიუტევებელი შეცდომით ისარგებლა.

**გუშინ**

| | |
|---|---|
| **ურუგვაი–ჩილე** | 2:2 |
| **პერუ–ბრაზილია** | გვიან დასრულდა |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არგენტინა | 3 | 3 | 0 | 0 | 7-0 | 6 |
| 2. პარაგვაი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-1 | 7 |
| 3. კოლუმბია | 3 | 1 | 2 | 0 | 1-0 | 5 |
| 4. ბრაზილია | 2 | 1 | 1 | 0 | 5-0 | 4 |
| 5. ურუგვაი | 3 | 1 | 1 | 1 | 7-3 | 4 |
| 6. ჩილე | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 4 |
| 7. ვენესუელა | 3 | 1 | 0 | 2 | 1-2 | 3 |
| 8. პერუ | 2 | 0 | 1 | 1 | 0-2 | 1 |
| 9. ბოლივია | 3 | 0 | 1 | 2 | 0-8 | 1 |
| 10. ეკვადორი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-11 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოსალოდნელი გადაადგილება

# შეცვლის რაფა ოტმარს?

## რაფა ბაიერნის ბოსების გეგმა B ყოფილა. მოურინიოც სიაშია...



რაფა ბენიტესი, მიუნხენელთა ფავორიტი

„ბაიერნს“ დაძაბული და ნერვიული კვირა ჰქონდა და ეს კვირა გასულ უქმეებზე ინგლისურ და გერმანულ პრესაში გავრცელებული ახალი სპეკულაციებით დაგვირგვინდა. ინგლისური „დეილი მეილი“ და „დეილი მირორი“, ასევე გერმანული „ბილდი“, ერთხმად იტყობინებიან, რომ „ბაიერნის“ ხელმძღვანელებს, გუნდის მთავარი მწვრთნელის რანგში მომავალი სეზონიდან **რაფა ბენიტესის** ხილვა სურთ. 47 წლის ესპანელმა სპეციალისტმა „ლივერპულთან“ კონტრაქტი ახლახან გააგრძელა (2010 წლამდე), მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენი ინგლისელი და გერმანელი კოლეგების ცნობით, გამორიცხული არაა, რომ ზაფხულიდან მიუნხენური კლუბის დამრიგებელი გახდეს.

ინგლისური გამოცემები მხოლოდ და მხოლოდ დაინტერესებაზე წერენ და საიდუმლო წყაროზე დაყრდნობით გვამცნობენ, რომ ბენიტესი „ბაიერნისთვის“ გეგმა B არის, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ **ოტმარ ჰიტცფელდი** ბავარიულ კლუბთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას არ მოისურვებს, მიუნხენელები ესპანელს გადაიბირებენ. „ბილდი“ კი პირდაპირ წერს, რომ „ბაიერნის“ შეფებმა ბენიტესს უკვე კონკრეტული წინადადებით მიმართეს და ახლა მისგან პასუხს ელიან.

ნიშნავს თუ არა ბენიტესით დაინტერესება იმას, რომ „ბაიერნის“ ხელმძღვანელებმა ჰიტცფელდი უკვე ჩამოწერეს? ყოველ შემთხვევაში, ძალიან საეჭვოა, რომ ისეთმა მწვრთნელმა, როგორიც ბენიტესია, სტატუსი „გეგმა B“ ისურვოს. ფაქტია ისიც, რომ „ბაიერნი“ იძულებულია, ახალი მწვრთნელის ძებნას ნელ-ნელა შეუდგეს, რადგან ჰიტცფელდი თავის მომავალს ჯერ-ჯერობით ღიად ტოვებს. როგორც იცით, ოტმარსა და რეკორდმაისტერის ბოსებს შორის ახალი კონტრაქტის შესახებ მოლაპარაკებები იანვრიდან უნდა დაიწყოს. „გენერალს“ FCB-სთან ხელშეკრულების ვადა სეზონის ბოლოს ეწურება და არავინ იცის, მოისურვებს თუ არა დარჩენას. მოგეხსენებათ, ოტმარს შვეიცარიის ნაკრების ვარიანტიც აქვს და არაერთხელ აღნიშნა, რომ ეს ვარიანტიც ძალიან ხიბლავს, თუმცა ყოველთვის ამატებდა, გუნდი, ვისთანაც პირველად დავილაპარაკებ, რა თქმა უნდა, „ბაიერნიაო“.

იმის ფონზე, რომ დაახლოებით 10 დღის წინათ ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** ჰიტცფელდი მწარედ გააკრიტიკა, გამორიცხული უკვე აღარაფერია. მართალია, გუნდის საერთო კრებაზე „კალემ“ ოტმარს შერიგების ხელი გაუწოდა, მაგრამ ექსპერტებმა მაშინვე გამოთქვეს ეჭვი, რომ ეს არ იყო გულწრფელი ჟესტი.

ასეა თუ ისე, ფაქტი ის გახლავთ, რომ „ბაიერნის“ ქომაგები ბენიტესის კანდიდატურით აღფრთოვანებულები არიან. ფანების უდიდესი ნაწილი მიიჩნევს, რომ თუ ჰიტცფელდი კონტრაქტს არ გააგრძელებს, ბენიტესი მისი იდეალური შემცვლელი იქნება, რადგან რაფას ბოლოდროინდელი წარმატებები ამ მწვრთნელს გრანდებისთვის ძალიან სასურველს ხდის. ბენიტესმა 2002 და 2004 წლებში „ვალენსია“ ესპანეთის ჩემპიონი გახადა, 2004 წელს კი უეფას თასიც მოაგებინა. უეფას თასის მოგების შემდეგ ის „ლივერპულის“ დამრიგებელი გახდა და გუნდს პირველივე სეზონში მოაგებინა ჩემპიონთა ლიგა (2005 წელს) და ერთწლიანი პაუზის შემდეგ, მერსისაიდელები ისევ გაიყვანა ფინალში (გასულ სეზონში).

„თაიმსი“ იტყობინება, რომ „ბაიერნის“ ხელმძღვანელებს, ბენიტესთან ერთად, „ჩელსის“ ყოფილი დამრიგებელი, ამჟამად უმუშევარი **ჟოზე მოურინიოც** თვალთახედვის არეში ჰყავთ...

**გოტფრიდ ლენცი**



კაკა ევროპაში უმდიდრესი და მსოფლიოს მეორე ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი გახდება...

მილანი

# კაკას ახალი კონტრაქტი

## რონალდოს ხუთი გოლი, ძამბროტას მილანური ვარიანტი და ახალგაზრდების სია...

**კაკა** “მილანს” ახალი კონტრაქტის პირობებზე მოურიგდა. ბრაზილიელი ვარსკვლავი “როსონერიში” 2012 წლამდე დარჩება. “გაძეტა დელო სპორტის” მტკიცებით, ფეხბურთელი წლიურად 9 მილიონ ევროს მიიღებს. შეთანხმების ძალაში შესვლას ხელმოწერა აკლია. კაკა 2 დეკემბერს ელოდება. ამ დღეს პარიზში ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი უნდა დაასახელონ. 25 წლის ბრაზილიელი უმთავრეს ფავორიტად მიიჩნევა. უნდა ვივარაუდოთ, რომ “მილანთან” მოლაპარაკებებს პარიზიდან დაბრუნების შემდეგ დაესმება წერტილი. პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციამ კაკას უკვე მიანიჭა წლის საუკეთესო მოთამაშის ტიტული. ის გასული სეზონის ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო ფეხბურთელადაც დაასახელეს. დღევანდელი კონტრაქტით, კაკა უკვე არის იტალიის ყველაზე მაღალანაზღაურებადი ვარსკვლავი. მას წლიურად 6 მილიონ ევროს უხდიან. ახალი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ კაკა მსოფლიოს მეორე უმიდიდრესი ფეხბურთელი გახდება. პირველობას, რა თქმა უნდა, არავის უთმობს **დევიდ ბექჰემი**. ინგლისელი გალაქტიკო წლიურად 50 მილიონ დოლარს იხვეჭს. ევროპაში მოთამაშე ვარსკვლავებს თუ ჩავთვლით, კაკაზე მაღალ ხელფასს, წლიურად 8 მილიონ ევროს, მხოლოდ **რონალდინიოს** უხდიან. კაკა “მილანში” 2003 წელს “სან პაულუდან” გადავიდა. მისი დღევანდელი ხელშეკრულება 2011 წელს იწურება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კონტრაქტი ერთი წლით გაგრძელდება, თუმცა სარგებელი თითქმის მესამედით მოიმატებს.

ამ უქმეებზე, “მილანის” ფეხბურთელები, რომლებიც ნაკრებებში არ გამოიძახეს, ორ ბანაკად გაიყვნენ და ამხანაგური მატჩი გამართეს. იტალიელებს “როსონერის” ბრაზილიელი ლეგიონერები დაუპირისპირდნენ. იტალიელთა გუნდში იყვნენ **ფიორი, მალდინი, ფავალი, ნესტა, ბროკი** და **ინძაგი**. ბრაზილიელთა გუნდი **სერჟინიომ, პატომ, რონალდომ** და **დიგაომ** დააკომპლექტეს. პენტაკამპეონებს ორი “ნატურალიზებული” ფეხბურთელი ჰყავდათ - **კალაჩი** და **კოსტაკურტა**. ბრაზილიამ გამანადგურებელი ანგარიშით გაიმარჯვა, 7:1. ხუთი გოლი რონალდომ გაიტანა, თითო პატომ და სერჟინიომ. დამარცხებული იტალიელებისაგან ვეტერანმა მალდინიმ გამოიჩინა თავი.

აქვე სატრანსფერო ამბები მილანელთა ბანაკიდან. ევროპის ჩემპიონებმა 17 მილიონი გირვანქა გაამზადეს პალერმოელი ცენტრ-ფორვარდის **ამაურის** სანაცვლოდ. სეზონის ბოლოს “როსონერი” ორ ვეტერან ბრაზილიელს - **კაფუსა** და **სერჟინიოს** გამოეთხოვება. მათი აბარგება გზას გაუხსნის სხვა არაევროკავშირელ ფეხბურთელებს. ამაური ბრაზილიელია. ორიდან ერთ გამოთავისუფლებულ ადგილს სავარაუდოდ ის შეავსებს. მილანელები ამაურის ალეშანდრე პატოს იდეალურ მეწყვილედ მოიაზრებენ. არაა გამორიცხული გარიგება იანვრის ფანჯრის გახსნისთანავე შედგეს, თუმცა ამაური ახალ კლუბში მხოლოდ ზაფხულში გადავა.

მილანელები **ჯანლუკა ძამბროტასაც** ეპატიჟებიან. გამოცდილ მცველს იტალიაში დაბრუნება სურს. “ბარსელონამ” “ბაიერნის” მარცხენა მცველ **ფილიპ ლამს** დაადგა თვალი. ლამის ტრანსფერის შემთხვევაში, ძამბროტას სკამზე გაამწესებენ. ასე რომ იტალიურ გრანდს ტრანსფერის განხორციელების კარგი შანსი აქვს.

და კიდევ, მილანელებმა იმ ახალგაზრდა ფეხბურთელების სია ჩამოწერეს, რომელთაგან რამდენიმეს იანვარში ან აგვისტოში გაუფორმებენ კონტრაქტებს. სიაში მოხვდნენ **ბრენო** (მცველი, სან პაულუ), **სტელვიო** (ნახევარმცველი, ბრაგა), **ილსინიო** და **ფერნანდინიო** (მცველები, შახტარი), **ჟო** (თავდამსხმელი, ცსკა) და **ჯუზეპე როსი** (თავდამსხმელი, ვილიარეალი). ჩამოთვლილთაგან პირველი ხუთი ბრაზილიელია. “მილანის” ახალგაზრდა ნახევარმცველი **იოან გურკუფი**, შეიძლება, სამშობლოში გაემგზავროს. “ლანსის” თავკაცმა **ჟან-პიერ პაპენმა** თავის ყოფილ კლუბს გურკუფის იჯარით დათმობა შესთავაზა. “ეკიპის” ცნობით, გარიგება სავსებით რეალურია.

ევროპული ფეხბურთის ამერიკული პერსპექტივა

# ბექჰემის ეფექტი: მერე რა, რომ გალაქტიკომ ცოტა ითამაშა

## ამერიკელი ექსპერტები სოკერის ლიგის დასუსტებას აღარ წინასწარმეტყველებენ...

პარასკევს დევიდ ბექჰემმა 98-ე სანაკრებო მატჩი ჩაატარა. ის ალბათ ოთხშაბათსაც ითამაშებს და ას მატჩამდე ერთი თამაშილა დააკლდება. ინგლისის ნაკრებში 100 და მეტი კეპი მხოლოდ ოთხ ფეხბურთელს მოეპოვება. რეკორდი, 125 მატჩი, ლეგენდარულ მეკარეს პიტერ შილტონს ეკუთვნის. ასიანთა კლუბში კიდევ სამი ლეგენდაა: სერ ბობი მური, სერ ბობი ჩარლტონი და ბილი რაიტი. ბექჰემი მათ გვერდით დადგომას აპირებს. დევიდს მეასე მატჩი თებერვალში მოუწევს - ინგლისი შვეიცარიასთან ამხანაგურ შეხვედრას გეგმავს. შესაძლოა, საიუბილეო აღმოჩნდეს მომდევნო მატჩი საფრანგეთთან, რომელიც მარტში პარიზში უნდა გაიმართოს. ბექჰემმა ავსტრიასთან 62 წუთი ითამაშა და საგოლე პასი ჩაიწერა აქტივში. 44-ე წუთზე პიტერ კრაუჩმა ერთადერთი გოლი მისი კუთხურის შემდეგ შეაგდო. 62-ე წუთზე “ლოს ანჯელეს გალაქსის” ვარსკვლავი დევიდ ბენტლიმ შეცვალა. ბექზის სანაკრებო ამბებზე საუბარს აქ დავასრულებთ და შემოგთავაზებთ სი-ბი-ესის სტატიას, რომელიც ბექჰემის ამერიკულ ტრანსფერსა და პირველ შედეგებს აფასებს.

იქამდე შეგახსენებთ, რომ წუხელ MLS-ის ფინალში ჰიუსტონის “დინამო” “ნიუ ინგლენდ რევოლუშენს” შეხვდა (ზედიზედ მეორე სეზონში). ჟოზე მოურინიო საგანგებოდ ეწვია ვაშინგტონს ამ თამაშზე დასასწრებად. ის იმავე “გრანდ ჰაიატში” დაბინავდა, სადაც MLS-ის მაღალჩინოსნები იყვნენ გაჩერებულნი. მოურინიო MLS-ის კომისარ დონ გარბერს შეხვდა. მიმომხილველებმა საჭიროდ ჩათვალეს, განემარტათ, რომ გულშემატკივარმა ამ შეხვედრას განსაკუთრებული იმედები არ უნდა დაუკავშიროს. მოურინიო ამერიკაში სამუშაოდ ჯერ არ გადადის. შემდეგ კი ბევრი რამ სოკერის განვითარებაზე იქნება დამოკიდებული. მიმდინარე სეზონით თუ ვიმსჯელებთ, ამერიკაში ევროპული ფეხბურთის პოპულარიზაციას კარგი პირი უჩანს. ახლა კი სი-ბი-ესის დაპირებული სტატია.

**დევიდ ბექჰემის** თამაში საჭირო არ აღმოჩნდა იმისათვის, რომ 30 972 მაყურებელს ჰიუსტონის “რობერტსონ სთედიუმი” შეევსო (“დინამომ” “კანზას სიტი ვიზარდსი” დაამარცხა (2:0) და ზედიზედ მეორედ მოიპოვა MLS-ის ფინალის საგზური). ბექჰემს არც ტორონტოს “BMO ფილდზე” უთამაშია, თუმცა ამ არენაზე სეზონის 15-ვე მატჩმა ანშლაგით ჩაიარა. ინგლისელმა გალაქტიკომ მუხლის ტრავმის გამო მხოლოდ ხუთი მატჩი ჩაატარა. ამ მატჩებზე დასწრების საშუალო მაჩვენებელი 37 659 იყო. შედარებისათვის, წლევანდელ MLS-ში საშუალო დასწრებამ 16 770 მაყურებელი შეადგინა. ბექჰემის ეფექტი თვალსაჩინოა. ის კიდევ უფრო თვალსაჩინოდ გამოვლინდა სხვა დეტალებში. MLS-ის ინტერნეტ-ტრაფიკმა გასულ წელთან შედარებით 80 პროცენტით მოიმატა. ESPN2-ზე ამერიკული ლიგის რეიტინგმა 25 პროცენტით აიწია. MLS-ის მაისურებით ვაჭრობამ ყველა მოლოდინს გადააჭარბა. ზრდამ 780 პროცენტი შეადგინა. თუ ბექჰემის მაისურებს გამოვაკლებთ, ზრდა მაინც მნიშვნელოვანი, 280 პროცენტი იყო. დევიდ ბექჰემი ის ფეხბურთელია, რომელიც დღემდე ყველაზე მეტ მაისურს ყიდის მთელ მსოფლიოში.

*“ბექჰემის ტრანსფერმა ჩვენი ყველა მოლოდინი გაამართლა, - ამბობს MLS-ის კომისარი დონ გარბერი. - მისი ფაქტორი საგრძნობლად ზრდის ამერიკული ლიგის ავტორიტეტსა და ცნობადობას. მის ჩამოსვლამდე ინგლისში არავინ გვიცნობდა. დღეს კი ამერიკულ ლიგას ფეხბურთის სამშობლოშიც კი უყურებენ. ბი-ბი-სიმ ჩვენი ლიგის მატჩების ტრანსლირება მხოლოდ ბექჰემის ტრანსფერის შემდეგ დაიწყო.”* 2 აგვისტოს ბექჰემმა “ლოს ანჯელეს გალაქსის” შემადგენლობაში პირველად ითამაშა. ეს იყო ამხანაგური მატჩი “ჩელსისთან”. 2 აგვისტოს შემდეგ MLS-ის მატჩებზე დასწრება საშუალოდ 49 პროცენტით გაიზარდა. გარბერი ამბობს: *“ბექჰემის ეფექტს მხოლოდ იმ ხუთი მატჩით ვერ შევაფასებთ, რომელშიც მან უშუალოდ ითამაშა. მან ამერიკის საფეხბურთო ლიგას ღირებულება შემატა. ამის უარყოფა შეუძლებელია.”*

კვირას (გუშინ) “ჰიუსტონისა” და “ნიუ ინგლენდის” მატჩით MLS-ის მე-12 სეზონი დასრულდება. ტურნირს ახალი აღარ ეთქმის. ის აქტიურად იბრძვის ამერიკული სპორტის სცენაზე საკუთარი ნიშის მოსაპოვებლად. MLS-ის ცამეტიდან შვიდი გუნდი სპეციფიკურ საფეხბურთო სტადიონზე თამაშობს. “რეალ სოლტ ლეიკ სიტი” ახალ არენაზე გადასასვლელად ემზადება. ახალ სტადიონს აშენებს “ნიუ იორკ რედ ბულიც”. მშენებლობა 2009 წელს დასრულდება. მომდევნო გათამაშებაში MLS-ს მე-14 გუნდი შეემატება - ხელახლა დაბადებული “სან ხოსე ერსქვიქი”. 2009 წელს ჩემპიონატში ჩაებმება მე-15 გუნდი. ის სიეტლში დაიდებს ბინას. სიეტლის დამფუძნებლებმა ინფორმაციის გავრცელებიდან 24 საათში 3 ათასი სეზონური აბონემენტი გაყიდეს (იგულისხმება 2009 წლის სეზონი). ინტენსიურად განიხილება მე-16 გუნდის დაფუძნების საკითხი. მის შექმნაზე ფილადელფია და სენტ ლუისი აცხადებენ პრეტენზიას.

მიმდინარე სეზონში MLS-ში ოთხი ახალი საინვესტიციო ჯგუფი გამოჩნდა. ახლა უკვე თითქმის ყველა კლუბს ჰყავს ერთი ძირითადი დამფინანსებელი. MLS-ი ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს ბეისბოლის გიგანტ “ნიუ იორკ მეტსთან”. “მეტსი” ქუინსში ახალი სტადიონის აშენებას აპირებს და შეიძლება, საფეხბურთო კლუბიც დააფუძნოს. თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართება, ნიუ იორკს MLS-ში მეორე გუნდი ეყოლება. რა თქმა უნდა, არსებობს პრობლემებიც. “კანზას სიტი ვიზარდსის” თამაშებს საშუალოდ 11 586 მაყურებელი ესწრება. “ნიუ ინგლენდ რევოლუშენის” მატჩებს კი 10 317, მიუხედავად იმისა, რომ ეს გუნდი ჩემპიონატის ფინალში ზედიზედ მეორედ გავიდა. MLS-ის მატჩები ხუთშაბათ საღამოს იმართება. ESPN2-ზე ტრანსლაციები პირდაპირ ეთერში, საუკეთესო სატელევიზიო დროს გადაიცემა, მაგრამ ყველა გამოკითხვა ცხადყოფს, რომ თამაშებზე გაცილებით მეტი მაყურებელი ივლიდა, ისინი შაბათ-კვირას რომ დაენიშნათ. ნიშანდობლივია, რომ არცერთი ექსპერტი აღარ წინასწარმეტყველებს ამერიკაში სოკერის ლიგის დასუსტებას. ზოგიერთი კლუბი დღემდე წაგებაზე მუშაობს, მაგრამ ფეხბურთის მიმართ ინვესტორების ინტერესი იზრდება.

და არის კიდევ ერთი ბონუსი: დევიდ ბექჰემი ტრავმას მოიშუშებს და მომავალ სეზონს სრულ მზადყოფნაში შეხვდება. MLS-ის კომისარი ღიმილით შენიშნავს, შეიძლება, კარგიც კი იყოს, რომ ბექზმა წელს მთელი დატვირთვით ვერ ითამაშა, გაისად მისი ხელახალი დებიუტი გვექნება და ამით კიდევ უფრო მეტ ყურადღებას მივიქცევთო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დორტმუნდის „ბორუსიის“ მეკარე რომან ვაიდენფელერს დიდი ხანია აქვს იმის პრეტენზია, რომ გერმანიის ნაკრების კარის დარაჯიც იყოს. გერმანელი მიმომხილველები მას მანუელ ნოიერთან, რენე ადლერთან, რობერტ ენკესთან და ტიმო ჰილდებრანდთან ერთად იენს ლემანის პოტენციურ შემცვლელად მოიაზრებენ, მაგრამ იოახიმ ლიოვი ვაიდენფელერს ბუნდესგუნდში არ იძახებს. ვერ ვიტყვით, რომ ლიოვი რომანს უსამართლოდ ექცევა, რადგან ეს უკანასკნელი ნამდვილად არაა საუკეთესო ფორმაში. გთავაზობთ ინტერვიუს BVB-ს მეკარესთან, რომელიც „ბილდ ამ ზონთაგში“ გამოქვეყნდა.

ინტერვიუ რომან ვაიდენფელერთან

# ჩემი ადგილი გერმანიის ნაკრებშია

## რომანს ასამოას სახელის გაგონებაც აღარ უნდა...



რომან ვაიდენფელერი გერმანიის ნაკრებში თამაშზე აცხადებს პრეტენზიას

**- ჰერ ვაიდენფელერ, სეზონის დორტმუნდის „ბორუსიას“ კიდევ ერთხელ უწინასწარმეტყველებდნენ მკვდრეთით აღდგომას, მაგრამ თქვენ და თქვენმა თანაგუნდელებმა გულშემატკივრებს იმედები კიდევ ერთხელ გაუცრუეთ – BVB მე-13 ადგილზეა და გასავარდნ ზონას მხოლოდ 6 ქულა აშორებს. რატომ?**

- ვერ გეტყვით, ჩვენი ასეთი წარუმატებლობა ვერაფრით ამიხსნია. ფაქტია, რომ პირველმა თამაშმა უდიდესი ფსიქოლოგიური ზიანი მოგვაყენა და მას მერე სულ შიშში ვართ. პირველ ტურში, „დუისბურგთან“ საკუთარ მოედანზე განცდილი კრახი დღემდე ვერ დავივიწყეთ.

**- სეზონის წინ გუნდმა მიზნად უეფას თასის საგზურის მოპოვება დაისახა და ექსპერტები არც იმას გამორიცხავდნენ, რომ „დორტმუნდს“ ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვისაც გამოეკრა ხელი...**

- დიახ და ეს ძალიან რეალურიც იყო. თავად განსაჯეთ, მოსამზადებელ შეკრება შესანიშნავად გავატარეთ, მერე „რომას“ 4:0 მოვუგეთ და ამ გამარჯვებით უფრო თავდაჯერებულები გავხდით. „დუისბურგთან“ წაგება ყოველმა ჩვენგანმა შემთხვევითობას დააბრალა, რაც დიდი შეცდომა იყო, რადგან იმ წაგებას „შალკესთან“ განადგურება მოჰყვა, რამაც საბოლოოდ დაგვცა და ცხადი გახდა, რომ „ბორუსიამ“ კატასტროფული სტარტი აიღო.

**- და თქვენ ყველაფერს ფორტუნას აბრალებთ?**

- ცხადია არა – ბრმა არა ვარ და მეც ვხედავ, რომ არ შეიძლება, უიღბლობამ თვეების მანძილზე გასტანოს. მიზეზი სხვა რამაა, მაგრამ არ ვიცი, რა. ყველაფრის პასუხი სატურნირო ცხრილია, სადაც მე-13 ადგილზე ვართ. მაგრამ მე ჯერ კიდევ 100 პროცენტით დარწმუნებული ვარ იმაში, რომ „ბორუსიას“ უდიდესი პოტენციალი აქვს და შედეგებს აუცილებლად გამოასწორებს. ნელ-ნელა უნდა გამოვსწორდეთ და ცხრილში რამდენიმე საფეხურით მაღლა უნდა ავინაცვლოთ, მერე კი უეფას თასის საგზურზეც ვიფიქროთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმე ძალიან სერიოზულად იქნება.

**- „შალკესთან“ თქვენთვის იმ ავადსახსენებელ მატჩში, ჯერალდ ასამოასთან კონფლიქტი მოგივიდათ, რაც თქვენი დისკვალიფიკაციით დასრულდა...**

- თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს ჩემს კარიერაში ყველაზე მძიმე შემთხვევა იყო. უცებ ძალიან გავბრაზდი, ასე ძალიან არასდროს გავბრაზებულვარ. ყველაფერი ერთმანეთს დაემთხვა, ჯერალდი დამცინავად გვიყურებდა და მეც წონასწორობა დავკარგე. ასეთი რამის გამოცდას არავის ვუსურვებ.

**- რას გულისხმობთ?**

- ამ შემთხვევის შემდეგ მედიამ იმ უჯრაში ჩამაგდო, სადაც ჩემი ადგილი ნამდვილად არ არის. არაერთხელ ნათქვამს დღესაც დიდი სიამოვნებით გავიმეორებ: ასამოასთვის რასისტული შეურაცხყოფა არ მიმიყენებია და არც არასდროს მივაყენებდი, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ რასისტი არ ვარ. შესაბამისად, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ გერმანიის საფეხბურთო კავშირის სადისციპლინო კომისიამაც, საქმის განხილვის შემდეგ, ასეთივე ვერდიქტი გამოიტანა და ჩემი იმიჯი არ შელახა.

**- მიუხედავად ამისა, სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოგისაჯეს. თუ ასამოასთვის რასისტული შეურაცხყოფა არ მიგიყენებიათ, არ ფიქრობთ, რომ ეს მეტისმეტად მძიმე სასჯელი იყო?**

- სიმართლე გითხრათ, დისკვალიფიკაციაზე უკვე აღარ ვფიქრობდი. ჩემთვის მთავარი ის იყო, რომ დამტკიცდა: ასამოასთვის შავი ღორი არ მიწოდებია.

**- რამდენად მძიმე იყო წნეხი მოედანზე დაბრუნების შემდეგ?**

- ვიცოდი, რომ ყურადღების ცენტრში ვიქნებოდი და ცხადია, ვფიქრობდი, კიდევ რამე ცუდი არ დამემართოსმეთქი.

**- ამ ფაქტის შემდეგ სხვანაირი გახდით?**

- პირველსავე მატჩში, რომელიც „ჰამბურგთან“ გვქონდა, რაფაელ ვან დერ ვაარტთან თითქმის ანალოგიური რამ შემემთხვა, მაგრამ დროზე გამოვფხიზლდი და თავი მოვთოკე.

**- სანამ ვერდიქტი იქნებოდა, თითქმის მთელი გერმანიის მასშტაბით რასისტად გამოცხადდით და საინტერესოა, გრძნობდით თუ არა მხარდაჭერას გუნდში?**

- დიახ, რა თქმა უნდა! თანაც, ძალიან დიდი დოზით. თანაგუნდელები, გუნდის ხელმძღვანელები, მწვრთნელი და გულშემატკივრები მხარში ამომიდგნენ და მამხნევებდნენ. ისინი ძალიან კარგად მიცნობენ და შესაბამისად, ისიც იციან, რომ რომან ვაიდენფელერი რასისტი არ არის.

**- მას მერე სხვა სტადიონებზე ხომ არ გხვდებიან ცუდად?**

- არა. წარმოდგენა არა მაქვს, რატომ უნდა შემხვდნენ ცუდად.

**- მას მერე ასამოასთან არ გისაუბრიათ?**

- არა და მაქსიმალურად ვეცდები, რომ ამიერიდან მას ყოველთვის მოვერიდო.

**- კი მაგრამ, ასე ხომ ვერასდროს დაივიწყებთ რაც მოხდა...**

- საერთოდ, ის, რაც მოედანზე ხდება, გარე სამყაროსთვის ტაბუდადებული თემაა და ეს დაუწერელი საფეხბურთო კანონია. რა უთხრა ერთმა ფეხბურთელმა მეორეს? მაყურებელმა ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გაიგოს, თუ ამა თუ იმ მოთამაშის სიტყვებს მსაჯი გაიგონებს. თუ არ ჩავთვლით მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში, ზიდანსა და მატერაცის შორის მომხდარ ამბავს, არსად მსმენია, რომ ორ ფეხბურთელს მომხდარი შელაპარაკება საყოველთაო განსჯის საგანი ყოფილიყოს. ერთი სიტყვით, ამ ფაქტმა უდიდესი ტკივილი მომაყენა. თავად განსაჯეთ, მე უამრავი უცხოელი მეგობარი მყავს, რომელთა შორისაც, დიდი ნაწილი შავკანიანია.

**- თემა შევცვალოთ. ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის იმედი ჯერ კიდევ გაქვთ?**

- ასამოასთან მომხდარმა ფაქტმა ძალიან უკან გადამისროლა, მაგრამ ნელ-ნელა ფორმა დავიბრუნე და ძველებურად ავთამაშდი. ახლა ისევ სტაბილური ვარ და შემიძლია, ჩემი თამაშით იოხიმ ლიოვიც მოვხიბლო.

**- ე.ი. ბუნდესგუნდზე ჯერ კიდევ ფიქრობთ?**

- რა თქმა უნდა! ეს ხომ ნებისმიერი გერმანელი ფეხბურთელის ოცნებაა და შესაბამისად, ჩემიც. გერმანიას დღესაც არაერთი შესანიშნავი მეკარე ჰყავს, მაგრამ მე მინდა ლიოვს დავუმტკიცო, რომ ჩემი ადგილი გერმანიის ნაკრებშია. თვითონ კი დარწმუნებული ვარ, რომ ბუნდესგუნდში უნდა ვთამაშობდე.

**- „დორტმუნდი“ ევროტურნირებზე არ გამოდის. ლოთარ მათეუსმა თქვა, ვაიდენფელერი არ თამაშობს იმ კლუბში, საიდანაც გერმანიის ნაკრებში მოხვდებაო...**

- ლოთარი გენიალური პიროვნებაა, მაგრამ ამ საკითხში არ ვეთანხმები. მე ვფიქრობ, რომ საუკეთესო გუნდში ვთამაშობ და რომ ამ გუნდს უდიდესი პოტენციალი აქვს. ცხადია, „დორტმუნდის“ მიზანი საშუალო დონეზე ყოფნა არ უნდა იყოს. ჩვენი მიზანი ევროტურნირებზე თამაშია. ისე კი, სხვათა შორის, რობერტ ენკეს დიდი ხანია, უეფას თასზეც კი აღარ უთამაშია, რადგან მისი „ჰანოვერი“ ევროტურნირებზე გასვლას ვერ ახერხებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ენკეს ბუნდესგუნდში იძახებენ.

**- ბერტ ვან მარვიიკი, მერე იურგენ რიობერი, ახლა კი თომას დოლი – BVB-მ წინა სეზონში, 4 თვეში სამი მწვრთნელი გამოიცვალა. „ბორუსიის“ გაწვრთნა ასეთი რთულია?**

- საერთოდ, ყველაფერი მწვრთნელს ბრალდება ხოლმე, მაგრამ ფაქტია, რომ ყოველთვის ყველაფერი დამრიგებლის ბრალი არ არის. ჩემს თანაგუნდელებს მოვუწოდებ, რომ გონს მოეგონ – „დორტმუნდი“ არ არის ის გუნდი, რომელიც ელიტაში დასარჩენად უნდა იბრძოდეს. წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა ფინანსური კრიზისის გამო ყველაფერი გვეპატიებოდა. დღეს „ბორუსიას“ მყარი ბიუჯეტი და გამართული ფინანსური სისტემა აქვს, ზაფხულში ძალიან კარგი ფეხბურთელებიც შევიძინეთ და ასე რომ, დროა, საქმეს მივხედოთ!

**- თუკი „დორტმუნდი“ უეფას თასის საგზურს ვერც წელს მოიპოვებს, ზაფხულში ვესტფალიიდან ხომ არ აიბარგებით?**

- ამასთან დაკავშირებით არაფერს ვიტყვი. გეტყვით მხოლოდ იმას, რომ ჩემი მიზანი ევროტურნირებზე ასპარეზობაა, მაგრამ სწორედ ეს არის BVB-ს მიზანიც. „დორტმუნდი“ იყო, არის და იქნება ის გუნდი, სადაც ძალიან მსიამოვნებს თამაში.

გოტფრიდ ლენცი

## ინგლისი

### I ლიგა

XVI ტური

| | |
|---|---|
| სუონსი-ჰადერსფილდი | 0:1 |
| როვერსი-მილუოლი | 2:1 |
| ქრიუ-ნორთჰემპტონი | 1:0 |
| დონკასტერი-ტრანმერი | 0:0 |
| ლიდსი-სუინდონი | 2:1 |
| ლეიტონი-ბრაიტონი | 2:2 |
| ოლდჰემი-პორტ ვეილი | 1:1 |
| საუთენდი-ჩელტენჰემი | 2:2 |
| უოლსოლი-ლუტონი | 0:0 |
| იეოვილი-ჯილინგემი | 2:1 |
| ჰარტლპული-ბორნმუთი | 1:1 |
| კარლაილი-ნოტინგემი | გადაიდო |

### II ლიგა

XVI ტური

| | |
|---|---|
| აკრინგტონი-როტერჰემი | 0:1 |
| ბრენტფორდი-დარლინგტონი | 0:2 |
| ბერი-პიტერბრო | 2:0 |
| ჩესტერი-მილტონი | 0:2 |
| დაგენჰემი-ბრედფორდი | 1:4 |
| გრიმსბი-მორეკამბი | 1:2 |
| ნოტსი-მაკლსფილდი | 0:1 |
| შრუსბერი-ბარნეტი | 1:0 |
| სტოკპორტი-ჰერეფორდი | 2:3 |
| უიკომბი-ლინკოლნი | 1:0 |
| ჩესტერფილდი-როჩდეილი | გადაიდო |
| მენსფილდი-რექსჰემი | გადაიდო |

### კონფერენსი

XIX ტური

| | |
|---|---|
| ალდერშოტი-რაშდენი | 2:1 |
| ალტრინჩემი-უეიმაუთი | 3:2 |
| კემბრიჯი-ნორთვიჩი | 2:1 |
| ქროული-ტორკი | 2:3 |
| დროილსდენი-სტეფორდი | 1:1 |
| ექსეტერი-ბარტონი | 1:4 |
| ფორესტ გრინი-ჰისტონი | 3:1 |
| გრეისი-ფარსლი | 1:0 |
| კიდერმინსტერი-უოკინგი | 1:1 |
| ოქსფორდი-გრავესენდი | 0:0 |
| სტივენეიჯი-ჰალიფაქსი | 2:3 |
| იორკი-სალისბერი | 1:3 |

## ესპანეთი

### II დივიზიონი

XIII ტური

| | |
|---|---|
| გრანადა-ალბასეტე | 1:0 |
| სევილია A-სპორტინგი | 1:3 |
| მალაგა-ფეროლი | 4:2 |
| ხიმნასტიკი-სოსიედადი | 1:1 |
| კასტელონი-ებარი | 0:0 |
| კორდობა-ეხიდო | 1:1 |
| ალავესი-ლას პალმასი | 3:1 |
| სალამანკა-ელჩე | 3:1 |
| ტენერიფე-ხერესი | 3:1 |
| კადისი-ნუმანსია | 0:0 |
| ერკულესი-სელტა | 0:1 |

## გერმანია

### რეგიონალლიგა (ჩრ)

XVIII ტური

| | |
|---|---|
| ვერდერი II-დინამო (დრ) | 1:2 |
| ვუპერტალი-ფერლი | 1:0 |
| ესენი-მაგდებურგი | 2:0 |
| უნიონი-ლიუბეკი | 4:3 |
| ერფურტი-ობერჰაუზენი | 1:2 |
| ბრაუნშვაიგი-ალენი | 0:2 |
| ვოლფსბურგი II-დორტმუნდი II | 0:1 |
| კოტბუსი II-ჰამბურგი II | 2:0 |
| ბაბელსბერგი-ფორტუნა | 3:0 |

### რეგიონალლიგა (სამ)

XVI ტური

| | |
|---|---|
| შტუტგარტი II-შტ. კიკერსი | 1:0 |
| კარლსრუე II-ზანდჰაუზენი | 1:1 |
| კასელი-ოგერშაიმი | 1:1 |
| ბაიერნი II-ბურგჰაუზენი | 1:1 |
| ზიგენი-აალენი | 1:1 |
| რეგენსბურგი-მიუნხენი | 2:1 |
| ინგოლშტადტი-ფრანკფურტი | 0:5 |
| ელვერსბერგი-უნტერჰახინგი | 2:0 |

## საფრანგეთი

### II დივიზიონი

გადადებული მატჩი

| | |
|---|---|
| მონპელიე-სედანი | 0:0 |

## ჰოლანდია

### II დივიზიონი

XVII ტური

| | |
|---|---|
| მაასტრიხტი-დენ ბოში | 2:1 |
| ცვოლე-დორდრეხტი | 1:1 |
| ეინდჰოვენი II-იგლ[illegible] | 2:0 |
| როსენდალი-ემენი | 4:0 |
| ტოპ ოსი-ვაალვეიკი | 2:2 |
| ვეენდამი-ჰელმონდი | 0:1 |
| ომნივორლდი-ვოლენდამი | 1:1 |
| კამბური-ჰაარლემი | 1:3 |
| ტელსტარი-ფორტუნა | 4:1 |
| აპელდოორნი-დენ ჰააგი | 1:1 |

## ბელგია

### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ტურნე-ტიენენი | 0:1 |
| ვაასლანდი-ტუბეკე | 0:0 |
| ვირტონი-ბევერენი | 1:2 |
| გეელი-დაინცე | 2:4 |
| ჰამე-სტ. ჟილი | 0:1 |
| ნამენი-ანტვერპენი | 2:1 |
| ოლიმპიკ შარლერუა-კორტრიიკი | 0:1 |
| ოსტენდე-ლომელი | 1:1 |
| ჰევერლე-ეუპენი | 2:0 |

## შვეიცარია

### ჩელენჯლიგა

XVI ტური

| | |
|---|---|
| ლუგანო-ლოკარნო | 0:1 |
| ვოლენი-ივერდონი | 2:0 |
| ჩამი-გოსაუ | 3:2 |
| კონკორდია-სერვეტი | 2:1 |
| ვინტერტური-შაფჰაუზენი | 2:1 |
| ბელინცონა-კიასო | 2:1 |
| კრიენსი-ვილი | გადაიდო |
| ფონდსი-დელემონი | გადაიდო |
| ლოზანა-ვადუცი | გადაიდო |

## ჩილე

გადადებული მატჩი

| | |
|---|---|
| ანტოფაგასტა-უაჩიპატო | 3:1 |

## მექსიკა

პლეიოფი

| | |
|---|---|
| კრუს ასული-პაჩუკა | 4:0 |

## იაპონია

XXXII ტური

| | |
|---|---|
| პიროშიმა-კობე | 1:1 |
| ივატა-კავასაკი | 1:3 |
| კოფუ-ომიია | 0:0 |
| ტოკიო-გამბა | 1:1 |
| ურავა-შიმიცუ | 0:0 |
| კაშიმა-კაშივა | 1:0 |
| იჩიჰარა-იოკოჰამა მარინოსი | 2:3 |
| ოიტა-ნაგოია | 1:3 |
| იოკოჰამა-ნიიგატა | 0:2 |

## მუნდიალი 2010

შესარჩევი. აზია

| | |
|---|---|
| უზბეკეთი-ს. კორეა | 0:0 |
| ვიეტნამი-იაპონია | 0:4 |
| ბაჰრეინი-სირია | 1:1 |
| ტაჯიკეთი-სინგაპური | 1:1 |
| ტაილანდი-იემენი | 1:0 |
| სირია-ინდონეზია | 7:0 |
| თურქმენეთი-ჰონგ კონგი | 3:0 |

## ევრო 2009

UNDER 21

| | |
|---|---|
| იტალია-აზერბაიჯანი | 5:0 |
| ფარერები-ალბანეთი | 0:5 |
| საბერძნეთი-ხორვატია | 3:4 |
| ჩეხეთი-თურქეთი | 1:1 |
| უკრაინა-ლიხტენშტაინი | 5:0 |
| ჩერნოგორია-ირლანდია | 1:0 |
| ინგლისი-ბულგარეთი | 2:0 |
| ესპანეთი-პოლონეთი | 3:0 |
| ჰოლანდია-მაკედონია | 1:0 |
| შვეიცარია-ესტონეთი | 5:0 |
| ლიტვა-დანია | 0:3 |
| სლოვენია-შოტლანდია | 0:4 |
| კვიპროსი-სლოვაკეთი | 1:2 |
| ავსტრია-ბელგია | 3:2 |
| ჩრ.ირლანდია-ლუქსემბურგი | 5:0 |
| ბელარუსი-სან მარინო | 6:0 |
| რუმინეთი-მალტა | 4:0 |
| უელსი-ბოსნია | 4:0 |
| ლატვია-უნგრეთი | 1:0 |

## ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| ს. აფრიკა-აშშ | 0:1 |
| ავსტრალია-ნიგერია | 1:0 |
| ანგოლა-კოტ დ'ივუარი | 2:1 |
| სენეგალი-მალი | 3:2 |
| ტუნისი-ნამიბია | 2:0 |
| ჰონდურასი-გვატემალა | 1:0 |
| განა-ტოგო | 2:0 |

## იაპონელთა მწვრთნელი რეანიმაციაში

იაპონიის ნაკრების თავკაც ივიცა ოსიმს წნევამ დაარტყა და უგონო მდგომარეობაში საავადმყოფოში მოათავსეს. 66 წლის ბოსნიელი სპეციალისტი პარასკევს საკუთარ სახლში შეუძლოდ გახდა. იაპონიის ფეხბურთის ფედერაციის ცნობით, ის რეანიმაციულ განყოფილებაშია. ექიმები მის მდგომარეობას მძიმედ აფასებენ. ოსიმმა ნაკრები შარშანდელი მუნდიალის შემდეგ ჩაიბარა. იელისში გამართულ აზიის თასზე იაპონიამ ნახევარფინალში გააღწია, სადაც საუდის არაბეთთან 2:3 წააგო. ოსიმმა შეგირდები მკაცრად გააკრიტიკა. ის ისეთი იმედგაცრუებული იყო, რომ პრესკონფერენციაზე ცრემლებიც კი ვერ დამალა. იაპონელები მომდევნო მატჩს იანვრის მიწურულს გამართავენ.

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

საქართველოს ჩემპიონატი. V ტური.

# დინამომ თავი შეგვახსენა

18 ნოემბერი. ვერის პარკი

**დინამო-მაკაბი 87:85**

32:25, 16:18, 27:19, 12:23

დინამო: გულისაბედაშვილი (14ქ), ჯლენტი (24ქ, 6პ), ლაფანაშვილი (23ქ, 5პ, 3ჩ, 8მ), სიგუა (3ქ), მაისურძე, ათანელიშვილი (11ქ, 8მ), ახალკაცი (14ქ, 12მ, 4პ)

მაკაბი: დ. ბერიშვილი, ი. ბერიშვილი (11ქ, 5პ, 3ჩ), სორდია (19ქ), გ. შერმადინი (30ქ, 16მ, 5პ, 3დ), პირველაშვილი (5ქ), ვაშაკიძე (3ქ), კორკოტაძე (2ქ), ს. შერმადინი (15ქ, 10მ)

მსაჯები: ხ. გაბედავა, დ. ბერეკაშვილი

**ავიამშენი-აზოტი 85:97**

19:26, 27:26, 23:17, 17:28

ავიამშენი: მინაშვილი (10ქ), ხოშტარია (8ქ), ნიკოლაძე (29ქ, 3პ), კვიმსაძე (11ქ), ტულუში (14ქ, 9მ), ნინიაშვილი (5ქ, 4პ, 9მ), ბარბაქაძე (4ქ), სუხიშვილი (1ქ)

აზოტი: გამყრელიძე (14ქ, 6პ, 9ჩ, 4მ), ბაბიაშვილი (10ქ, 10მ), სტეფანოვი (20ქ, 3პ, 3ჩ, 9მ), ბოისა (8ქ), დიდია (8ქ), ლეჟავა (23ქ), გოგობერიშვილი (2ქ), ჭოჭუა (14ქ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი

**ვითა-თსუ 86:81**

26:23, 29:13, 18:21, 13:24

ვითა: ნ. ნოზაძე (5ქ, 3პ), ბეჟანიშვილი (16ქ, 3პ, 9მ), მ. ბერიშვილი (5ქ), მარხვაშვილი (16ქ, 6პ), ბ. ბერიშვილი, მარკოიშვილი (12ქ, 3პ), ბერძენიშვილი (13ქ, 5მ), წივწივაძე (5ქ), გვიმრაძე (7ქ), ლ. ნოზაძე (10ქ)

თსუ: ფანჩულიძე (12ქ), ჩიტაშვილი (14ქ, 5პ, 5ჩ), მათიაშვილი (18ქ, 11მ, 3პ), ჯახრეიძე (2ქ), ყველაშვილი (2ქ), ჯგერენაია (8ქ, 6მ), ლისაბერიძე (3ქ), ხეცურიანი (13ქ, 3პ), ტყეშელაშვილი (9ქ, 8მ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, მ. ანდღულაძე

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. აზოტი | 4 | 4 | 0 | 8 |
| 2. ვითა | 4 | 3 | 1 | 7 |
| 3. თსუ | 4 | 2 | 2 | 6 |
| 4. მაკაბი | 4 | 1 | 3 | 5 |
| 5. ავიამშენი | 4 | 1 | 3 | 5 |
| 6. დინამო | 4 | 1 | 3 | 5 |

**მომდევნო ტური:** 23 ნოემბერი, აზოტი-ვითა. 25 ნოემბერი, ავიამშენი-მაკაბი, დინამო-თსუ

„ავიამშენი"-"აზოტის" მატჩისწინა პრესკონფერენციაზე გამოცდილმა ჟურნალისტმა **დავით ჭელიძემ** რომ შეიტყო, მე-5 ტურის მატჩები ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზში იმართებოდა, მწვრთნელებს ჰკითხა: უტაბლოოდ თამაშისა და შუქის ჩაქრობისთვის თუ ხართ მზადო?

სწორედ ეს კითხვა უნდა გამოვყოთ ტურის ფრაზად, რადგან შუა თამაშისას დარბაზში სინათლე გამოირთო და ბედად მალე აღდგა, თორემ ან ჩვენ მოგვიწევდა მატჩის ჩაშლაზე წერა, ან კალათბურთელებს მოუხდებოდათ უტაბლოოდ, სანთლის შუქზე მატჩის დასრულება. სანთელზე, რა მოგახსენოთ, მაგრამ ტაბლოს გარეშე თამაშის გამოცდილება კი გვაქვს.

ვერის ბაღში არც კომპიუტერი იყო. მოკლედ, ვალი მოვიხადეთ და მეხუთე ტური გადავაგორეთ. იმედი დავიტოვოთ, რომ მსგავს პირველყოფილ პირობებში წელს აღარ დავბრუნდებით. დაგვამშვიდეს, რომ მომავალი ტურიდან საქართველოს ჩემპიონატი რეკონსტრუირებულ სპორტის სასახლეში გაგრძელდება. ერთიცაა - ასეთი დიდი დარბაზის გასავსებად გაცილებით მეტი რეკლამაა საჭირო. კარგად გვახსოვს, შარშან „ავია"-"აზოტის" თბილისურ მატჩზე სპორტის სასახლეში 4 ათასამდე ქომაგი რომ მივიდა.

ამ გუნდების გუშინდელ მატჩს კი 400-ზე მეტი კაცი არ დასწრებია. შარშანდელი ფინალისტების დაპირისპირებამ ვერის ბაღში მისულთა იმედები სრულად გაამართლა. ვიხილეთ დაძაბული ორთაბრძოლა, სწრაფი, სანახაობრივი მატჩი და სამქულიანების წვიმა, რომელმაც მასპინძლები დაასველა - რუსთაველებმა 33-დან 19 სამიანი ჩააგდეს და დამსახურებულად გაიმარჯვეს. თუმცა, მესამე პერიოდში ნაჩვენები დამაჯერებელი თამაშის წყალობით, მოგების შანსი „ავიატორებსაც" ჰქონდათ. ამ შეხვედრამ ნათლად გვიჩვენა გუნდების მომზადების დონე: „აზოტი" ევროთასზე ასპარეზობდა და საზონის სტარტს მაქსიმალურად მომზადებული შეხვდა, „ავიამშენში" კი შემადგენლობამ სერიოზული რეფორმა განიცადა და აშკარად აკლია შეთამაშება. მერწმუნეთ, ამ გუნდების მომდევნო დაპირისპირება კიდევ უფრო საინტერესო სანახავი უნდა იყოს.

შარშან „დინამოს" მიერ „მაკაბის" ძლევა ჩვეულებრივი ამბავი იყო, მაგრამ წელს ასეთი ფაქტი სენსაციად უნდა მოინათლოს, რადგან ჯამლეტ ხუხაშვილს ერთ-ერთი ყველაზე თანაბრად დაბალანსებული კლუბი ჰყავს. გუშინ დინამოელებმა მეტოქეზე უფრო დალაგებული თამაში უჩვენეს და საწყისი სამი პერიოდის განმავლობაში „მაკაბის" 10 ქულაზე მეტით ახლოს არ უშვებდნენ. ბოლო რაუნდში კი მაკაბელთა გამთამაშებელმა **ირაკლი სორდიამ** ერთმანეთს სამქულიანები მიაყოლა და საფინალო სირენამდე წუთით ადრე „მაკაბიმ" „დინამოს" 3-ქულით გადაასწრო(85:82). დარჩენილ დროში მანამდე კარგად მოთამაშე დინამოელმა **ლექსო ლაფანაშვილმა** შორეული ტყორცნა 3 ქულად გარდასახა და ანგარიში გაათანაბრა, ხოლო მატჩის დასრულების მაუწყებელ სირენასთან ერთად **ირაკლი გულისაბედაშვილმა** საშუალო დისტანციიდან ზუსტად ისროლა და თანაგუნდელებს სეზონში პირველი გამარჯვება მოუტანა - 87:85.

ტურის საუკეთესოდ დასახელებამდე ლაფანაშვილს ერთი ხმა დააკლდა. იგი შედეგით კმაყოფილი ჩანდა:

*„მეტოქე ფიზიკური მომზადების ხარჯზე დავამარცხეთ. თავიდან თამაში კარგად აგვეწყო და სოლიდური სხვაობითაც დავწინაურდით, თუმც ეს უპირატესობა ვერ შევინარჩუნეთ და მაკაბელებს დაწევის უფლება მივეცით. საბოლოოდ გამძლეობის ხარჯზე ვიმარჯვეთ. ...იღბალიც ჩვენკენ იყო."*

ტურის საუკეთესო კალათბურთელად დასახელდა **მიხეილ ჩიტაშვილი**, რომელიც თსუ-"ვითას" დაპირისპირებაზე სრულ წარმოდგენას შეგვიქმნის:

*„პირველ ტაიმში ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ ყველას გვეძინა, რის წყალობითაც გამოცდილი კალათბურთელებით დაკომპლექტებულმა „ვითამ" დიდი შესვენების წინ 14-ქულიანი ფორა მოიპოვა (55:36). შესვენებისას მწვრთნელთან ერთად კაპიტანმა შიო ხეცურიანმა ყველა გამოგვაფხიზლა და სხვაგვარად ავთამაშდით. სამწუხაროდ მეტოქის დამარცხებამდე ცოტა დაგვაკლდა..."*

ბოლო მეოთხედში ჩიტაშვილმა 11 ქულა, 3-3 ჩაჭრა-პასი, 4 მოხსნა ჩაიწერა და საფინალო სირენამდე წუთით ადრე სხვაობა 3 ქულამდე დაიყვანა. ანგარიშზე 78:81 „ვითას" საჯარიმოს ხაზთან სტუდენტი რიჩარდ მათიაშვილი დადგა, მაგრამ ორივე ტყორცნა გააცუდა და გამარჯვება „ვითას" დაუთმო - 81:86.

ვაჟა სიმონიშვილი





ავიამშენი-აზოტი

ნუგზარ სუარიძის ფოტო



ქართველები NBA-ში

# 2 ნაგება, 10 ქულა და 3 ოვერტაიმი

ზაზა ფაჩულიას „ატლანტა ჰოქსმა" ერთმანეთის მიყოლებით ორი მატჩი ჩაატარა. ჯერ „სიეტლ სუპერსონიქსს" უმასპინძლა, შემდეგ „მილუოკი ბაქსს" ესტუმრა. ამერიკული სპორტული პრესის პირველი გვერდები სწორედ „ატლანტა"-"სიეტლის" მატჩის ფოტოებით იყო აჭრელებული. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან შეხვედრა მეტისმეტად საინტერესოდ წარიმართა და გამარჯვებულის გამოვლენას კინალამ სამი ოვერტაიმი დასჭირდა. მეორე დამატებითი ხუთწუთეულის დასრულებამდე წამი რჩებოდა და ტაბლოზე 123:123 ეწერა, როცა ყველასათვის მოულოდნელად უხერხული პოზიციიდან „სიეტლის" ახალწვეულმა **კევინ დურანმა** სამქულიანი ისროლა და მიზანში მოარტყა.126:123 - „სონიქსის" სასარგებლოდ.

ეს გახლდათ **ზაზა ფაჩულიას** საუკეთესო შეხვედრა მიმდინარე ჩემპიონატში. ქართველმა ცენტრმა განსაკუთრებით ეფექტურად პირველი მეოთხედის 6-წუთიანი მონაკვეთი ჩაატარა - 5 ორქულიანი ტყორცნიდან ყველა კალათში მოათავსა. სამწუხაროდ ბოლო წუთებზე ზაზას მოედანზე გამოყვანისგან მწვრთნელმა **მაიკ ვუდსონმა** თავი შეიკავა.

„სიეტლთან" რთული მატჩითა და მგზავრობით გადაღლილმა ატლანტელებმა მეორე დღეს ვერაფერი დაუპირისპირეს ფაჩულიას ყოფილ კლუბ „მილუოკის" - 96:105 წააგეს. ჰოქსელთა შორის საუკეთესო დასვენებული **ჯოშ სმიტი** იყო, რომელსაც „სონიქსთან" არ უთამაშია. ჯოშმა მილუოკიში 38 ქულა ჩააგდო. ზაზას ცუდი სტატისტიკის მიზეზი ისევ მწვრთნელი იყო, რომელმაც მას სათამაშოდ მხოლოდ 15 წუთი მისცა.

ვახტანგ ტყეშელაშვილი

**ატლანტა-სიეტლი 123:126**

23:26, 22:32, 37:26, 25:23, 7:7, 9:12

ატლანტა: ჯ. ჯონსონი (39ქ, 5მ, 6პ), მ. უილიამსი (18ქ, 7მ), ზაზა ფაჩულია (22 წუთი, 14 ქულა, 6 მოხსნა, 2 ფოლი), ჰარფორდი (7ქ, 14მ. 5დ.), ჩილდრესი (22ქ, 10მ,), ლიუ (8ქ, 4პ), სტაუდმაიერი (11ქ), უესტი, ჯონსი

სიეტლი: ფელტონი (15ქ, 9პ), დიურანი (21ქ), ულკოქსი (16ქ), უილკინსი (41ქ, 9მ), კოლისონი (10ქ, 14მ), შჩერბიაკი (15ქ), გრინი (4ქ), პეტრო (2ქ), გელაბლი (2ქ), ვესტი

**ფაჩულიას მონაცემი**

**I პერიოდი**

| | |
|---|---|
| 10:50 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 10:30 | მოხსნა:1 (შეტ:1, დაც:0) |
| 10:28 | ორქულიანი ტყორცნა: 2ქ (4:4) |
| 10:11 | ფოლი: 1 |
| 9:51 | ორქულიანი ტყორცნა: 4ქ (6:4) |
| 8:06 | მოხსნა:2 (შეტ:1, დაც:1) |
| 5:56 | ორქულიანი ტყორცნა: 6ქ (11:12) |
| 5:37 | ორქულიანი ტყორცნა: 8ქ (13:12) |
| 4:27 | ორქულიანი ტყორცნა: 10ქ (15:16) |
| 2:19 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 2:03 | მოხსნა:3 (შეტ:2, დაც:1) |
| 1:01 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 1:11 | ფაჩულია ჰარფორდმა შეცვალა |

**II პერიოდი**

| | |
|---|---|
| 8:48 | ფაჩულიამ ჰარფორდი შეცვალა |
| 6:53 | მოხსნა:4 (შეტ:2, დაც:2) |
| 6:37 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 6:35 | მოხსნა:5 (შეტ:3, დაც:2) |
| 6:33 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 6:03 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 5:51 | ფაჩულია ჰარფორდმა შეცვალა |

**III პერიოდი**

| | |
|---|---|
| 9:02 | ფოლი:2 |
| 8:39 | ორქულიანი ტყორცნა: 12ქ (54:64) |
| 6:50 | მოხსნა:6 (შეტ:4, დაც:2) |
| 6:17 | ორქულიანი ტყორცნა: 14ქ (66:70) |
| 5:16 | ფაჩულია ჰსტაუდმაიერმა შეცვალა |
| 0:42 | ფაჩულიამ ჰარფორდი შეცვალა |

**IV პერიოდი**

| | |
|---|---|
| 11:14 | ფაჩულია უილიამსმა შეცვალა |

**მილუოკი-ატლანტა 105:96**

23:24, 34:22, 19:24, 29:26

მილუოკი: მ.უილიამსი (11ქ, 10პ, 8მ),რედი (21ქ), უიი (5ქ), მეისონი (10ქ), ბოგუტი (21ქ, 10მ, 4დ), უილიანოვა (17ქ), საიმონსი (10ქ), ბელი (3ქ), აივი (2ქ), გაძურიჩი (5ქ)

ატლანტა: ჯ. ჯონსონი (14ქ, 9პ), ჯ. სმიტი (38ქ, 7მ), მ. უილიამსი (10ქ, 8მ), ზაზა ფაჩულია (15 წუთი, 4 ქულა, 6 მოხსნა, 2 ფოლი, 3 შეცდომა), ჰარფორდი (8ქ, 8მ), ჩილდრესი (9ქ), ლიუ (10ქ), სტაუდმაიერი, შ. უილიამსი (1ქ), ე. ჯონსონი (2ქ)

**ფაჩულიას მონაცემი**

**I პერიოდი**

| | |
|---|---|
| 11:44 | შეცდომა: 1 |
| 8:56 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 8:24 | მოხსნა:1 (შეტ:1, დაც:0) |
| 8:23 | ორქულიანი ტყორცნა: 2ქ, (8:5) |
| 5:16 | მოხსნა:2 (შეტ:1, დაც:1) |
| 4:14 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 4:13 | მოხსნა: 3 (შეტ:2, დაც:1) |
| 4:11 | ორქულიანი ტყორცნა: 4ქ, (16:19) |
| 3:47 | ფაჩულია ჰარფორდმა შეცვალა |

**II პერიოდი**

| | |
|---|---|
| 5:23 | ფაჩულიამ ჰარფორდი შეცვალა |
| 4:13 | მოხსნა: 4 (შეტ:2, დაც:2) |
| 3:08 | შეცდომა:2 |
| 2:33 | ფაჩულია ჰარფორდმა შეცვალა |

**III პერიოდი**

| | |
|---|---|
| 11:37 | მოხსნა: 5 (შეტ:2, დაც:3) |
| 10:54 | მოხსნა: 6 (შეტ:3, დაც:3) |
| 10:51 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 10:41 | შეცდომა:3 |
| 9:55 | ფოლი:1 |
| 9:12 | ფოლი:2 |
| 8:25 | ფაჩულია ჰარფორდმა შეცვალა |

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუბრიკის პრემიერა

დიალოგი ველოსითან

# დიდოსტატები: ბურთით წყალზე და ცხოვრებაში

დასაწყისი იხ. „ლელო" №269

ვაგრძელებთ დიალოგს ვეტერან წყალბურთელთან, პროფესორ ოთარ მიმინოშვილთან.

**ბატონო ოთარ, თუ არ ვცდებით, 60-იან წლებში საკავშირო სარბიელზე თბილისის „დინამოს" გარდა მონაწილეობდა მეორე გუნდი საქართველოდან - თბილისის „ბურევესტნიკი"...**

- აკი გითხარით, ნიჭიერი თაობა მოდიოდა. ის ჭაბუკები - მოსწავლეები, სტუდენტები გახდნენ. ძალიან მოკლე დროში შეიკრა ძლიერი კოლექტივი. ასე მოხვდა პირველად საკავშირო ჩემპიონატების ისტორიაში ჩვენი ორი გუნდი, „დინამო" და „ბურევესტნიკი" ერთდროულად დიდ სპორტულ სარბიელზე.

1960 წელსვე ოლიმპიურ თამაშებში, რომში გამოდიან არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი საბჭოთა კავშირისა და მსოფლიო საწყალბურთო სამყაროს სიამაყედ აღიარებული პეტრე მშვენიერაძე, გივი ჩიქვანაია და ლერი გოგოლაძე. საბჭოთა ნაკრებში ეს სამეული ოლიმპიადის ვერცხლის ჯილდოს ეუფლება. ქართველი წყალბურთელები იმავე წლებში არაერთხელ გვევლინებიან ევროპის პრიზიორებად, იმარჯვებენ დიდ საერთაშორისო ტურნირებში.

**- დამაჯერებლად ლაპარაკობთ ჩვენი წყალბურთელების წარმატებებზე. ცნობილია, რომ მასობრიობა განაპირობებს სპორტის ამა თუ იმ სახეობის პოპულარობას და, პირიქითაც, პოპულარობა ხშირად ხდება მასობრიობის სტიმული. ჩვენი წყალბურთის შემთხვევაში რასთან გვქონდა საქმე?**

- მასობრიობამ შვა პოპულარობა, ამ შემთხვევაში ნამდვილად ვერ ვიტყვით. აი, ჩვენი წყალბურთელების მაღალმა ოსტატობამ კი უდავოდ გახადა პოპულარული სპორტის ეს სახეობა საქართველოში. მერე საქმე უფრო წინ წავიდა, როცა ნოდარ გვახარიამ დაიწყო მწვრთნელობა. თბილისის „დინამო" ორჯერ, მისი ხელმძღვანელობით, ეუფლება საკავშირო ჩემპიონატის ვერცხლისა, და სამჯერ ბრინჯაოს მედლებს. 1963 წლისსპარტაკიადაზე კი საქართველოს ნაკრები ფინალში დამარცხდა და ვერცხლის მედლით დაჯილდოვდა. კიდევ ოთხი წლის შემდეგ, მომდევნო საკავშირო სპარტაკიადაზე ჩვენი ნაკრები ბრინჯაოს მედლების მფლობელი ხდება.

**- როგორი იყო იმ წლებში სსრ კავშირის ნაკრებში საქართველოს წყალბურთელთა წარმომადგენლობა?**

- ძალიან სოლიდური. გივი ჩიქვანაიასთან და ლერი გოგოლაძესთან ერთად ვიქტორ რომანოვი და მე მიგვიწვიეს საკავშირო ნაკრებში. ის კი არა, ორი წლის განმავლობაში ამ ნაკრების მთავარ მწვრთნელად, საქართველოს ნაკრებისა და თბილისის „დინამოს" უფროსი მწვრთნელი ნოდარ გვახარია მუშაობდა.

**- თქვენს მიერ უკვე ხსენებული წყალბურთელების გარდა, ვინ თამაშობდა ნოდარ გვახარიას ყაიდის საქართველოს ნაკრებში და „დინამოში"?**

- შესანიშნავი ბიჭები - ვასილ სანაძე, ჯუმბერ წიკლაური, ლადო და ლევან გიორგაძეები, ზურაბ ლომიძე, მურთაზ გულედანი, რეზო ოჩიგავა, ვლადიმერ ისელიძე, ჯიმი თორთლაძე, არჯევან ლომიძე, მერაბ მგელაძე, სოსო ნიჟარაძე, ვალიკო დადვიძე, რუდიკო გოგუაძე, რამაზ ხუნწარია, თენგიზ ჩიხლაძე, ირაკლი სხირტლაძე, ბორის მარგიევი, თემურ უშანგიშვილი, ნუგზარ ერაძე, ნოდარ კურტანიძე, დათო იაშვილი, თემურ ჯიბლაძე, მალხაზ კაპანაძე და სხვები.



**- 60-იანი წლების დასასრულს და 70-იანი წლების დასაწყისში ისვ დადგა თაობათა თანდათანობითი ცვლის დრო. ვის გამოყოფდით იმ ახალბედებიდან, ვინც თამამად ამოუდგნენ მხარში გამოცდილ უფროს მეგობრებს?**

- მყარად დაიმკვიდრეს ადგილი ქართულ წყალბურთის ლიდერების ვლადიმერ ისელიძის, მიხეილ გიორგაძის, ნოდარ კურტანიძის გვერდით არაერთმა ნიჭიერმა ახალგაზრდამ, რომლებმაც შემდგომში მრავალგზის გამოიჩინეს თავი საკავშირო და საერთაშორისო მაღალი რანგის ტურნირებში.

**- ახალი ცვლა გამოჩნდა სამწვრთნელო ასპარეზზეც...**

- დიახ. თამამად შეუდგნენ მოღვაწეობას როსტომ ჩაჩავას და ნოდარ გვახარიას სამწვრთნელო ქურაში გამოწრთობილნი - ვლადიმერ გოიაშვილი, ირაკლი ჩხიკვაძე, ბორის მეგედი, ვასილ სანაძე, ჯუმბერ წიკლაური, მურთაზ გულედანი და სხვები. სპორტულ სარბიელზე ამ დიდმა სპორტსმენებმა მწვრთნელების ცოდნა-გამოცდილებაც დიდებულად შეითვისეს და აკი არც გაძნელებიათ თავიანთ შეგირდებთან მუშაობა. ერთიც მინდა აქვე გითხრათ: დიდი სპორტსმენისგან ყოველთვის არ ყალიბდება დიდი მწვრთნელი. მიკერძოებული არ ვიქნები თუ ვიტყვი, რომ წყალბურთი გამონაკლისია - ხელმოცარული სამწვრთნელო ასპარეზიდან არც ერთი ჩვენი ცნობილი წყალბურთის ოსტატი არ წასულა.

**- მოვიდა მწვრთნელთა ახალი ცვლა. როგორც თქვენ ბრძანეთ, ყველა მათგანი წარმატებული აღმზრდელი იყო. მაინც ასეა - მწვრთნელის წარმატება შეგირდთა მიღწევებია, ვინ არიან ისინი?**

- გვარებს ჩამოვთვლი და, ვფიქრობ, ყველაფერი გასაგები იქნება.

**- ბრძანეთ...**

- ყველას კარგად მოეხსენება ვინაა ოთარ იოსელიანი, გია ზუმბულიძე, დათო რურუა, დევი გვახარია... მათ შემდეგი თაობა კუტივაძე, ტუკვაძე, კანდელაკი, ნიკოლაიშვილი, ბალათურია...

**- დავუბრუნდეთ ისტორიულ ეპოქას. არაფერი გვითქვამს პერსონალურად სამოციანელების მაღალ მიღწევებზე...**

- ყველაზე თვალსაჩინო შედეგს მაშინ მეკარე მიხეილ გიორგაძემ მიაღწია. იგი გახდა ოლიმპიური თამაშები პრიზიორი და მსოფლიოს ჩემპიონი საბჭოთა ნაკრებში, დაეუფლა მსოფლიოს თასს. ვოვა ისელიძე გამოდიოდა მონრეალის ოლიმპიურ თამაშებში 1976 წელს. ამასთან, მრავალი წარმატებისთვის მიუღწევია, საბჭოთა ნაკრებში საერთაშორისო ტურნირებში. ასევე არაერთხელ გამოჩინა თავი სტუდენტთა და ახალგაზრდული საბჭოთა ნაკრებების შემადგენლობაში ნოდარ კურტანიძემ.

**- წყალბურთი იმდენად პოპულარული გახდა, კარგად გვახსოვს, როგორი გატაცებით დაიწყეს თამაში ქალებმაც, ძირითადად მოცურავეთა კონტინგენტიდან...**

- ეს მართლა საოცრება იყო. საოცრებაა აბა რა, როცა გუნდი ჯერ ისევ „საყმაწვილო" ასაკშია და... საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტულს იხვეჭს. ამ წარმატებაში უდიდესი წვლილი შეიტანეს უნიკალურმა სპეციალისტებმა ზურაბ ჩაჩავამ და ვლადიმერ გოიაშვილმა. ეს იყო შესანიშნავი მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა გარჯა დასახული მიზნის მისაღწევად.

**- მერე, ეს შანსი ხელიდან გავუშვით...**

- სამწუხაროდ!

**- თავის დროზე გონივრული გადაწყვეტილება იყო, მოსკოვიდან თბილისში გივი ჩიქვანაიას სამწვრთნელო ასპარეზზე მოწვევა. როგორ შეაფასებდით იმ პერიოდს?**

- 80-90-იან წლებში ახალმა თაობამ ახალ წარმატებებს მიაღწია. ქართული წყალბურთის აღდგენისთვის მართლაც ნაყოფიერად იშრომა მოსკოვიდან დარუნებულმა ლეგენდარულმა წყალბურთელმა და შემდეგ გამოჩენილმა მწვრთნელმა გივი ჩიქვანაიამ. მის მიერ თითქმის ერთ ნელიწადში აღზრდილმა წყალბურთელებმა სასწაულები მოახდინეს. ბევრი მათგანი საბჭოთა კავშირის პირველი, ახალგაზრდული და ჭაბუკთა ნაკრებების წევრი გახდა.

**- რამდენიმე მათგანს ხომ არ დაასახელებდით?**

- ესენი იყვნენ დიმა რამიშვილი, სანდრო ბითაძე, მიხეილ გიორგაძე, მაჭავარიანი და სხვები.

**- აი, მივადექით 90-იან წლებს. მაშინ დატრიალებული ცნობილი მოვლენების შედეგად მოიშალა ცხოვრების რიტმი, განადგურდა ბევრი რამ, მათ შორის სპორტული ბაზები. საქართველოში თითქმის აღარ დარჩა საცურაო აუზი, რომელიც შეუფერხებლად იმუშავებდა. და მაინც...**

- გეთანხმებით, ენთუზიასტებმა, უფრო სწორად განსაკუთრებით ერთმა ოპტიმისტმა მწვრთნელმა სოსო მაისურაძემ არ მიატოვა საყვარელი საქმე, ბავშვებთან განაგრძო მუშაობა. ბევრჯერ წყალიც არ ჰქონდათ, მაგრამ მოზარდებმა იცოდნენ, რომ ხმელეთზე ბურთით თამაშშიც კი ისინი მომავლაი წყალბურთელები იყვნენ. საცოდაობა იქნებოდა ასეთი რწმენის მწვრთნელი და მისი შეგირდები უყურადღებოდ დარჩენილიყვნენ. არც დარჩნენ. „ლაგუნა-ვერეზე", მას შემდეგ, რაც ეს აუზი გამართულად ამუშავდა, კომპლექსის დირექტორმა ვლადიმერ გოიაშვილმა მაქსიმალური პირობები შეუქმნა მომეცადინეებს ოსტატობის ასამაღლებლად. საქართველოში რაკი მეორე გუნდიც კი აღარ იყო და, ბუნებრივია, არც არანაირი შეჯიბრება ტარდებოდა სოსო მაისურაძის შეგირებს მხოლოდ რუსეთისა და უკრაინის ღია ჩემპიონატებში მიეცათ შესაძლებლობების გამოვლენისა და თვითდამკვიდრების შესაძლებლობა - არაერთხელ გახდნენ ამ შეჯიბრებების გამარჯვებულები და პრიზიორები. ევროპის პირველობის ფინალურ ჯგუფშიც ითამაშეს თანატოლთა შორის, წარმატებით გამოვიდნენ საერთაშორისო ტურნირებში.

**- ახლა სხვა აუზებიც ამუშავდა, როგორ ფიქრობთ, ეშველა წყალბურთს?**

- შველის რა გითხრა, მაგრამ პატრიოტი მწვრთნელები - სოსო მაისურაძე, თენგიზ ივანიშვილი, ჯონდო მაჭარაშვილი, გიორგი დოლიძე, ირაკლი კიკალიშვილი და სხვები, ჩემდა სამწუხაროდ, ყველას ვერ ჩამოვთვლი, ყველაფერს აკეთებენ, რომ კვლავ აღდგეს ჩვენი წყალბურთი. აქვე დავძენ, რომ წყალბურთის სამსახურში ჩადგა არაერთი ვეტერანი წყალბურთელი და სპეციალისტი. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მურთაზ გულედანს ვგულისხმობ.

**- ნოდარ კურტანიძემ ხომ არ დაივიწყა თავის საყვარელი სპორტის სახეობა...**

- არა, რას ბრძანებთ. ხომ გახსოვთ, ამ კაცმა რა მოიმოქმედა, როცა გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში, რუსთავში, საბჭოთა კავშირში იმ დროისათვის უნიკალური წყალბურთის საცურაო აუზი ააგო. მიუხედავად სამსახურებრივი მოუცლელობისა, ნოდარი დღესაც მზადაა თავის საყვარელ წყალბურთს უწინდელი ერთგულებით ემსახუროს.

**- ათწლეულების გადასახედიდან, რას იტყვით, როგორ შეაფასებთ ქართული წყალბურთის და ქართველი წყალბურთელების წვლილს XX საუკუნის მეორე ნახევრის საბჭოთა წყალბურთში?**

- ზემოთ მოყვანილი კონკრეტული ფაქტები და მოვლენები, მხოლოდ მოკლე, მშრალი და ზოგადი ისტორიული ექსკურსია იმ დიდი სპორტული მატიანისა, რომლითაც დღემდე ამაყობს ქართული საზოგადოება, სპორტის სპეციალისტები და გულშემატკივრები. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართული საწყალბურთო სკოლის აღზრდილებმა ყველაზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ყოფილი სსრკ სპორტულ მიღწევებში სპორტის ამ სახეობაში. ამასთან, ჭიდაობაში, ფეხბურთში, კალათბურთში, ხელბურთში, სპორტის სხვა სახეობებში, საქართველოს წარმომადგენლებს მუდამ ეკავათ წამყვანი ადგილი.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ სპორტის საწყლოსნო სახეობები საქართველოში ყოველთვის იდგა ფიზიკურად და სულიერად ჰარმონიულად განვითარებული თაობების აღზრდის სამსახურში.

**- დღეს არ ულხინს სპორტის წყალთა სახეობებს ჩვენში, მათ შორის, როგორც ვთქვით, წყალბურთსაც. როგორ გესახებათ მომავალი, რა უნდა გაკეთდეს ნაკლოვანებების დასაძლევად?**

- ჩვენ რაც შეგვიძლია, იმას ვცდილობთ. გავითვალისწინეთ რა ტრადიციები და გამოცდილება, ვეტერანმა წყალბურთელებმა, საწყლოსნო სპორტის სხვა წარმომადგენლებთან ერთად გადავწყვიტეთ შეგვექმნა რეგისტრირებული კავშირი - სპორტული კლუბი. ჩვენი მიზანი ერთის მხრივ სპორტის წყალთა სახეობების ფედერაციასთან თანამშრომლობაა, მეორეს მხრივ - ჩვენი ამოცანაა შევქმნათ კლუბური სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში, უპირველესად, თბილისში, საცურაო აუზების აღდგენა-რეკონსტრუქციას, ახლის მშენებლობას. უნდა დავიბრუნოთ მასობრიობა, გამოვავლინოთ და აღვზარდოთ ტალანტები, აღვადგინოთ ასაკობრივი პირველობები, საქართველოს ჩემპიონატი, გავიდეთ საერთაშორისო სარბიელზე. დღეს საქართველოში მუშავდება სპორტის განვითარების გეგმა-პროგრამები, რაშიაც ღირსეულად უნდა იყოს წარმოდგენილი სპორტის საწყლოსნო სახეობები...

ესაუბრა თენგიზ გაჩეჩილაძე

გაგრძელება იქნება

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუმო

## მოგება და მარცხი უქმეებზე

შაბათ-კვირას აღმოსავლეთის მე-13 მაეგაშირა **კოკაიმ** ორი ბრძოლა გამართა, ჯერ 20 წლის **ტოჩიოძანი** დაამარცხა, შემდეგ კი 35 წლის გამოცდილ **ვაკანოსატოსთან** დამარცხდა. კიუშუს ბაშომ ეკვატორი გადალახა კოკაის დადებითი ბალანსი აქვს - 5-3.

ტოჩიოძანს კოკაიმ ხერხით აჯობა - ძლიერი დაჯახების შემდეგ, დოჰიოს ცენტრში გამოეცალა და ახალგაზრდა სუმოისტი ძირს დაენარცხა. მეორე ორთაბრძოლასაც თუ მოიგებდა, კოკაი ლიდერთა შორის მოხვდებოდა. მისი მეტოქე ვაკანოსატო იყო, თუმცა ვეტერანმა ვაკანოსატომ ძალით აჯობა ქართველს და ოშიდაშით გაიყვანა დოჰიოიდან. დღეს კოკაის მეტოქე მე-16 მაეგაშირა **ბარუტოა**, აქამდე ქართველი ესტონელ ფალავანს არ შეხვედრია.

კიუშუს ბაშოს დაუმარცხებელი რიკიში აღარ ჰყავს - გუშინ ოძეკი **ჩიოტაიკაიმ** ყოფილ ოძეკისთან, **დეჯიმასთან** წააგო. მიუხედავად ამისა „მუდმივი ოკეანე" მაინც ერთპიროვნული ლიდერია, მას 7-1 ბალანსი აქვს. ჩიოტაიკაის კვალში შვიდი რიკიში უდგას 6-6 მოგებით. მათ შორისაა კოკაის დამმარცხებელი ყოფილი სეკივაკე ვაკანოსატო და ქართველის დღევანდელი მეტოქე ბარუტო. ექვსი მოგება აქვს იოკოძუნა **ჰაკუჰოს**, რომელმაც, მოულოდნელად, **ამასთან** წააგო. ამდენივე მოგება აქვს ოძეკი **კოტომიცუკის**.

მეოთხე დივიზიონ სანდანმეში პირველი მარცხი იგემა **თეიმურაზ ჯულელმა (გაგამარუ)**. გაგამარუმ 21 წლის **ფუძიმოტოსთან** წააგო ცუკიოტოშის ილეთით. გაგამარუს ბალანსი 3-1 არის, მაკუშიტას დივიზიონის ლიდერი **ტოჩინოშინი** (ლევან გორგაძე) შაბათ-კვირას ისვენებდა. დღეს ტოჩინოშინი მასსავით დაუმარცხებელ **ვაკატერნოს** ხვდება, რომელიც მე-12 მაკუშიტაა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

კიუშუს ბაშო

ნოემბრის სუპერტურნირი

11-25 ნოემბერი, ფუკუოკა (იაპონია)

VII დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: კოკაი-ტოჩიოძანი 1:0 (ჰატაკიკომი), ჰაკუჰო-ტოკიტენკუ 1:0, ამინიშიკი-კოტოოშუ 1:0, კაიო-ასასეკირიუ 1:0, კოტომიცუკი-კიოკუტენჰო 1:0, ჩიოტაიკაი-კაკურიუ 1:0, ამა-ჰომაშო 1:0, კოტოშოგიკუ-მიაბიამა 1:0, დეჯიმა-კისენოსატო 1:0, ტოიონოშიმა-ტამანოშიმა 1:0, ტოიოჰიბიკი-ტაკეკაძე 1:0, გოეიდო-ტამაკასუგა 1:0, ტოჩინონადა-იოშიკაძე 1:0, როჰო-ბარუტო 1:0.

VIII დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: კოკაი-ვაკანოსატო 0:1 (ოშიდაში), ამა-ჰაკუჰო 1:0, კაიო-კაკურიუ 1:0, ტოკიტენკუ-კოტომიცუკი 1:0, დეჯიმა-ჩიოტაიკაი 1:0, ჰომაშო-ასასეკირიუ 1:0, მიაბიამა-ამინიშიკი 1:0, კოტოშოგიკუ-კისენოსატო 1:0, ტოიოჰიბიკი-კიოკუტენჰო 1:0, ტოიონოშიმა-გოეიდო 1:0, ჰოკუტორიკი-ტამანოშიმა 1:0, ტოჩიოძანი-იოშიკაძე 1:0, ბარუტო-კაიჰო 1:0.

სატურნირო მდგომარეობა. 7-1: ჩიოტაიკაი (ოძეკი); 6-2: ჰაკუჰო (იოკოძუნა), კოტომიცუკი (ოძეკი), დეჯიმა (მაეგაშირა 2), ტოიონოშიმა (მ 4), გოეიდო (მ 6), ვაკანოსატო (მ 8), ბარუტო (მ 16); .. 5-3: კოკაი (მ 13).

IX დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: კოკაი-ბარუტო, ჰაკუჰო-ტოიონოშიმა, კოტომიცუკი-ტაკეკაძე, ჩიოტაიკაი-ასასეკირიუ, კაიო-ტოკიტენკუ, კისენოსატო-ამინიშიკი, ამა-მიაბიამა, კოტოშოგიკუ-ჰომაშო, დეჯიმა-კაკურიუ, კასუგაო-კიოკუტენჰო, ფუტენო-ტამანოშიმა, გოეიდო-ჰოკუტორიკი, ტამაკასუგა-ტოიოჰიბიკი, ვაკანოსატო-ჰაკუროძანი, როჰო-ტოჩინონადა.

მშვილდოსნობა

## ესებუა და ტერუნაშვილი



ქრისტინე ესებუა

გუშინ ეროვნულ სტადიონზე დასრულდა საქართველოს თასის გათამაშება მშვილდოსნობაში, რომელიც წლეულს ფედერაციამ ახლებური სისტემით - სამ ეტაპად ჩაატარა. საწყის ეტაპებს თბილისმა და შუახევმა უმასპინძლეს, რომელთა შედეგებმაც განსაზღვრეს გუშინდელი ტურნირის შემადგენლობა. გუშინ მშვილდოსნებმა ჯერ თასის მესამე ეტაპზე ისროლეს. ამის შემდეგ შეჯამდა სამივე ეტაპის შედეგები და გამოვლინდნენ ის ოთხეულები, რომლებმაც ფლეი ოფის სისტემით დასკვნით, ფინალურ ეტაპზე იასპარეზეს. სწორედ ამ მეოთხე ეტაპის შედეგებით გაირკვნენ თასის წლევანდელი მფლობელები. მოვლენებს წინ გავუსწრებთ და გეტყვით, რომ სანუკვარი ჯილდო ქალებში პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიანტმა, თბილისელმა **ქრისტინე ესებუამ** მოიპოვა, ვაჟებში - ასევე დედაქალაქელმა **გიორგი ტერუნაშვილმა**. აღსანიშნავია, რომ ორივე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბ „ქირონის" წევრია.

პირველი ორი შეჯიბრების შედეგების მიხედვით, გუშინ, თასის მესამე ეტაპზე გამოსვლის უფლება აჭარისა და თბილისის გუნდების 15 მშვილდოსანი შეიკრიბა. მშვილდოსნებმა თავდაპირველად თასის მესამე ეტაპზე ისროლეს. ამის შემდეგ შეჯამდა სამივე ეტაპის შედეგები და გამოვლინდა ის ოთხეულები, რომლებმაც ფლეი ოფის სისტემით დასკვნით, ფინალურ ტურნირში ისროლეს თასის მოსაპოვებლად.

თასის მესამე ეტაპი თბილისელმა ქრისტინე ესებუამ მოიგო, რომელმაც ფინალში 109:105 მოუგო ბათუმელ **ხათუნა ნარიმანიძეს**. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ბათუმელი **ასმათ დიასამიძემ** 100:98 აჯობა თბილისელ **იამზე ტალახაძეს**. ვაჟებში ფინალი ბათუმელთა შინაურ შეჯიბრებად იქცა - **დიმიტრი კირიჩენკომ ტარიელ ქადიძეს** 103:96 მოუგო. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში დედაქალაქელმა **ლაშა მაჩაიძემ**, კლუბ „გეორ-გიენის" წევრმა 101:75 დაამარცხა ბათუმელი ვლადიმერ ბოლქვაძე.

ამის შემდეგ გაირკვნენ სამივე ეტაპის გამარჯვებულები. ქალებში საუკეთესო შედეგი ესებუას აღმოაჩნდა - 92 ქულა. ნარიმანიძე მეორე იყო - 88, მესამეზე დიასამიძე გავიდა - 85, მეოთხე შედეგი კი ტალახაძეს აღმოაჩნდა - 74.

ვაჟებში საუკეთესო ქადიძე გახლდათ 90 ქულით, კირიჩენკო 83-ით მეორე იყო. მას ერთი ქულით ჩამორჩა ბოლქვაძე, მეოთხე შედეგი კი გიორგი ტერუნაშვილს აღმოაჩნდა - 78. სწორედ ამ ოთხეულებმა მოიპოვეს დასკვნით, ფინალურ ეტაპზე ფლეი ოფში ასპარეზობის უფლება. იქ მონაწილენი ასე დაწყვილდნენ - პირველ ადგილზე გასული მეოთხეადგილოსანს ეჯიბრებოდა, მეორე-მესამეზე მყოფები კი ერთმანეთს ხვდებოდნენ. გამარჯვებულები ფინალში გადიოდნენ, დამარცხებულები კი მესამესთვის იბრძოდნენ.

ქალთა შორის ფლეი ოფები მოულოდნელობების გარეშე წარიმართა - პირველ წრეში ესებუამ ტალახაძეს 109:103 მოუგო, ნარიმანიძემ კი უფრო იოლად აჯობა დიასამიძეს - 112:97. ფინალში ესებუამ კიდევ ერთხელ დაამარცხა ნარიმანიძე, ამჯერად 109:102 და თასიც მოიპოვა. ბრინჯაოსთვის ბრძოლაში დიასამიძემ კიდევ ერთხელ მოუგო ტალახაძეს - 98:94.

ქალთა ტურნირისგან განსხვავებით, ვაჟებში მეტ-ნაკლებად მოულოდნელი შედეგი ფლეი ოფის პირველივე წრეში მივიღეთ - ტერუნაშვილმა ქადიძეს 102:92 მოუგო. ეს შედეგი მოულოდნელი იმ მხრივაა, რომ ფლეი ოფში ქადიძე პირველ ნომრად შევიდა, ტერუნაშვილი - მეოთხედ. მაგრამ ყველაზე საინტერესო მათი დაპირისპირება იყო, რადგან ორივე მსროლელი ახალი თაობის სპორტსმენთა ნიჭიერი წარმომადგენელია... მეორე წყვილში კირიჩენკომ ბოლქვაძეს 95:80 მოუგო. ფინალში ტერუნაშვილმა კირიჩენკოს 99:96 მოუგო, მესამეზე კი ქადიძე გავიდა, რომელმაც ბოლქვაძეს 103:71 აჯობა.

ამ კვირაში მწვრთნელთათვის 8-დღიან სემინარებს ჩაატარებს ჰოლანდიელი **ანდრე კორლაარი**, რომელიც ჩვენი ფედერაციის მოთხოვნის შემდეგ მშვილდოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ მოავლინა.

ირაკლი თავაძე

ჭადრაკი

მსოფლიოს ასაკობრივი ჩემპიონატი

## რვიდან თვრამეტამდე

გუშინ ანთალიაში დაიწყო მსოფლიო ჩემპიონატი ასაკობრივ ჯგუფებში. მონაწილეთა ასაკი 8-დან 18 წლამდეა; სულ 6 ასაკობრივი კატეგორიაა. 8-წლიანებს მსოფლიო ჩემპიონობისთვის ბრძოლის შესაძლებლობა ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ პირველად შარშან, ბათუმში მისცა.

როგორც შაბათს მოგახსენეთ, საქართველოდან ანთალიაში მრავალრიცხოვანი დელეგაცია გაემგზავრა: 34 მოჭადრაკე, თანმხლებ პირებთან ერთად კი 60 კაცამდე.

შეჯიბრის ფორმაში ჩვეული - შვეიცარულია. 11 ტური, სათამაშო დრო 90 წუთია პირველ 40 სვლაზე; შემდეგ 15 წუთი ემატება ორივე მხარეს პარტიის ბოლომდე; 30-წამიანი მატება პირველი სვლიდან ბოლო სვლამდეა.

შთამბეჭდავია მონაწილეთა საერთო რაოდენობაც - 2000 კაცზე მეტი შეიკრიბა. ქართველთა შემადგენლობა ასეთია: **ნიკოლოზ ჭანტურია (8 წლამდე), კონსტანტინე სავენკო (8), ნინო ჯალალანია (8), ნიკოლოზ ქუმსიაშვილი (10), მამუკა ანთაძე (10), ნოე თუთისანი (10), ნინო ხომერიკი (10), მარიამ ჭოლაძე (10), ირაკლი ბერაძე (12), აკაკი რუხაძე (12), ნატო იმნაძე (12), ნანი უნაფქოშვილი (12), ანა კუჭავა (12), გიორგი ცირეკიძე (14), ზურაბ ჯავახაძე (14), გიორგი ნიკოლიშვილი (14), მარიამ დანელია(14), მერი არაბიძე (14), ნათია ჯალაბაძე (14), ლელა უგულავა (14), ნაზი პაიკიძე (14), ლევან ბრეგაძე (16), დავით ლომსაძე (16), დავით ბენიძე (16), სოფიკო გურამიშვილი (16), სალომე ხაჟომია (16), ქეთი ნანალაშვილი (16), თინათინ ბერიძე (16), სალომე სირაძე (16), გიორგი მარგველაშვილი (18), მირანდა მიქაძე (18), მერი ჟორჟოლიანი (18), ქრისტინე მჟავია (18).**

ზვიად შათირიშვილი

ჩოგბურთი

## ქვაცაბაია უკვე ბარსელონაშია



სოფიო ქვაცაბაია

18 წლის სოფიო ქვაცაბაიას გამოსვლა მალიორკას ტურნირზე წარმატებული გამოდგა. ჩვენი თანამემამულე მესამე კვირაა ესპანეთში იმყოფება, სადაც ზეიდიზედ ორჯერ კუნძულ მალიორკაზე 10-ათასიან ტურნირებში სცადა ბედი. პირველად სოფიო ეგრევე მოხვდა ძირითად ბადეში და პირველივე წრეში დამარცხდა. მეორედ მას ბრძოლა საკვალიფიკაციო ტურნირში მოუწია, თუმცა უფრო მეტს მიაღწია, საკვალიფიკაციო ბადის გავლის მერე, მან ძირითადში ორი მოწინააღმდეგე დაამარცხა (მათ შორის ტურნირის მეორე ჩოგანი) და მეოთხედფინალში გავიდა. მეოთხედფინალში ქვაცაბაია რუს **მარინა მელნიკოვას** შეხვდა, რომელიც ანალოგიურად გავიდა ამ ეტაპზე. სამწუხაროდ, მელნიკოვა ერთი თავით სჯობდა ქვაცაბაიას - 3:6, 0:6. მალიორკას ტურნირი პოლონელმა **სილვია ზაგორსკამ** მოიგო. სოფიო კვლავ ესპანეთში რჩება, სადაც ბარსელონას 10-ათასიან ტურნირში თამაშობს. ქართველი კვლავ საკვალიფიკაციო ბადეშია, სადაც მეოთხე ნომრად განთესეს. ქართველმა უკვე მოასწრო პირველი წრის გავლა, მან „უაილდ ქარდით" მიწვეული **კარლა ტორეს მენგუალი** დაამარცხა - 6:1, 6:0. საკვალიფიკაციო ბადეში კიდევ ერთი ქართველი იყო - **მაგდა ოქრუაშვილი**, რომელმაც ბულგარელ **ევგენია იორდანოვასთან** წააგო - 3:6, 4:6. ბარსელონას ტურნირის ძირითად ბადეში **მანანა შაფაქიძე** ითამაშებს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ჩოგბი

საქართველოს ჩემპიონატი

## არმაზი შვიდით წინაა

გადასასვლელი მატჩი

| არმაზი-აკადემია | 15:8 |
|---|---|

არმაზი: (15-9) ჩხაიძე, ხინთიბიძე, ძნელაძე, კაიფაჯიანი, ძიძიშვილი (გეთიაშვილი 57), ჯავარაშვილი, მჟავანაძე; (1-8) ი. ლამბაშიძე, პინაიშვილი, სოსელია, ჯიშკარიანი, მაჭარაძე, კანდელაკი, მინაშვილი, ცირეკიძე სბ 77 - *2ლ (სოსელია, ცირეკიძე); გ, ა: (ძნელაძე)*

აკადემია: (15-9) გურგენიძე, ელიზბარაშვილი, წასიძე, ქოპილაშვილი, ასკინავა (სუთიძე 41), ხუხუნეიშვილი, ჩაბრაძე (მოლოდინაშვილი 55); (1-8) ლომსაძე, მეკოკიშვილი, დიაკონიძე, ობოლაძე (გ. ლამბაშიძე 65 სბ 79), გელაძე, ნიბლაძე, მაღლაკელიძე (დავითაშვილი 63), მურვანიძე (ჩიჩუა 45) - *ლ (ასკინავა); ს (მეკოკიშვილი)*

მსაჯი: უ. ნარიმანიძე

უმაღლეს ლიგაში გადასასვლელ პირველ მატჩში მეხუთეადგილოსანი „არმაზი" პირველი ლიგის მეორე გუნდს „აკადემიას" დაუპირისპირდა და 15:8 დაამარცხა.

ამ გუნდების დაპირისპირებამ გვაჩვენა, რომ უმაღლესი ლიგის ნაბოლარები პირველის ლიდერებზე ბევრად წინ არ არიან. მეტიც, პირველლიგელი „აკადემია" შეხვედრის პირველ ნახევარში უკეთ გამოიყურებოდა და ტაიმიც მის სასარგებლოდ დასრულდა. სხვაობა მინიმალური იყო 8:7, რაც სრულიად არ ასახავს ძალთა თანაფარდობას. „არმაზმა" მოწინააღმდეგის ოცდაორმეტრიან ზონაში მხოლოდ ტაიმის მიწურულს შეაღწია. 37-ე წუთზე არმაზელთა მოლმა მოწინააღმდეგე ოცი მეტრი ათრია, „აკადემიის" ლელოდან ორ მეტრში თამაში რაკში გადავიდა, საიდანაც შერკინების ბურჯმა **გიორგი სოსელიამ** ხაზს მიღმა გადადო ბურთი, გარდასახვა **დემირ ძნელაძემ** გაიტანა - 7:8.

ანგარიში „აკადემიამ" მე-20 წუთზე გახსნა. 25 მეტრიდან კვაჭმა **ბექა მეკოკიშვილმა** საჯარიმო გაიტანა, 3:0. იგივეს გაკეთება შვიდი წუთით ადრე **გიორგი ელიზბარაშვილს** შეეძლო, მაგრამ ხელსაყრელი პოზიციიდან არაზუსტად დაარტყა.

„აკადემია" სათამაშო უპირატესობას ფლობდა, მაგრამ ამის ანგარიშში ასახვას ვერაფრით ახერხებდა, რადგან ზედიზედ ოთხი საკუთარი დერეფანი წააგო. არმაზელებშიც თავის მხრივ ხშირად სცოდავდნენ, ძირითადად ფეხით თამაშისას.

32-ე წუთზე „აკადემიამ" მეტოქის ოცდაორმეტრიან ზონაში მრავალფაზიანი, საკმაოდ სწრაფი კომბინაცია გაითამაშა, რიცხვობრივი უპირატესობა შექმნეს და გარემარბ **ირაკლი ასკინავას** ლელოს გატანა არ გასჭირვებია. გარდასახვა ისევ ელიზბარაშვილმა დაარტყა და ვერ გაიტანა. „აკადემია" მშრალი ანგარიშით იგებდა 8:0, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „არმაზმა" ტაიმის მიწურულს სხვაობის მინიმუმამდე შემცირება შეძლო.

მეორე ტაიმიშ „არმაზის" შერკინებამ იძალა. მატჩი ისე დასრულდა, აკადემიელებმა თავიანთ მონაგარს ველარაფერი შეიძინეს. „არმაზმა" კი 53-ე წუთზე დაწინაურება შესძლო. არეკნი 20 მეტრიდან **დემირ ძნელაძემ** გაიტანა 10:8. მანვე ორჯერ საჯარიმოს გატანა ვერ შეძლო.

ორქულიანი უპირატესობა მატჩის მიწურულამდე შენარჩუნდა. 77-ე წუთზე ხუთმეტრიანი დერეფნიდან „არმაზმა" გოლი ააგორა. ლელოდან ერთ მეტრში თამაში რაკში გადავიდა, იქიდან კი ბურთი რვა ნომერმა **გიორგი ცირეკიძემ** გამოიტანა და ლელოში შეაღწია, გარდასახვა ძნელაძემ ვერ გაიტანა - 15:8.

საპასუხო მატჩის წინ, რომელიც 24 ნოემბერს გაიმართება „არმაზს" შვიდქულიანი უპირატესობა აქვს.

ბესიკ ჯანგავაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# NBA რეგულარული ჩემპიონატი

**16 ნოემბერი**

**ბოსტონი-მაიამი 92:91**

24:24, 28:22, 23:20, 17:25

**ბოსტონი:** გარნეტი (26 ქ. 11 მ), რ. ალენი (19 ქ. 7 პ), პოუსი (13 ქ), პირსი (12 ქ), პერკინსი (10 ქ).

**მაიამი:** უეიდი (23 ქ. 6 პ), რ. დევისი (20 ქ. 4 პ), შ. ონილი (17 ქ. 9 მ. 2 დ).

**გ. სტეიტი-კლიპერსი 122:105**

34:26, 30:29, 32:32, 26:18

**გოლდენ სტეიტი:** ე. პარინგტონი (27 ქ. 9 მ), ბიედრინსი (23 ქ. 18 მ. 2 დ), ბ. დევისი (21 ქ. 12 პ. 5 დ. 3 ჩ), ბარნსი (17 ქ. 8 პ. 6 მ), მ. ელისი (12 ქ).

**კლიპერსი:** ტიმ ტომასი (25 ქ. 7 მ. 3 პ), მაგეტი (22 ქ. 12 მ. 5 პ), კამანი (20 ქ. 7 მ. 5 დ), მობლი (16 ქ. 4 პ), კასელი (10 ქ. 9 პ).

**ტორონტო-ინდიანა 110:101**

22:30, 31:26, 28:18, 29:27

**ტორონტო:** ბოში (22 ქ. 2 დ), ტი. ჯეი. ფორდი (15 ქ. 7 პ), ე.პარკერი (15 ქ. 5 მ), კალდერონი (15 ქ. 10 პ), კაპონო (12 ქ), დელფინო (11 ქ).

**ინდიანა:** ტინსლი (20 ქ. 5 პ. 2 ჩ), მერფი (20 ქ. 7 მ), ჯ. ონილი (14 ქ. 7 პ. 6 მ), მ. დანლივი-უმცროსი (13 ქ. 7 მ), დ. გრეინჯერი (12 ქ. 8 მ. 3 დ. 2 ჩ), დიენერი (10 ქ).

**ფილადელფია-პორტლენდი 92:88**

14:21, 13:24, 29:28, 36:15

**ფილადელფია:** იგუოდალა (22 ქ. 7 პ. 3 ჩ), ლ. უილიამსი (19 ქ. 3 ჩ), ა. მილერი (13 ქ), ჯეისონ სმიტი (12 ქ).

**პორტლენდი:** ოლდრიჯი (25 ქ. 6 მ), როი (25 ქ. 4 პ. 3 ჩ), უებსტერი (10 ქ. 2 ჩ).

**კლივლენდი-იუტა 99:94**

19:24, 20:19, 29:31, 31:20

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (40 ქ. 10 მ. 9 პ. 3 დ), ილგაუსკასი (17 ქ. 12 მ. 6 დ. 3 პ), პაველოვიჩი (12 ქ. 2 ჩ), გუდენი (11 ქ. 8 მ).

**იუტა:** ბუზერი (26 ქ. 11 მ), ოქური (11 ქ. 6 პ. 5 მ), დ. უილიამსი (11 ქ. 2 ჩ), ბრიუერი (10 ქ. 2 ჩ).

**ნიუ ჯერსი-ორლანდო 70:95**

10:25, 22:20, 27:24, 11:26

**ნიუ ჯერსი:** რ. ჯეფერსონი (15 ქ. 9 მ), ა. რაიტი (14 ქ. 5 მ. 4 პ. 2 დ), კიდი (11 ქ. 19 მ. 10 პ. 2 ჩ).

**ორლანდო:** რ. ლიუისი (27 ქ. 5 მ), დ. ჰოვარდი (21 ქ. 19 მ), ნელსონი (15 ქ. 7 პ), თურქოღლუ (12 ქ. 7 მ. 5 პ).

**ატლანტა-სიეტლი 123:126 (2 ო)**

23:26, 22:32, 37:26, 25:23, 7:7, 9:12

**ატლანტა:** ჯ. ჯონსონი (39 ქ. 6 პ. 5 მ), ჩილდრესი (22 ქ. 10 მ), მერვინ უილიამსი (18 ქ. 7 მ. 4 პ. 4 ჩ. 2 დ), **ზაზა ფაჩულია (14 ქ. 6 მ)**, ს. სტაუდმაიერი (11 ქ), პორფორდი (7 ქ. 14 მ. 5 დ).

**სიეტლი:** უილკინსი (41 ქ. 9 მ. 2 ჩ), დიურანი (21 ქ. 3 ჩ. 3 დ), უილკოქსი (16 ქ. 4 ჩ. 3 დ), შჩერბიაკი (15 ქ), უოტსონი (15 [illegible]) კოლისონი (10 ქ. 14 მ).

**მემფისი-ნ. ორლეანი 118:120 (ო)**

23:32, 35:30, 26:19, 30:33, 4:6

**მემფისი:** ნავარო (28 ქ. 4 პ), გასოლი (20 ქ. 8 მ), გეი (20 ქ. 2 ჩ), მ. მილერი (13 ქ. 9 მ), ს. სვიფტი (10 ქ).

**ნიუ ორლეანი:** დევიდ უესტი (40 ქ. 6 მ), პოლი (28 ქ. 13 პ. 5 ჩ), სტოიაკოვიჩი (17 ქ. 9 მ. 3 პ), ბ. ჯექსონი (14 ქ. 8 მ), ჩენდლერი (12 ქ. 17 მ. 5 პ. 4 დ).

**მინესოტა-ვაშინგტონი 89:105**

24:32, 27:15, 23:24, 15:34

**მინესოტა:** მაკკენტსი (19 ქ. 6 მ. 2 ჩ), ე. ჯეფერსონი (15 ქ. 10 მ. 2 ჩ), ა. უოკერი (14 ქ. 5 მ. 3 ჩ).

**ვაშინგტონი:** კ. ბატლერი (29 ქ. 8 მ. 2 ჩ), არენასი (27 ქ. 8 პ. 4 მ. 4 ჩ), ჯეიმისონი (14 ქ), სონგაილა (10 ქ. 5 მ. 2 ჩ), ჰეივუდი (8 ქ. 11 მ).

**საკრამენტო-ნ. იორკი 123:118 (2 ო)**

28:31, 29:16, 25:26, 15:24, 10:10, 16:11

**საკრამენტო:** კევინ მარტინი (43 ქ. 10 მ), არტესტი (28 ქ. 8 მ. 2 ჩ), სალმონსი (16 ქ. 7 მ. 4 პ), ბ. მილერი (12 ქ. 11 მ. 3 პ. 2 ჩ), უდრიხი (10 ქ. 5 პ).

**ნიუ იორკი:** კარი (27 ქ. 9 მ), ჯ. კროუფორდი (24 ქ. 6 მ. 5 პ), ლი (24 ქ. 16 მ. 2 ჩ), ნ. რობისნსონი (17 ქ), მარბერი (15 ქ. 4 პ), კ. რიჩარდსონი (4 ქ. 10 მ).

**ლეიკერსი-დეტროიტი 103:91**

29:20, 19:26, 14:22, 41:23

**ლეიკერსი:** ოდომი (25 ქ. 15 მ), ბრაიანტი (19 ქ. 7 პ. 4 მ), ბინუმი (12 ქ. 7 მ), რადმანოვიჩი (11 ქ), ფარმარი (10 ქ. 4 ჩ), კუკი (10 ქ).

**დეტროიტი:** პრინსი (16 ქ. 9 მ. 3 პ), რ. ჰამილტონი (16 ქ. 2 ჩ), რ. მიურეი (15 ქ. 6 მ. 6 პ), რ. უოლასი (13 ქ. 8 მ), ჯ. ჰეიესი (13 ქ).

**სან ანტონიო-ჰიუსტონი 90:84**

25:24, 24:22, 20:18, 21:20

**სან ანტონიო:** დანკანი (25 ქ. 13 მ. 2 ჩ), ჯინობილი (19 ქ. 9 მ. 7 პ), ფინლი (17 ქ. 5 პ), ტ. პარკერი (14 ქ).

**ჰიუსტონი:** სკოლა (20 ქ. 4 მ), ბეტიე (16 ქ. 5 მ. 2 ჩ), მინი (14 ქ. 9 მ. 3 დ), მ. ჯეიმსი (10 ქ. 2 ჩ).

**17 ნოემბერი**

**დალასი-მემფისი 108:105**

27:29, 27:24, 28:25, 26:27

**დალასი:** ჯოშ ჰოვარდი (27 ქ. 7 მ. 2 ჩ), ნოვიცკი (21 ქ. 9 მ), დ. ჰარისი (19 ქ. 8 პ. 5 ჩ), ბასი (11 ქ), ტერი (10 ქ), დიოპი (6 ქ. 11 მ. 3 დ).

**მემფისი:** მ. მილერი (23 ქ. 7 მ), უორიკი (17 ქ), გასოლი (15 ქ. 6 მ), ნავარო (14 ქ. 4 მ. 4 პ).

**მილუოკი-ატლანტა 105:96**

23:24, 34:22, 19:24, 29:26

**მილუოკი:** ბოგუტი (21 ქ. 10 მ. 4 დ. 3 ჩ), რედი (21 ქ), ვილიამოვა (17 ქ. 7 მ. 3 პ), მო უილიამსი (11 ქ. 10 პ. 8 მ. 2 ჩ), მეისონი (10 ქ), სიმონსი (10 ქ).

**ატლანტა:** ჯოშ სმიტი (38 ქ. 7 მ. 3 დ. 2 ჩ), ჯ. ჯონსონი (14 ქ. 9 პ), მერვინ უილიამსი (10 ქ. 8 მ), ლიუ (10 ქ), **ზაზა ფაჩულია (4 ქ. 6 მ).**

**მინესოტა-ნიუ ორლეანი 82:100**

21:25, 19:17, 21:32, 21:26

**მინესოტა:** ე. ჯეფერსონი (20 ქ. 10 მ), ტელფეირი (15 ქ), გომესი (12 ქ), ა. უოკერი (10 ქ. 7 მ).

**ნიუ ორლეანი:** სტოიაკოვიჩი (22 ქ. 4 პ), პიტერსონი (18 ქ. 7 მ), პარგო (15 ქ. 7 პ), ჩენდლერი (12 ქ. 7 მ. 4 პ).

**კლიპერსი-ჩიკაგო 73:92**

16:29, 24:22, 19:19, 24:22

**კლიპერსი:** კამანი (21 ქ. 8 მ. 2 დ), ტიმ ტომასი (14 ქ. 8 მ. 3 პ).

**ჩიკაგო:** გორდონი (25 ქ. 5 მ. 2 ჩ), ნოჩიონი (21 ქ. 8 მ), ჰაინრიხი (10 ქ. 2 ჩ), დენგი (10 ქ. 7 მ), ბ. უოლასი (9 ქ. 13 მ. 6 ჩ. 3 დ).

**შარლოტი-სიეტლი 100:84**

22:22, 25:27, 30:21, 23:14

**შარლოტი:** ჯ. უოლასი (27 ქ. 7 მ. 3 დ. 2 ჩ), ჯ. რიჩარდსონი (23 ქ. 6 მ), კროლი (14 ქ), ფელტონი (13 ქ. 12 პ. 7 მ. 2 ჩ), ოკაფორი (12 ქ. 15 მ).

**სიეტლი:** დიურანი (24 ქ. 9 მ. 2 ჩ. 2 დ), უილკინსი (19 ქ. 7 მ), დიურანი (16 ქ), ჯ. გრინი (11 ქ).

**ვაშინგტონი-პორტლენდი 109:90**

22:15, 25:23, 31:25, 31:27

**ვაშინგტონი:** ჯეიმისონი (30 ქ. 11 მ), ჰეივუდი (17 ქ. 10 მ), ნ. იანგი (17 ქ), კ. ბატლერი (13 ქ), ა. დენიელსი (10 ქ. 10 პ. 5 მ. 2 ჩ), ბლატჩე (10 ქ. 3 დ. 2 ჩ).

**პორტლენდი:** ოლდრიჯი (18 ქ. 10 მ), ჯეკი (18 ქ. 5 პ), უებსტერი (13 ქ), როი (12 ქ), ტ. აუთლო (11 ქ).

**ინდიანა-იუტა 117:97**

33:19, 32:27, 30:26, 22:25

**ინდიანა:** მ. დანლივი-უმცროსი (25 ქ. 3 ჩ), დ. გრეინჯერი (19 ქ), მ. დენიელსი (17 ქ), ს. უილიამსი (16 ქ. 8 მ. 3 დ. 2 ჩ).

**იუტა:** ბუზერი (19 ქ. 2 ჩ).

**ნიუ ჯერსი-მაიამი 87:91**

23:18, 12:27, 26:18, 26:28

**ნიუ ჯერსი:** ს. უილიამსი (22 ქ. 8 მ. 2 ჩ. 2 დ), რ. ჯეფერსონი (18 ქ), კიდი (16 ქ. 15 პ. 8 მ. 2 ჩ), ა. რაიტი (14 ქ. 6 მ. 6 პ).

**მაიამი:** უეიდი (23 ქ. 9 პ. 6 მ. 4 ჩ), შ. ონილი (18 ქ. 5 მ), ჰარდევეი (16 ქ), მურნინგი (10 ქ. 5 მ), კუკი (10 ქ).

**ჰიუსტონი-ფინიქსი 105:115**

30:37, 27:32, 19:25, 29:21

**ჰიუსტონი:** სკოლა (20 ქ. 11 მ. 4 პ), მ. ჯეიმსი (17 ქ), ჰედი (16 ქ. 2 ჩ), მინი (12 ქ. 6 მ), ბეტიე (10 ქ. 7 მ. 3 ჩ).

**ფინიქსი:** ა. სტაუდმაიერი (21 ქ. 13 მ. 2 დ), ბარბოსა (21 ქ. 5 მ. 4 პ. 2 დ), ნეში (19 ქ. 15 პ), მერიონი (18 ქ. 11 მ. 4 დ), გ. ჰილი (18 ქ. 4 პ. 2 ჩ).

**დენვერი-ნიუ იორკი 115:83**

30:22, 28:18, 26:16, 31:27

**დენვერი:** ენტონი (24 ქ. 6 მ. 2 დ), აივერსონი (23 ქ. 4 პ), კლეიზა (18 ქ), ჯეი. არ. სმიტი (12 ქ. 2 ჩ), კემბი (6 ქ. 20 მ. 6 პ. 5 დ).

**ნიუ იორკი:** ზ. რენდოლფი (16 ქ. 11 მ. 2 ჩ), კარი (12 ქ), მ. კოლინზი (10 ქ), ლი (9 ქ. 11 მ. 2 დ).



დუაიტ ჰოვარდი

## ჰოვარდმა შაქის რეკორდი დაამხო

გასულ უიქ ენდზე, „ორლანდო მეჯიქმა" სტუმრად გაანადგურა „ნიუ ჯერსი" - 95:70. ამ მატჩში, „მეჯიქის" 21 წლის ცენტრმა **დუაიტ ჰოვარდმა** 19 მოხსნა გააკეთა და ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა კალათბურთელი გახდა, ვინც 3000 მოხსნას მოუყარა თავი.

საინტერესოა, რომ წინა რეკორდი ლეგენდარულ **შაკილ ო'ნილს** ეკუთვნოდა, რომელმაც თავისი 3000-ე მოხსნა ასევე „ორლანდოს" შემადგენლობაში მიითვალა.

*„მონდომებით ვარჯიშს ვაგრძელებ და ჩემი თამაში დღითი-დღე უმჯობესდება"*, - განაცხადა მატჩის შემდეგ რეკორდსმენმა.

## გარნეტი პეკინში არ წავა

ამერიკის ნაკრებს საგაისო ოლიმპიადაზე **კევინ გარნეტის** გარეშე მოუწევს თამაში. „ბოსტონ სელტიქსის" ფორვარდმა უკვე აცნობა თავისი გადაწყვეტილება „დრიმ თიმის" ხელმძღვანელობას.

*„მიმაჩნია, ჩვენ უკვე ჩამოყალიბებული გუნდი გვყავს და იქ ყველა ვაკანსია შევსებულია. არ მინდა ჩემი გადაწყვეტილების ვინმესთან განხილვა, მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ნაკრების ხელმძღვანელებმა უკვე იციან ჩემი არჩევანის შესახებ და მას გაგებით შეხვდნენ"*, - ამბობს გარნეტი.

# ახალი ამბები

## აიზიას მალე გააგდებენ

ამერიკული პრესის ვარაუდით, „ნიუ იორკ ნიქსის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე **აიზია ტომასის** დღეები დათვლილია.

გაზეთ New York Post-ის ცნობით, წარსულში ლეგენდარული კალათბურთელი უახლოეს დღეებში დატოვებს თანამდებობას. ტომასის სავარაუდო განთავისუფლების მიზეზი ლოგიკურია. გუნდმა რეგულარული ჩემპიონატის ბოლო 4 მატჩი წააგო, სულ კი, ამ სეზონში „ნიუ იორკს" მხოლოდ ორი გამარჯვება აქვს მოპოვებული.

## მარბერის ფულადი ჯარიმა აკმარეს

როგორც ცნობილია, „ნიუ იორკ ნიქსის" მცველმა **სტეფონ მარბერიმ** თვითნებურად დატოვა გუნდის რიგები, გააცდინა რამდენიმე ვარჯიში და კლუბთან ერთად „ფინიქს სანზის" წინააღმდეგ სათამაშოდ არ გაემგზავრა. მარბერი მხოლოდ კვირის ბოლოს დაუბრუნდა შემადგენლობას.

ამ თვითნებობისთვის, „ნიქსის" შეფობამ სტეფონი 182 ათასი დოლარით დააჯარიმა.

*„ჩვენ დაველაპარაკეთ კალათბურთელს და ყველა დეტალი შევათანხმეთ მასთან. ყველას შეიძლება ასეთი შეცდომა მოუვიდეს. ამისგან დაზღვეული არავინ არის. „ნიქსის" ხელმძღვანელობას არ სურს, რომ გუნდის შიდა პრობლემები საზოგადოების სამსჯავროზე გამოვიდეს"*, - განაცხადა „ნიუ იორკის" პრეზიდენტმა **აიზია ტომასმა.**

## ნეტს არმსტრონგი გამოაკლდა და გილი მიიღო

დაახლოებით ორი-ოთხი კვირით მოუწევს დასვენება „ნიუ ჯერსი ნეტსის" ვეტერან მცველ **დერელ არმსტრონგს.**

„ბოსტონ სელტიქსთან" (69:91) მატჩის დროს, არმსტრონგმა ბარძაყის ტრავმა მიიღო და თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო.

დერელი „ნეტსის" ძირითადი გამთამაშებლის, **ჯეისონ კიდის** დუბლიორი იყო. იმის გათვალისწინებით, რომ „ნიუ ჯერსის" კიდევ ერთი მცველი, **მარკუს უილიამსი** ჰყავს ტრავმირებული, კლუბის ხელმძღვანელობამ უკლუბოდ მყოფი **ედი გილის** დამატება გადაწყვიტა. ეს კალათბურთელი შარშან მოსკოვის „დინამოში" თამაშობდა, სულ კი, NBA-ში 129 მატჩი აქვს ჩატარებული, რომლის განმავლობაშიც საშუალოდ 3.1 ქულას და 1.1 გადაცემას აკეთებდა.

## ჰიუზი ოთხ კვირას დაისვენებს

მინიმუმ ოთხი კვირა ვერ შეძლებს თამაშს „კლივლენდ კავალიერზის" სასტარტო ხუთეულის წევრი **ლარი ჰიუზი.** 28 წლის მცველმა მარცხენა მუხლი დაიზიანა, რის შემდეგაც მას სამედიცინო შემოწმება ჩაუტარდა და განისაზღვრა იძულებითი შვებულების ვადები.

წელს, ჰიუზმა 6 შეხვედრაში მოასწრო თამაში და თავის გუნდს 6.8 ქულითა, 2.3 მოხსნითა და ამდენივე შედეგიანი პასით დაეხმარა.



მასტერსის თასი

# ფედერერის მეოთხე მასტერს კაპი



როჯერ ფედერერი

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, შვეიცარიელმა როჯერ ფედერერმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მსოფლიოში ბადალი არ ჰყავს – შანხაიში, მასტერსის თასის ფინალში, მან სამ სეტში მოუგო ესპანელ დავიდ ფერერს და ამ პრესტიჟული ტურნირის ჩემპიონი ბოლო ხუთ სეზონში მეოთხედ გახდა.

ფედერერმა ტურნირის პირველივე შეხვედრა ჩილელ ფერნანდო გონსალესთან წააგო, მაგრამ იქიდან მოყოლებული, თანდათან გააუმჯობესა თავისი თამაში, მნიშვნელოვნად უკლო შეცდომებს და ფინალის გზაზე ყველა მეტოქე იოლად შემუსრა. ფერერთან შეხვედრაში კი შვეიცარიელი მაესტრო განსაკუთრებით უბადლო მოწოდებით გამოირჩეოდა. მან თავისი 12-ვე სერვის-გეიმი მოიგო, მეტოქისაზე კი თითქმის ყოველთვის ბრეიკის შანსი ჰქონდა.

ფედერერმა სულ ექვსი ბრეიკი აიღო, ორ-ორი ყოველ სეტში. ბოლო ბრეიკს კი მიმდინარე სეზონის ბოლო გეიმში მიაღწია, რითაც სეზონში მერვე, თავის კარიერაში კი 53-ე ტიტული მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ ფერერის დასამარცხებლად ფედერერს სულ რაღაც საათი და 38 წუთი დასჭირდა.

დიდი სლემის 12 ტიტულის მფლობელმა შანხაის ტურნირის მოგებისთვის 1.2 მილიონი დოლარი დაიმსახურა, რითაც გასულ სეზონში თავისი საპრიზო მონაგარი 8.6 მილიონ დოლარამდე გაზარდა.

ფედერერისთვის ეს მასტერსის თასის ზედიზედ მეხუთე ფინალი იყო, რომლებშიც თასი მეოთხედ მოიპოვა. ამ მაჩვენებლით, ის გაუსწორდა ლეგენდარულ რუმინელ ილიე ნასტასეს, ვისაც მასტერსის თასი ოთხჯერ აქვს მოგებული. უფრო მეტჯერ, ხუთჯერ ეს ტურნირი მხოლოდ ორ ჩოგბურთელს – ჩეხ ივან ლენდლსა და ამერიკელ პიტ სამპრასს აქვთ მოგებული.

შანხაიმდე, ფედერერს ფერერი წინა შვიდივე შეხვედრაში ჰყავდა დამარცხებული. სამაგიეროდ, ფინალამდე ფერერი ისე მივიდა, ერთი შეხვედრაც არ წაუგია. უფრო მეტიც, ტურნირის მონაწილეთაგან მას ერთადერთს ჰქონდა ყველა თამაში მოგებული. მასტერსის თასის ფინალში გასვლა კი მისი კარიერის ყველაზე გამორჩეული მიღწევაა. ნახევარფინალში მან სასტიკი მარცხი აწვნია ამერიკელ ენდი როდიკს. ფედერერმა კი ასევე იოლად დაამარცხა თავისი ყველაზე გამორჩეული კონკურენტი, ესპანელი რაფაელ ნადალი.

შეგახსენებთ, რომ მასტერსის თასის ფინალი ფედერერმა ერთადერთხელ, 2005 წელს დათმო. მაშინ მისი მეტოქე არგენტინელი დავიდ ნალბანდიანი იყო. თავიდან შვეიცარიელმა ორი სეტი მოიგო და თითქოს, გამარჯვებასთანაც ახლოს იყო, მაგრამ არგენტინელმა სასწაული მოახდინა და ჩემპიონთა ჩემპიონი ხელცარიელი დატოვა. სხვათა შორის ნალბანდიანმა ფედერერს შანხაიმდე, მასტერსის სერიის ზედიზედ ორ ჭერქვეშა ტურნირზე ორი მარცხი აგემა.

"ტურნირი მეოთხედ მოვიგე, მაგრამ ისეთივე ბედნიერი ვარ, როგორც პირველი გამარჯვებისას. მინდა, მივულოცო დავიდს, ვინც შესანიშნავი სეზონი ჩაატარა. ვიმედოვნებ, ამ დონეზე ის მერმისაც ითამაშებს და შარხაის თამაშსაც შეძლებს", - განაცხადა ფერერმა.

შვეიცარიელმა პირველივე გეიმში შეუტია მეტოქეს. ფერერის სერვისზე ის მალე 30:0 დაწინაურდა და მესამე გათამაშების მოგების შანსიც ჰქონდა, მაგრამ გვერდითმა მსაჯმა აუტი დააფიქსირა. ფედერერმა ჩანაწერის ნახვა მოითხოვა, რამაც მსაჯის სიმართლე დაამტკიცა. მოკლედ, ფერერმა საწყისი გეიმის მოგება შეძლო.

ფედერერმა თავისი სერვის-გეიმი იოლად მოიგო, შემდეგ კი მეტოქისაზე კვლავ იაქტიურა და პირველ ბრეიკსაც მიაღწია. შვეიცარიელი ამჯერადაც ისევე კარგად აწოდებდა, როგორც ნადალთან ნახევარფინალურ პაექრობაში. მან თავისი მეორე სერვის-გეიმიც იოლად მოიგო, შემდეგ კი ისევ გატეხა მეტოქე და 4:1 დაწინაურდა.

მეექვსე გეიმს მან შეხვედრაში მოწოდებული მესამე ეისით დაუსვა წერტილი. მომდევნოში პირველი სამი ქულა ფერერმა იოლად მოიგო და 40:0 დაწინაურდა. თითქოს, მას ამ გეიმის მოგება არ უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ ფედერერმა პირველი სეტის ამ გეიმში დასრულება მოინდომა. ყოველ შემთხვევაში, ესპანელს თავისი სოლიდური უპირატესობის რეალიზება ძალიან გაუჭირდა. ასე იყო თუ ისე, მან მიზანს მაინც მიაღწია, მაგრამ სამაგიეროდ, მომდევნო გეიმში, მეტოქის მოწოდებაზე ერთი ქულაც ვერ აიღო და სეტიც 2:6 დათმო.

მეორე სეტიც ფერერმა თავის სერვისზე მოპოვებული ქულით დაიწყო. მაგრამ მეტოქის მოწოდებაზე კვლავ არაფერი გამოსდიოდა. მის მიერ დარტყმული ბურთი ხშირად კორტს მიღმა ეშვებოდა. მესამე გეიმში მან კვლავ მოახერხა საკუთარ სერვისზე ქულის აღება, თუმცა ამჯერად ეს ძალიან გაუჭირდა. უნდა ითქვას, რომ ესპანელი შიგადაშიგ შესანიშნავი თამაშით გამოირჩეოდა, მაგრამ როგორც კი მაყურებელს გამოაცოცხლებდა, მომდევნო გათამაშებაზე კვლავ უხეშ შეცდომას უშვებდა, რითაც საქმეს მეტად ირთულებდა. შედეგად, მეხუთე გეიმში მისი შეცდომებით კვლავ ისარგებლა ფედერერმა და მეორე სეტში პირველი ბრეიკი გაიფორმა. მერვე გეიმში მან თავის მოწოდებაზე მორიგი მშრალი გამარჯვება მოიპოვა, შემდეგ კი მეტოქის მოწოდებაზეც გაილაღა და სამი სეტ პოინტიდან მესამეს გარდასახვით სეტ გამარჯვებით დაასრულა.

მესამე სეტის პირველსავე გეიმში, ესპანეთის მეორე ჩოგანმა ორ ბრეიკ პოინტს (თამაშში პირველად) მიაღწია, მაგრამ ფედერერმა ორივე იოლად გაანეიტრალა. მომდევნო გეიმი ფერერმა საკმაოდ იოლად (პირველად ამ შეხვედრაში) მოიგო. თუმცა, მალე შვეიცარიელმა კიდევ ერთხელ მიაღწია ბრეიკს. ფერერს კიდევ ერთხელ მიეცა შვეიცარიელის სერვისზე ქულის აღების შანსი. ამჯერად მან შეუმცდარად, თუმცალა გაუბედავად იმოქმედა. ფედერერმა ძნელი ბურთი ფორჰენდით მოიგერია. ფერერი ბურთს ბადესთან დახვდა, მაგრამ ვოლეი (ბურთის კორტზე დაუშვებლად, ზემოდან დარტყმა) უხეიროდ შეასრულა და ბრეიკის შანსიც ხელიდან გაუშვა.

მერვე გეიმში ფედერერმა რამდენიმე ქულა შესანიშნავი თამაშის წყალობით აიღო, შემდეგ ფერერმა ორმაგი შეცდომა დაუშვა. ფედერერმა უზადოდ შესრულებული დარტყმით მოიპოვა სეტში მეორე ბრეიკი და თამაშსაც და სეზონსაც ამით დაუსვა წერტილი.

შეგახსენებთ, რომ ფედერერს მასტერსის თასის წინა სამი ტიტული 2003, 2004 და 2006 წლებში აქვს მოპოვებული.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

**ATP**

**მასტერსის თასი**

შანხაი (ჩინეთი).

ჭერქვეშა ტარაფლექსი

საპრიზო ფონდი: 4 450 000 დოლარი

**ნახევარფინალი**

**როჯერ ფედერერი (შვეი, 1)-რაფაელ ნადალი (ესპ, 2) 6:4, 6:1**

**დავიდ ფერერი (ესპ, 6)-ენდი როდიკი (აშშ, 5) 6:1, 6:3**

**ფინალი**

**როჯერ ფედერერი (შვეი, 1)-დავიდ ფერერი (ესპ, 6) 6:2, 6:3, 6:2**

რეკორდი

# ბროდო 500



მარტინ ბროდო

გასული უიქ ენდი ისტორიული გამოდგა „ნიუ ჯერსი დევილზის" მეკარე **მარტინ ბროდოსთვის**. „ფილადელფია ფლაიერზთან" 6:2 გამარჯვების შემდეგ, ლეგენდარულ გოლკიპერს კარიერაში 500 გამარჯვება დაუგროვდა.

ამ ზღვარის მისაღწევად, ბროდოს 893 მატჩის ჩატარება დასჭირდა. ერთადერთი მეკარე, რომელსაც მსგავსი შედეგით შეუძლია თავი მოიწონოს, აწ უკვე პენსიაში გასული **პატრიკ რუაა**. სხვათა შორის, ბროდოს 51 გამარჯვება სჭირდება იმისთვის, რომ რუას რეკორდი გაიმეოროს. თუ მას ტრავმები არ შეაწუხებს, მომავალ სეზონში პატრიკის რეკორდი აუცილებლად გაუმჯობესდება.

სხვათა შორის, ბროდომ სხვა მხრივ აჯობა თავის ლეგენდარულ თანაამპლუელს. მას რუაზე ნაკლები მატჩის ჩატარება დასჭირდა 500 მოგების მისაღწევად.

ბროდო 14 წელია, რაც „ნიუ ჯერსიში" თამაშობს და ამ ხნის განმავლობაში სამჯერ მოიპოვა სტენლის თასი. ეს მეკარე ზედიზედ 11 სეზონი 30-ზე მეტ შეხვედრას იგებდა რეგულარულში, ხოლო ბოლო ორ სეზონში, 40-ზე მეტი მატჩი მოიგო. შარშანდელ სეზონში, ბროდომ 48 მოგებით NHL-ის რეკორდი გაიმეორა.

მოქმედ მეკარეებს შორის, 500-მოგებიან ზღვართან ყველაზე ახლოს „დეტროიტის" ჩეხი მეკარე **დომინიკ ჰაშეკი** იმყოფება. მას ბროდოს შედეგის გასამეორებლად 133 გამარჯვება სჭირდება.

ახალი ამბები

## მაკინისს ძეგლს დაუდგამენ

როგორც ვიუწყებოდით, ამ ცოტა ხნის წინ, ცნობილი მცველი **ელ მაკინისი** ჰოკეის ეროვნული ლიგის დიდების დარბაზში შეიყვანეს. გუშინ კი გაირკვა, რომ ლეგენდარულ ჰოკეისტს ბრინჯაოს ქანდაკებას დაუდგამენ.

„სენტ ლუის ბლუზის" მფლობელმა **დეივ კრიკეტსმა** განაცხადა, რომ ეს ქანდაკება „ბლუზმენების" სტადიონთან ახლოს, დიდების დარბაზის კიდევ ერთი წევრის, **ბერნი ფედერიკოს** ქანდაკების გვერდით დაიდგმება.

## ბრიზგალოვი გრეტცკისთან გადავიდა

გასულ უიქ ენდზე ჰოკეის ეროვნულ ლიგაში ერთი მნიშვნელოვანი ტრანსფერი განხორციელდა. სტენლის თასის მფლობელმა „ანაჰაიმ დაქსმა" ტრანსფერზე დააყენა რუსი მეკარე **ილია ბრიზგალოვი**, რომელიც მაშინვე აიყვანა **უეინ გრეტცკის** „ფინიქს კოიოტზმა".

ბრიზგალოვი „ანაჰაიმში" ძირითადი მეკარის, **ჟან-სებასტიან ჟიგერის** დუბლიორი იყო. წელს მან 9 მატჩში მიიღო მონაწილეობა და საშუალოდ 2.55 გოლს უშვებდა.

„ფინიქსში" რუსი გოლკიპერის დებიუტი კვირას შედგა და ის მეტად წარმატებული გამოდგა. „ლოს ანჯელესთან" მატჩში ბრიზგალოვმა შათაუტი შეასრულა.

## ატლანტა მწვრთნელს აღარ ეძებს

„ატლანტა ტრეშერზმა" შეწყვიტა ახალი მთავარი მწვრთნელის ძებნა. როგორც იცით, გასულ თვეში გუნდმა თანამდებობიდან გაანთავისუფლა **ბობ ჰარტლი** და დროებით გუნდის გაწვრთნა თავის თავზე გენერალურმა მენეჯერმა **დონ უოდელმა** აიღო.

ამ სპეციალისტის ხელმძღვანელობით, „ატლანტამ" უკვე 13 მატჩი ჩაატარა და 9 მოიგო, რის შემდეგაც უოდელმა განაცხადა: *„თუ გუნდს თამაში მისდის, ახალი მწვრთნელის ძებნა საჭირო აღარ არის"*.

ამიტომაც, კლუბის შეფობამ გადაწყვიტა, რომ უოდელი სეზონის ბოლომდე შეასრულებს მთავარი მწვრთნელის მოვალეობას.

## ბერჟერონისთვის სეზონი დასრულდა

„ბოსტონ ბრუინზის" გენერალური მენეჯერი **პიტერ ჩიარელი** აცხადებს, რომ „დათვების" ერთ-ერთ წამყვანი ფორვარდი **პატრის ბერჟერონი** სეზონის დარჩენილ ნაწილს გამოტოვებს. შეგახსენებთ, რომ 22 წლის ჰოკეისტმა ცხვირი გაიტეხა და ტვინის შერყევა მიიღო „ფილადელფია ფლაიერზის" მცველის, **რენდი ჯონსის** ბინძური ძალისმიერი ილეთის გამო.

ჩიარელი ამბობს, რომ ბერჟერონს დღემდე აწუხებს თავის ტკივილი და ის მომავალ წლამდე ვერ შეძლებს თამაშს. უფრო მეტიც, ერთი პირობა საუბრობდნენ იმის შესახებ, რომ 22 წლის ჰოკეისტი საერთოდ წავიდოდა აქტიური სპორტიდან.

## განიე ჯერ ვერ ბრუნდება

„ფილადელფია ფლაიერზის" ერთ-ერთმა ლიდერმა **საიმონ განიემ** გამოაცხადა, რომ ჯერ მზად არ არის ყინულზე დასაბრუნებლად. როგორც ცნობილია, ამ ფორვარდმა გასულ კვირას, „ფლორიდასთან" მატჩის დროს ტვინის შერყევა მიიღო.

*„მოედანზე დასაბრუნებლად დრო მჭირდება. კიდევ ერთი-ორი კვირა ვერ შევძლებ თამაშს. ასეთ ტრავმასთან ხუმრობა არ შეიძლება. თანაც, კლუბის ხელმძღვანელობაც დაჟინებით ითხოვს ჩემს ბოლომდე გამოჯანმრთელებას"*, - მოჰყავს განიეს სიტყვები Philadelphia Daily News-ს.

## ანაჰაიმმა ერთში ორი დათმო

მოთამაშეები გაცვალეს „კოლამბუს ბლუ ჯეკეტსმა" და „ანაჰაიმ დაქსმა". სტენლის თასის მფლობელმა „კოლამბუსის" მიმართულებით ორი ჰოკეისტი - მცველი **აარონ როუმი** და თავდამსხმელი **კლეი უილსონი** გაუშვა, მათ ნაცვლად კი, ცენტრალური ფორვარდი **ჯეფ პლატი** მიიღო.

როუმმა და უილსონმა წლევანდელი სეზონი ამერიკის ჰოკეის ლიგაში (AHL) დაიწყეს და რეგულარულ ჩემპიონატში „ანაჰაიმის" რიგებში ერთი მატჩიც არ ჩაუტარებიათ.

## NHL რეგულარული ჩემპიონატი

### 16 ნოემბერი

**ნიუ ჯერსი-აილენდერსი 0:1**

0:0, 0:1, 0:0

გოლი: 0:1 ვამიჩეკი-7.

**კაროლინა-ატლანტა 0:3**

0:2, 0:0, 0:1

გოლები: 0:1 მარიან ჰოსა-8 (ტ. უაიტი-8, კოვალჩუკი-11), 0:2 მარიან ჰოსა-9 (ტ. უაიტი-9), 0:3 კოვალჩუკი-16 (მარიან ჰოსა-6, ენსტრიომი-7).

**ბაფალო-მონრეალი 4:1**

3:0, 1:1, 0:0

გოლები: 1:0 მაკარტური-2 (დ. რუა-7, ბ. კემპბელი-11), 2:0 პეი-4 (პრატი-2, ვანეკი-7), 3:0 სტეფორდი-3 (ვანეკი-7), 3:1 რაიდერი-3, 4:1 მაკარტური-3 (პებტი-5, პომინვილი-8).

**ტამპა ბეი-ვაშინგტონი 5:2**

2:2, 2:0, 1:0

გოლები: 1:0 ლეკავალიე-13 (სენტ ლუისი-18, ბ. რიჩარდსი-13), 1:1 ლეიჩი-3 (მ. მორისონი-3, გორდონი-2), 1:2 ოვეჩკინი-13 (კ. კლარკი-3, ბეკსტრიომი-8), 2:2 პლავაჩი-3, 3:2 ბ. რიჩარდსი-7 (ლეკავალიე-18), 4:2 რეინჯერი-4 (სენტ ლუისი-19), 5:2 სენტ ლუისი-7 (ბ. რიჩარდსი-14, ლეკავალიე-19).

**სენტ ლუისი-კოლამბუსი 3:2**

1:0, 0:0, 2:2

გოლები: 1:0 კარია-4 (ბოიესი-4, ტკაჩუკი-10), 1:1 გლენკროსი-2 (ფერდიოვი-7, უესკოტი-1), 2:1 ბოიესი-10 (კარია-14, სალვადორი-1), 3:1 მაიერსი-4 (ბრიუერი-2), 3:2 ნეში-13 (ვეინსი-7, კლესლა-3).

**დალასი-კოლორადო 6:1**

1:0, 4:0, 1:1

გოლები: 1:0 ი. იოკინენი-4 (ზუბოვი-12, მოროუ-11), 2:0 ი. იოკინენი-5 (მიეტინენი-2, ზუბოვი-13), 3:0 პალპერნი-3 (მოდანო-6, ბოერი-1), 4:0 ი. იოკინენი-6 (ზუბოვი-14, მოდანო-7), 5:0 ი. იოკინენი-7 (ზუბოვი-15, ჰაგმანი-3), 6:0 რიბეირო-8 (ი. ლეპტინენი-13), 6:1 ჰლინკა-2 (არნასონი-5, ბრუნეტი-12).

**ვანკუვერი-მინესოტა 6:2**

4:1, 1:0, 1:1

გოლები: 1:0 პაატი-5 (ისბისტერი-4, ედლერი-3), 2:0 ნესლუნდი-5 (ჰ. სედინი-12, ბ. მორისონი-5), 3:0 ოლუნდი-3 (ბაროუზი-5, ბ. მორისონი-6), 4:0 დ. სედინი-8 (ჰ. სედინი-13, ოლუნდი-3), 4:1 ვორობი-1 (კარნი-2, ბუშარი-11), 5:1 ლინდენი-1, 5:2 ბერნსი-4 (ბუშარი-12, მ. კოივუ-11), 6:2 ბურდონი-1 (რიტჩი-1).

### 17 ნოემბერი

**ლოს ანჯელესი-ფინიქსი 0:1**

0:0, 0:1, 0:0

გოლები: 0:1 დოუნი-4 (ტუვანოვსკი-8, პანგალი-7).

**ტორონტო-ოტავა 3:0**

0:0, 1:0, 2:0

გოლები: 1:0 ტაკერი-2 (მაკეიბი-5, ტ. კაბერლე-9), 2:0 სუნდინი-10 (მაკეიბი-6, ტ. კაბერლე-10), 3:0 ტლუსტლი-3 (ბელი-2, ანტროპოვი-10).

**მონრეალი-ბოსტონი 7:4**

1:1, 3:2, 3:1

გოლები: 1:0 ს. კოივუ-5 (რაიდერი-6, მარკოვი-10), 1:1 გ. მიური-2 (სავარი-14, აქსელსონი-5), 2:1 კოსტოპულოსი-2 (ჩიპჩურა-2), 2:2 ხარა-1 (სავარი-15, ვიდემანი-3), 3:2 კოსტიცინი-3 (მარკოვი-11), 3:3 შტურმი-9 (გ. მიური-7, ხარა-9), 4:3 ლატენდრესი-3 (ჰამრლიკი-8, ჩიპჩურა-3), 5:3 ჰამრლიკი-2 (მტრაიტი-7, პლეკანეცი-11), 6:3 კომისარეკი-3 (ს. კოივუ-12), 6:4 გ. მიური-3 (სავარი-16), 7:4 კოვალიოვი-10 (რაიდერი-7, მტრაიტი-8).

**დეტროიტი-ჩიკაგო 3:5**

1:1, 2:1, 0:3

გოლები: 0:1 რენე ბურკი-2 (შარპი-6), 1:1 რაფალსკი-3 (დრეიპერი-4, კლირი-5), 1:2 რენე ბურკი-3 (ვანდერმეერი-5, სოპელი-4), 2:2 ჰოლმსტრიომი-10 (ზეტერბერგი-15, ლიდსტრიომი-14), 3:2 ზეტერბერგი-14 (დაციუკი-15, ჰოლმსტრიომი-8), 3:3 შარპი-8 (რენე ბურკი-5, ლანგი-13), 3:4 შარპი-9 (სიბრუკი-5, პერო-2), 3:5 შარპი-10 (კეიტი-5, სოპელი-5).

**ფილადელფია-ნიუ ჯერსი 2:6**

0:2, 1:2, 1:2

გოლები: 0:1 ზუბრუსი-4 (ე. გრინი-3, ზაიაცი-7), 0:2 რახუნეკი-1 (ზუბრუსი-8), 0:3 ელიაში-4 (პარიზე-11, ოდუია-4), 1:3 მ. რიჩარდსი-11 (აპშოლი-2, კ. ტიმონენი-10), 1:4 პანდოლფო-7, 2:4 აპშოლი-4 (მ. რიჩარდსი-12, ნუბლი-4), 2:5 ჯონტა-5 (პარიზე-12), 2:6 პარიზე-6 (ელიაში-7, ჯონტა-6).

**კაროლინა-ფლორიდა 2:1**

1:0, 0:0, 1:1

გოლები: 1:0 ბრინდამორი-9 (სტილმანი-14, ჯ. ჰემილტონი-9), 2:0 ბრინდამორი-10 (კომოდორი-4, ჯასტინ უილიამსი-15), 2:1 ჰორტონი-7 (ო. იოკინენი-12, უეისი-11).

**პიტსბურგი-რეინჯერსი 3:4 (ო)**

2:0, 0:3, 1:0, 0:1

გოლები: 1:0 ტელბოტი-5 (კროსბი-19), 2:0 კროსბი-11 (სიკორა-6, გონჩარი-14), 2:1 როჟსივალი-5 (დუბინსკი-2, ჰოლეეგი-1), 2:2 როჟსივალი-6 (ჟევერი-6, მ. სტაალი-2), 2:3 ჟირარდი-2 (პრუხა-3, ტოუტინი-3), 3:3 სიკორა-9 (მალკინი-20, კრისტენსენი-2), 3:4 სტრუდეიკი-1 (მარა-4, გომესი-11).

**ნეშვილი-სენტ ლუისი 2:3 (ბ)**

1:0, 1:2, 0:0, 0:0

გოლები: 1:0 რადულოვი-5 (მ. უებერი-1, ლეგვანდი-12), 1:1 ბოიესი-11, 1:2 პერონი-5 (სტემპნიაკი-9, უეიტი-4), 2:2 ტუტუ-5 (გელინასი-3, ჟიდლიცკი-8).

ბულიტები გაიტანეს: ბოიესი (სენტ ლუისი).

**ედმონტონი-კალგარი 1:3**

0:0, 0:2, 1:1

გოლები: 0:1 ლომბარდი-6 (ნოლანი-4, ნისტრიომი-1), 0:2 ნოლანი-2 (ლომბარდი-7, ნისტრიომი-2), 0:3 კონროი-3 (ტანგუე-16, იგინლა-15), 1:3 კოლაიკო-4 (სემ განიე-7, სანდერსონი-2).

**სან ხოსე-ანაჰაიმი 1:2 (ბ)**

0:1, 0:0, 1:0, 0:0

გოლები: 0:1 კუნიტცი-7 (ბოუმენი-7, გეტცლაფი-14), 1:1 ტ. მიტჩელი-4 (ოზოლინში-2, რიონიკი-7).

ბულიტები გაიტანეს: პერი (ანაჰაიმი).

## TV სპორტი

**19 ნოემბერი. ორშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-ალლუმი.
15:15 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ჩეხეთი-სლოვაკეთი.
17:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:20 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-ალლუმი.
19:15 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. უელსი-ირლანდია.
21:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:30 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. უელსი-ირლანდია.
23:20 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ნორვეგია-თურქეთი.
01:10 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:45 სპორტდოსიე. გოლფი.
09:12 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტამპა ბეი-ვაშინგტონი.
11:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ნორვეგია-თურქეთი.
12:47 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგის ჟურნალი.
13:16 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
13:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. უელსი-ირლანდია.
15:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
16:00 ჩოგბურთი. PEOPLEnet CUP. ფინალი.
18:02 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ჰოლანდია-ლუქსემბურგი.
19:45 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დეტროიტი-ჩიკაგო.
21:31 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
21:58 ჩოგბურთი. PEOPLEnet CUP. წყვილები. ფინალი.
00:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი.
02:00 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. მიმოხილვა.
02:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. უელსი-ირლანდია.
04:17 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგის ჟურნალი.
04:46 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
05:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ჰოლანდია-ლუქსემბურგი.
07:02 სპორტდოსიე. გოლფი.
07:30 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. მიმოხილვა.

**EUROSPORT**

11:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
11:45 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ირლანდია.
12:15 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
12:30 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. მაკაოს გრან-პრი. II ცდა.
13:30 ციგაობა. მსოფლიო თასი. მამაკაცები. II ცდა. ლეიკ-პლესიდი. აშშ.
14:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ირლანდია.
15:00 მინი-ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. იტალია-რუმინეთი. პორტუგალია.
16:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
16:30 ფეხბურთი. ევრო 2008. ნორვეგია-თურქეთი.
17:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შოტლანდია-იტალია.
18:30 ფეხბურთი. ევრო 2008. პოლონეთი-ბელგია.
19:15 ფეხბურთი. ევრო 2008. ნორვეგია-თურქეთი.
20:15 ფეხბურთი. ევრო 2008. უელსი-ირლანდია.
21:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
21:15 ფეხბურთი. ევრო 2008. ჰოლანდია-ლუქსემბურგი.
22:00 მინი-ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. უკრაინა-რუსეთი. პორტუგალია (LIVE).
23:30 მულტისპორტი.
23:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
00:00 მინი-ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. ესპანეთი-სერბეთი. პორტუგალია (LIVE).
01:30 ბრძოლა წესების გარეშე.
03:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 ხელბურთი. ჩემპიონთა თასი. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ვიბორგი (დანია)-ჰამბურგი (გერმანია).
14:00 ხელბურთი. ჩემპიონთა თასი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ლარვიკი (ნორვეგია)-ნიდეროსტერაიხი (ავსტრია).
15:00 ახალი ამბები.
17:00 მინი-ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. იტალია-რუმინეთი. პორტუგალია.
18:00 მინი-ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. პორტუგალია-ჩეხეთი. პორტუგალია.
19:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. მაკაოს გრან-პრი. II ცდა.
20:00 ხელბურთი. ჩემპიონთა თასი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ლარვიკი (ნორვეგია)-ნიდეროსტერაიხი (ავსტრია).
21:00 ახალი ამბები.
21:30 სერფინგი.
22:30 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
22:15 ექსტრემალური სპორტი.
22:45 ახალი ამბები.
23:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ჰოლანდია-ლუქსემბურგი.
23:45 ფეხბურთი. ევრო 2008. ნორვეგია-თურქეთი.
00:30 მულტისპორტი.
01:00 ხელბურთი. ჩემპიონთა თასი. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ვიბორგი (დანია)-ჰამბურგი (გერმანია).
02:00 ახალი ამბები.
02:15 მინი-ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. ესპანეთი-სერბეთი. პორტუგალია.
03:15 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

### კალათბურთი

| საბერძნეთი | |
|---|---|
| კოლოსოსი-პაოკ | 80:73 |
| აეკ-პანელინიოსი | 68:92 |
| ოლიმპია-ოლიმპიაკოსი | 89:92 (ო) |
| პაკ-აელ | 71:66 |
| ეგალეო-რეთიმნო | 73:67 |
| არისი-პანიონიოსი | 71:81 |
| მარუსი-პანათინაიკოსი | 68:79 |

| ესპანეთი | |
|---|---|
| ესტუდიანტესი-ხუვენტუდი | 70:85 |
| ფუენლაბრადა-პამესა | 69:64 |
| მენორკა-კახასოლი | 102:80 |
| ვალიადოლიდი-გრან კანარია | 89:88 |
| ტაუგრესი-უნიკახა | 84:62 |
| გრანადა-ბარსელონა | 68:71 |
| ლეონი-მურსია | 75:67 |
| რეალი-ბილბაო | 74:69 |
| მანრესა-ხირონა | 81:93 |

| იტალია | |
|---|---|
| სკავოლინი-კლიმამიო | 78:84 |
| მილანი-რომა | 74:80 |
| ბენეტონი-მონტეგრანარო | 81:79 |
| მონტეპასკი-რიეტი | 100:64 |
| ნაპოლი-კანტუ | 95:84 |
| სკაფატი-დ'ორლანდო | 74:98 |
| ტერამო-ბიელა | 111:101 ოტ |
| ვარეზე-აველინო | 81:87 |
| ვირტუსი-სნაიდერო | 95:72 |

| საფრანგეთი | |
|---|---|
| ვიში-სტრასბური | 76:53 |
| კლერმონი-გრაველინი | 86:88 |
| ნანსი-ტულონი | 82:79 |
| რუანი-ლე მანი | 70:76 |
| შალონი-დიჟონი | 87:79 |
| შოლე-ორლეანი | 91:72 |

### ჰოკეი

| რუსეთი | |
|---|---|
| ცსკა-ვიტიაზი | 3:6 |

| გერმანია | |
|---|---|
| შტრაუბინგი-აუგსბურგი | 2:1 |
| იზერლონი-კრეფელდი | 8:3 |
| ჰანოვერი-ნიურნბერგი | 2:3 |
| ფრანკფურტი-ჰამბურგი | 3:4 პენ |
| დუისბურგი-ინგოლშტადტი | 4:2 |
| აისბარენი-დიუსელდორფი | 2:3 |
| ვოლფსბურგი-მანჰაიმი | 5:2 |

| სლოვაკეთი | |
|---|---|
| კოშიცე-კეჟმაროკი | 6:4 |
| პოპრადი-ჟილინა | 5:2 |
| ზვოლენი-მიკულაში | 4:1 |
| მარტინი-ნიტრა | 3:2 |
| ტრენჩინი-სკალიცა | 4:5 |

| ფინეთი | |
|---|---|
| ჰპკ-ტაპარა | 0:1 |
| იუვიასკიულა-ტპს | 2:2 |
| ლუკო-ჰიფკ | 4:0 |
| პელიკანსი-კერპეტი | 3:3 |
| საიპა-ესეტი | 2:0 |

| ჩეხეთი | |
|---|---|
| სლავია-ზლინი | 3:2 |
| პარდუბიცე-პლზენი | 5:7 |
| ლიბერეცი-ლიტვინოვი | 2:1 |
| ტრშინეცი-ვიტკოვიცე | 2:6 |
| კარლოვი ვარი-სლოვანი | 11:0 |
| ზნოიმო-კლადნო | 5:2 |
| ბუდეიოვიცე-სპარტა | 2:4 |

| შვეიცარია | |
|---|---|
| ლანგნაუ-ბერნი | 1:6 |
| ცუგი-ლუგანო | 1:8 |
| ამბრი-კლოტენი | 3:4 |
| ბაზელი-ფრიბურგი | 1:4 |
| დავოსი-ციურიხი | 1:2 |
| სერვეტი-რაპერსვილი | 7:3 |
| ბერნი-ამბრი | 6:0 |
| კლოტენი-ლანგნაუ | 3:1 |

| შვედეთი | |
|---|---|
| სიოდერტალიე-ლულეა | 3:4 |
| მოდო-ბრიუნასი | 2:3 |
| ფერიესტადი-ტიმრო | 7:1 |
| ჰვ 71-მორა | 4:2 |
| აიკ-იურგორდენი | 3:4 |
| ლინჩოპინგი-ფროლუნდა | 6:2 |

### ჩოგბურთი

**ATP. შანხაი**

ფედერერი-ფერერი 6:2, 6:3, 6:2



ტომი ჰაასი

სკანდალი

# ჰაასი არ მოუწამლავთ

არ დადასტურდა გერმანელი **ტომი ჰაასის** ვარაუდი იმის შესახებ, თითქოს ის მოსკოვში, დევისის თასის ნახევარფინალის დროს შეგნებულად მოწამლეს.

სექტემბერში, რუსეთმა გერმანის ნაკრებს 3:2 მოუგო და დევისის თასის ფინალში გავიდა. მაშინ, ჰაასმა პარასკევს შეძლო ერთეულთა თანრიგის მატჩში მონაწილეობა, მაგრამ კვირას კორტზე ველარ გავიდა, რადგან კუჭის ტკივილმა შეაწუხა. მაშინ გამოცხადდა, რომ ჩოგბურთელს მწვავე ვირუსული ინფექცია ჰქონდა, მაგრამ შემდეგ გერმანელმა სკანდალური განცხადება გააკეთა. ტომიმ ივარაუდა, რომ ის მოწამლეს. მისი თქმით, საწამლავი შესაძლოა სასტუმროს რესტორანში, ყავაში ან დესერტში იყო შერეული. ამასთან დაკავშირებით, ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (ITF) გამოძიება ჩაატარა.

ჰაასმა ამერიკაში სპეციალურად ჩააბარა შესაბამისი ტესტები, მაგრამ როგორც გაირკვა, მის ორგანიზმში რაიმე მომწამვლელი ნივთიერება არ აღმოჩნდა.

ამასობაში, გერმანელი ჩოგბურთელი ჟურნალისტებს შეხვდა და მათ განუცხადა, რომ სულ მალე მას ტრავმირებულ მხარზე ოპერაცია ელის. სარეაბილიტაციო კურსი დაახლოებით ექვს კვირას გაგრძელდება და ტომის იმედი აქვს, რომ გაისად, 14-27 იანვარს ავსტრალიის ღია პირველობაზე შეძლებს გამოსვლას.

დაბრუნება

# ლინდსი პეკინს უმიზნებს

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, ამერიკელი **ლინდსი დავენპორტი** გაისადაც აპირებს აქტიური კარიერის გაგრძელებას. როგორც ცნობილია, ლინდსის დაქორწინებისა და შვილის გაჩენის გამო, ჩოგბურთისთვის თავი ჰქონდა დანებებული. ის წლევანდელი სეზონის ბოლოს დაბრუნდა კორტზე, WTA-ს სამ ტურნირში მიიღო მონაწილეობა და სამივეში მთავარი პრიზი მოიპოვა. საგაისოდ, 31 წლის დავენპორტის მთავარი მიზანი პეკინის ოლიმპიადაზე გამოსვლა იქნება.

უიმბლდონის ყოფილი ჩემპიონი ამბობს, რომ პეკინის ოლიმპიადის წინ, სულ სხვა განცდები ექნება, ვიდრე ეს 1996 წელს, ატლანტას თამაშების წინ იყო. ამერიკელს აწუხებს ის, რომ მისი თამაშის გამო, საყვარელ ადამიანებს, პირველ რიგში კი, ქმარსა და შვილს ნერვიულობა მოუწევთ. შეგახსენებთ, რომ დავენპორტმა ატლანტაში ოქროს მედალი მოიპოვა.

კრივი

## ყირგიზელი მოკრივე ამერიკულ ციხეში ჩაჯდება

ამერიკის სასამართლომ 90-დღიანი პატიმრობა მიუსაჯა ყირგიზელ მოკრივეს **ალმაზბეკ რაიმკულოვს**. ეს უკანასკნელი პროფესიულ კრივში ჩრდილოეთ ამერიკის ყოფილი ჩემპიონი გახლავთ.

ჯერ კიდევ 2004 წელს, რაიმკულოვი მანქანის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვისთვის ჯარიმით დაისაჯა. მაგრამ მოკრივე სასამართლოში არ გამოცხადდა და აქამდე მას პოლიცია ეძებდა. საბოლოოდ რაიმკულოვი დააკავეს და ახლა მას 3-თვიანი პატიმრობა ელის.

ოლიმპიზმი

## ძიუდოს დარბაზი მზადაა

პეკინის სამეცნიერო-ტექნიკური უნივერსიტეტის ეზოში დასრულდა სტადიონის მშენებლობა, რომელიც გაისად ოლიმპიურ თამაშებზე ძიუდოისტებსა და ტაეკვანდოელებს უმასპინძლებს.

*„სტადიონის საერთო ფართობი 24 ათას კვადრატულ მეტრს უდრის, ტრიბუნებზე კი, 8 ათასი მაყურებელი ეტევა. ოლიმპიადის დროს, აქ ძიუდოსა და ტაეკვანდოს ტურნირები გაიმართება, ხოლო შეჯიბრებებისგან თავისუფალ დროს, აქვე შეიძლება სხვადასხვა კონფერენციების, კონცერტებისა და სხვა ღონისძიებების ჩატარება"*, - აცხადებს სტადიონის დიზაინერი **ჩჟუან ვეიმინი**.

ზამთრის თხილამურები

## ფრანგებს აკრძალვა ემუქრებათ

საფრანგეთის სათხილამურო სპორტის ფედერაციამ გამოაცხადა, რომ ქვეყნის ხუთ წამყვან მოთხილამურეს შესაძლოა წლევანდელი მსოფლიო თასის რამდენიმე ეტაპის გამოტოვება მოუწიოს. მათ შორის არის, საერთო ჩათვლაში გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტი **ვენსან ვიტოზი**.

აკრძალვის მიზეზი ის გახლავთ, რომ ამ სპორტსმენებს სისხლში ჰემოგლობინის დონე აქვთ მომატებული.

ციგურებით სირბილი

## ახალი მსოფლიო რეკორდი

კანადის ქალაქ კალგარიში წლევანდელი მსოფლიო თასის მეორე ეტაპი გაიმართა, სადაც ერთი მსოფლიო რეკორდი დამყარდა.

თავი გამოიჩინა ჰოლანდიელმა სტაიერმა **სვენ კრამერმა**, რომელმაც 5000-მეტრიანი დისტანცია 6 წუთსა და 3.32 წამში გაირბინა.



მსოფლიო რეკორდები

# ბერლინში რეკორდები დაეცა

ბერლინში გამართულ, მოკლე აუზის მსოფლიო თასის სერიის ტურნირზე მსოფლიოს ორი რეკორდი გაუმჯობესდა. ახალი რეკორდებით თავი გამოიჩინეს შვედმა **სტეფან ნისტრანდმა** და ჰოლანდიელმა **მარლეენ ფელდჰუისმა**. ევროპის რეკორდი კი ფრანგმა **ლორ მანოდუმ** დაამყარა.

პირველმა თავი მანოდუმ გამოიჩინა, ვისაც ბოლო ხანებში არაერთი პირადი პრობლემის მოგვარება მოუხდა, რის გამოც, ბევრი ფიქრობდა, რომ პეკინის ოლიმპიადისთვის ის სათანადოდ მომზადებას ვერ შეძლებდა. მაგრამ ფრანგი სუპერმოცურავე სკეპტიკოსებს ვარაუდებს უცრუებს.

მსოფლიოს, ოლიმპიური თამაშებისა და ევროპის ჩემპიონატების არაერთგზის ჩემპიონმა სამი თვის წინ ვარჯიში თავისი ძმის, **ნიკოლას მანოდუს** მეთვალყურეობით განაახლა. მას შემდეგ კი ბერლინის ტურნირი მისი პირველი ოფიციალური გამოსვლა იყო. ალბათ ამიტომაც იყო, რომ მისგან კარგ შედეგს არავინ ელოდა.

ტურნირის პირველ დღეს მანოდუმ ორი ფინალური გაცურვა მოიგო. ჯერ 200 მეტრზე თავისუფალ სტილში, ფინიშს წუთსა და 53.48 წამში მიაღწია და ევროპის რეკორდი (მოკლე აუზისთვის) განაახლა. რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მას ოდენ 0.19 წამი დააკლდა მსოფლიოს რკორდამდე. შემდეგ კი 200 მეტრზევე ინდივიდუალურ, შერეული სტილით ცურვაში აჯობა ყველას.

*"ჰიტებში ვიგრძენი, რომ ურიგო ფორმაში არ უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ არც გამარჯვების პრეტენზია მქონია და მითუმეტეს, რეკორდებს არ ველოდი. აქ იმისთვის ჩამოვედი, რომ გამეგო, როგორ ფორმაში ვიყავი. გარდა ამისა, მინდოდა, სკეპტიკოსებისთვის დამემტკიცებინა, რომ ნიკოს ჩემთვის სერიოზული დახმარების გაწევა შეუძლია"*, - განაცხადა მანოდუმ.

ფელდჰუისმა თავისი რეკორდი 50 მეტრზე თავისუფალ სტილში დაამყარა. დისტანცია მან 23.58 წამში გაცურა და ოდენ 0.01 წამით გააუმჯობესა შვედი **ტერეზ ალშამარის** მიერ შვიდი წლის წინ დამყარებული რეკორდი. ამჯერად შვედი მოცურავე მესამე ადგილს დასჯერდა, მეორეზე კი 40 წლის ამერიკელი **დარა ტორესი** გავიდა.

აღსანიშნავია, რომ ტორესს მეტად ამბიციური გეგმები ამოძრავებს. მას პეკინის ოლიმპიადაზე მოხვედრა სურს. ოლიმპიადის დროს ის 41 წლის იქნება და რაც მთავარია, აქვს შანსი, გახდეს პირველი მოცურავე, რომელიც ხუთ ოლიმპიადაზე მიიღებს მონაწილეობას.

*"არ მჯერა, რომ რეკორდის გაუმჯობესება შევძელი. ჰიტებში დარა ტორესმა თავისი სისწრაფით გამაოცა და ფინალში უპირველესად იმას ვცდილობდი, რომ ის წინ არ გამეშვა. ამიტომაც, ჩემი რეკორდი ნაწილობრივ მისი დამსახურებაცაა"*, - განაცხადა ფელდჰუისმა.

ტორესმა კი მეორე ადგილის გარდა, აშშ-ის რეკორდითაც ისახელა თავი. მან 0.34 წამით გააუმჯობესა **კარა ლინ ჯოისის** მიერ სამი წლის წინ დამყარებული რეკორდი.

ნისტრანდმა კი 100 მეტრზე თავისუფალში ფინიშს 45.83 წამში მიაღწია და გააუმჯობესა ძველი რეკორდი (46.25), რომელიც აქამდე ორ მოცურავეს, ამერიკელ **იან კროკერსა** (2004 წელს დაამყარა) და სამხრეთაფრიკელ **როლანდ შიომანს** (2005 წელს გაიმეორა) ეკუთვნოდა. სხვათა შორის, ნისტრანდის პირადი რეკორდი 46.48 წამი იყო და ეს შედეგი მან სამი დღის წინ, სტოკჰოლმში დააფიქსირა.

*"სტარტამდე ვიცოდი, რომ რეკორდის დამყარება შემეძლო, მაგრამ ვფიქრობდი, რომ ეს ამჯერად არ გამომივიდოდა. თუმცა, გასახდელში თანაგუნდელებს შევპირდი, რომ რეკორდის დამყარებას ვეცდებოდი"*, - განაცხადა ნისტრანდმა.

აღსანიშნავია, რომ ბერლინის საწყლოსნო კომპლექს "არენაზე", მისი არსებობის 25 წლის განმავლობაში მსოფლიოს რეკორდი 77-ჯერ გაუმჯობესდა. რაც შეეხება მსოფლიო თასის სერიას, ის შვიდი ეტაპისგან შედგება, რომელთაგან ბერლინური ტურნირი მეექვსე იყო. სერიის მეშვიდე ეტაპს 23-25 ნოემბერს ბრაზილიის ქალაქი ბელუ ორიზონტი უმასპინძლებს.

**მერაბ ლორთქიფანიძე**



მარლეენ ფელდჰუის



სტეფან ნისტრანდი

მსოფლიო ჩემპიონატი

# კიმის ტიტული შეუნარჩუნეს

საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის მოტორ სპორტის სააპელაციო სასამართლომ უარყო "მაკლარენის" აპელაცია, რომლითაც ინგლისური გუნდი ბრაზილიის დიდი პრიზის შედეგს ასაჩივრებდა. ჩემპიონის ტიტული შეუნარჩუნდა "ფერარის" ფინელ პილოტ **კიმი რაიკონენს**, რომელმაც თითო ქულით აჯობა "მაკლარენის" პილოტებს – ახალბედა ბრიტანელ **ლუის ჰემილტონსა** და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს, ესპანელ **ფერნანდო ალონსოს**.

ამგვარად, ჰემილტონი, ვინც ფორმულა ერთის ისტორიაში პირველი შავკანიანი პილოტია, ვერ გახდა მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი. გარდა ამისა, 22 წლის პილოტს შანსი ჰქონდა, სამეფო რბოლების ისტორიაში გამხდარიყო პირველი ავტომრბოლი, ვინც ჩემპიონის ტიტულს სადებიუტო სეზონშივე მოიპოვებდა.

სხვათა შორის, "მაკლარენის" მიერ ბრიზილიურ რბოლის გასაჩივრებამდეც, ჰემილტონმა არაერთხელ განაცხადა, რომ არ სურს ჩემპიონის წოდების სასამართლოში მოპოვება. უკეთესი იქნებოდა, თუ ამას სარბოლ ტრასაზე შევძლებდიო.

*"კიმი იმსახურებს ამ ტიტულს. მე კი არანაირი სურვილი არ მქონდა, ეს ტიტული მისთვის სასამართლოს გადაწყვეტილებით ჩამომერთმია. ეს სურვილი არც "მაკლარენს" ამოძრავებდა, როცა აპელაცია შეიტანა. ვიმედოვნებ, მომდევნო სეზონში უკეთესად ვიასპარეზებ და კიმის ამ ტიტულს ჩამოვართმევ"*, - განაცხადა ჰემილტონმა.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაზაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კოба ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები
დავით კოხრეიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაძელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე)
გივი ვეშაპიძე
ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 19 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ სპორტთან

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

ლელოს მთავარი რედაქტორები
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-84)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

მისამართი:
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახალი კონსტრუქცია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56, 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge

ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა